საზოგადოებრივ-ლიტერატურული ჟურნალი

# არილი

ფასი 2 ლარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

1134
2020



2020 / მარტი

1 (287)

## ოლგა ტოკარჩუკი

მგრძნობიარე მთხრობელი

# სარჩევი

ეროვნული ბიბლიოთეკა

| | | |
|---|---|---|
| სანობელე ლექცია | 1 | მგრძნობიარე მთხრობელი \| ოლგა ტოკარჩუკის სიტყვა წარმოთქმული ლიტერატურაში ნობელის პრემიის მიღებისას<br>*პოლონურიდან თარგმნა კატია ვოლტერსმა* |
| პროზა | 12 | მანანა მენაბდე \| „იმედის პატარა ორკესტრი...“ |
| | 17 | წერილი ლორენსუ-მარკიშიდან |
| | 18 | ლიო |
| | 20 | ილია ჭანტურია \| მშვიდად, გაკვეთილი იწყება |
| პოეზია | 26 | მალხაზ მაჭავარიანი \| ჰაიკუები |
| თარგმანი | 27 | ალფრედ ჟარი \| იუბიუ მეფე<br>*ფრანგულიდან თარგმნა და შენიშვნები დაურთო ბაჩანა ჩაბრაძემ* |
| კათედრა | 41 | გრეგორი ნაჟი \| ბიბლიოთეკის იდეა, როგორც ევროპული კულტურის კლასიკური მოდელი<br>*ინგლისურიდან თარგმნა მალხაზ ხარბედიამ* |
| ინტერვიუ | 46 | ვიაჩესლავ ივანოვი - კაცობრიობას ორმოცდაათ წელზე ნაკლები დრო დარჩა<br>*რუსულიდან თარგმნა თამარ ლომიძემ* |

გარეკანი: მამუკა ტყეშელაშვილი


# არილი

**საზოგადოებრივ-ლიტერატურული ასოციაცია "არილის" ყოველთვიური გამოცემა**

**The Literary Magazine "Arili"**

რედაქტორები
**მალხაზ ხარბედია**
შადიმან შამანაძე

მხატვარი **მამუკა ტყეშელაშვილი**

კორექტორი **ინა არჩუაშვილი**

კომპიუტერული უზრუნველყოფა **თამაზ ჩხაიძე**

პროექტის მენეჯერი **ეკა ხარბედია**



სარედაქციო საბჭო

**რატი ამაღლობელი, ია ანთაძე, ანდრო ბუაჩიძე, ლაშა ბუღაძე, თამაზ ვასაძე, გიორგი კეკელიძე, ზურაბ კიკნაძე, ვასილ მაღლაფერიძე, ზვიად რატიანი, ჯიმშერ რეხვიაშვილი, ირაკლი სამსონაძე, გულსუნდა სიხარულიძე, ბაკურ სულაკაური, ირმა ტაველიძე, ქეთი ქანთარია, პაატა შამუგია, ზაზა ჭილაძე.**


არილი - დასასვენებელი სიწმინდეთა

*სულხან-საბა*

არილი - მზის შუქი, რამეზე დამდგარი

*ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი*

არილი - თანამედროვე ქართული ლიტერატურის მარილი

*ბალხური*


ელექტრონული ფოსტა: info@arilimag.ge
ვებგვერდი: arilimag.ge

**გამოდის 1993 წლიდან**


**© ჟურნალში გამოქვეყნებული მასალების გამოყენება "არილის" რედაქციის ნებართვის გარეშე აკრძალულია**


ჟურნალი გამოდის საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით

მწერალთა სახლი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# მგრძნობიარე მთხრობელი

## ოლგა ტოკარჩუკის სიტყვა წარმოთქმული ლიტერატურაში ნობელის პრემიის მიღებისას

*პოლონურიდან თარგმნა კატია ვოლტერსმა*



1.

პირველი ფოტო, რომელიც ბავშვური გონებით აღვიქვი, დედაჩემის ფოტოა. ის ჩემს დაბადებამდეა გადაღებული და შავ-თეთრია, რის გამოც მისი ბევრი დეტალი, სამწუხაროდ, ჩამუქებული და გაფერმკრთალებულია. ფოტოზე რბილი სინათლე ჩანს. ეს ალბათ, გაზაფხულის წვიმიანი დღის შუქია, რომელიც სარკმლიდან შემოდის და ოთახს მკრთალ ნათებაში ხვევს. დედა ძველ რადიომიმღებთან ზის - აი, ისეთთან, მწვანე თვალი და ორი გადამრთველი რომ ჰქონდა, ერთი ხმის დასარეგულირებლად, მეორე კი არხების მოსაძებნად - რომელიც შემდგომ, მთელი ბავშვობა, ჩემს ერთგულ თანამგზავრად იქცა და რომელმაც კოსმოსის არსებობის შესახებ მამცნო. ვატრიალებდით ებონიტის ამ მრგვალ გადამრთველს და ანტენის მგრძნობიარე საცეცებით ერთი რადიოსადგურიდან მეორეზე გადაედიოდით, ერთმანეთს ენაცვლებოდა ვარშავა, ლონდონი, ლუქსემბურ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გი, პარიზი. ხანდახან ხმა განყდებოდა, გეგონება პრაღასა და ნიუ-იორკს, მოსკოვსა და მადრიდს შორის ანტენების საცეცები შავ ხვრელს გადააწყდნენო. ამ დროს მთელ სხეულში ჟრუანტელი მივლიდა, რადგან, ასე მეგონა, ჩვენი რადიომიმღებიდან სულ სხვა მზის სისტემები და გალაქტიკები მეხმიანებოდნენ და იმ უცნაურ ტკაცატკუცსა და შიშინს შორის მიგზავნიდნენ ინფორმაციას, რომლის გაშიფვრაც მე არ შემეძლო.

როცა ერთი ციდა გოგო ამ სურათს დავცქეროდი, მჯეროდა, რომ რადიომიმღების გადამრთველის ტრიალით დედა მე დამეძებდა, მგრძნობიარე რადარივით ის კოსმოსის უსასრულო სივრცეებში დაიარებოდა იმის გასაგებად, როდის და საიდან მივიდოდი მასთან. მისი ვარცხნილობისა და ბლუზის მიხედვით (ნავისებური ფორმის ღრმა დეკოლტეთი) ძნელი გამოსაცნობი არ უნდა იყოს, რომ ეს ფოტო გასული საუკუნის სამოციან წლებშია გადაღებული. მხრებში ოდნავ მოხრილი ქალი კადრს მიღმა რაღაც ისეთს უყურებს, რასაც ფოტოს მაცქერალი ვერასოდეს დაინახავს. ბავშვობაში ვფიქრობდი, რომ ის დროს უმზერდა. ფოტოზე, სადაც ფიქრში წასული სევდიანი ქალის სახეა აღბეჭდილი, განსაკუთრებული არაფერი ხდება. ეს მდგომარეობის ამსახველი ფოტოა და არა მოქმედებისა.

ამ სევდიანი განწყობის შესახებ მე დედაჩემს ხშირად ვეკითხებოდი მხოლოდ იმიტომ, რომ მისგან რაც შეიძლება მეტჯერ მომესმინა მუდამ ერთი და იგივე პასუხი: ის სევდიანი იმიტომ იყო, რომ მე ჯერ დაბადებული არ ვიყავი, მას კი უკვე ვენატრებოდი და ჩემთან ყოფნა უნდოდა.

- დაბადებული თუ არ ვიყავი, როგორ გენატრებოდი? - ვეკითხებოდი. უკვე ვიცოდი, რომ მონატრებას დაკარგვა იწვევს, და ენატრებათ ის, ვისაც კარგავენ.

- იქნებ პირიქითაც ხდება, - მპასუხობდა დედა. - თუ ვინმე გენატრება, ე.ი. ის უკვე არსებობს.

სადღაც პოლონეთის დასავლეთ პროვინციაში მეოცე საუკუნის სამოციან წლებში გამართულმა ამ მოკლე დიალოგმა დედაჩემსა და იმ პატარა გოგონას, ანუ ჩემს შორის, რომელიც სამუდამოდ ჩამრჩა მეხსიერებაში, მთელი ცხოვრების სამყოფი სიძლიერე მომცა. მან ჩემი არსებობა სამყაროს ჩვეულებრივი მატერიალურობისა და შემთხვევითობის, მიზეზ-შედეგობრივისა და ალბათობის კანონთა ფარგლებს გარეთ გაიტანა და დროის მიღმა, მარადისობის ტკბილ სიახლოვეში დაავანა. ჩემი ბავშვური გონებით მე მაშინ მივხვდი, რომ იმაზე ბევრად მეტი ვიყავი, ვიდრე მეგონა, და რომც ვთქვა, რომ „არა ვარ", პირველი სიტყვა მაინც „ვარ" იქნება - ამ ქვეყანაზე ყველაზე მთავარი და ყველაზე უცნაური სიტყვა.

აი, ასე მომცა ახალგაზრდა დედაჩემმა, რომელიც არასდროს ყოფილა მორწმუნე, ის რაღაც, რასაც ადრე სულიერებას ვეძახდით - ანუ მან ამქვეყნად ყველაზე მგრძნობიარე და საუკეთესო მთხრობელი - სულიერება მისახსოვრა.

## 2.

ჩვენი გარემომცველი სამყარო ის ფარდაგია, რომელსაც გამუდმებით ვქსოვთ ინფორმაციის, დისკუსიების, ფილმების, წიგნების, ჭორებისა და ანეკდოტების დაზგებზე. ინტერნეტის საშუალებით ამ საქსოვ დაზგებთან წვდომა დღეს შეზღუდული არავისთვის არის. თითქმის ყველას შეუძლია მიიღოს მონაწილეობა „ქსოვის" პროცესში პასუხისმგებლობის შეგრძნებით თუ უპასუხისმგებლოდ, სიყვარულით თუ სიძულვილით, სიკეთის საკეთებლად თუ ბოროტების ჩასადენად, სიცოცხლისათვის თუ სიკვდილისთვის. როდესაც იცვლება მოსაყოლი ამბავი, იცვლება გარემომცველი სამყაროც. თუ ამ ხაზს მივყვებით, მაშინ იმის თქმაც შეიძლება, რომ სამყარო სიტყვებისგან შედგება.

უდიდესი მნიშვნელობა აქვს იმას, რასაც ჩვენ სამყაროზე ვფიქრობთ, და, რაც კიდევ უფრო მთავარია, რასაც მასზე ვყვებით. ის, რაც ხდება და რის შესახებაც არავინ ჰყვება, არსებობას წყვეტს და კვდება. ეს კარგად იციან ისტორიკოსებმა, პირველ რიგში კი სხვადასხვა ჯურის პოლიტიკოსებმა და ტირანებმა. ვისაც რაიმე აქვს მოსაყოლი და ამას აკეთებს, ქვეყანასაც ის განაგებს.

ჩანს, ჩვენი პრობლემა დღეს ისაა, რომ გამზადებული მოსათხრობი ჯერჯერობით არათუ წარსულზე, კონკრეტულ „აწმყოზე" - დღევანდელი სამყაროს ზესწრაფ ცვლილებებზეც კი არ გაგვაჩნია. არ გვაქვს სათანადო ენა, ჭვრეტის უნარი, მეტაფორები, მითები თუ ახალ-ახალი ლეგენდები. სამაგიეროდ ცოცხალი მოწმეები ვართ იმისა, თუ როგორ ცდილობენ მავანნი ჩვენ თვალწინ შეუსაბამო, ყავლგასული ანაქრონული ნარაციების სამომავლო ხედვაში ჩართვას. ეგებ იმ მოსაზრებით, რომ „ახალ არაფერს სჯობს ძველი რაღაცა", ან ამ გზით თავიანთი ვიწრო თვალსაწიერის დამალვას ცდილობენ? ასეა თუ ისე, ჩვენ დღეს გვაკლია სამყაროზე თხრობის ახალი შესაძლებლობები.

ჩვენ **პირველ პირში მთხრობელთა** მრავალხმიანი ნარაციის რეალობაში ვცხოვრობთ და ამ ხმებით ვართ გარემოცული. როდესაც პირველ პირში მთხრობელებზე ვლაპარაკობ, თხრობის ისეთ ფორმას ვგულისხმობ, შემოქმედის „მე"-ს ვიწრო წრეში რომ მოაქცევს, როდესაც შემოქმედი ან ნაწილობრივ წერს თავის თავის შესახებ, ან მთელი მისი შემოქმედება მხოლოდ

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკუთარი მე-დან მომდინარეობს. შედეგად კი ვიღებთ იმას, რომ მხედველობის ინდივიდუალიზებული პუნქტის ეს სახეობა, „მე"-ს ხმა, ყველაზე ბუნებრივი, ადამიანური და გულწრფელია მაშინაც კი,როდესაც ფართო პერსპექტივაზე ვამბობთ უარს. ესოდენ კარგად და იოლად გასაგები პირველ პირში თხრობა ერთადერთი და განუმეორებელი ორნამენტის გამოყვანას ჰგავს, ის ერთეულს ავტონომიურობის შეგრძნებაა ულვივებს, აძლევს საკუთარი თავისა და ხვედრის გაცნობიერების საშუალებას, მაგრამ ასევე გულისხმობს საპირისპიროს - „მე" და „გარესამყარო"-ს არსებობასაც, რაც გაუცხოებას იწვევს.

ვფიქრობ, პირველ პირში თხრობა თანამედროვე ხედვის მკვეთრი მახასიათებელი ნიშანია, რომელშიც ის ერთეული სამყაროს სუბიექტური ცენტრის როლს ასრულებს. დასავლური ცივილიზაცია დიდწილად სწორედ ამ „მეს" ახლად აღმოჩენაზეა დაფუძნებული, რომელიც თავის მხრივ, რეალობის ერთ-ერთი უმთავრესი საზომია. აქ მთავარი მოქმედი პირი ადამიანია, მის აზრს კი, მიუხედავად იმისა, რომ ის ერთადერთი არ გახლავთ, ყოველთვის გულდასმით და პასუხისმგებლობით ეკიდებიან. პირველ პირში მონათხრობს, რაც კაცობრიობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მონაპოვრად შეგვიძლია მივიჩნიოთ, კრძალვით კითხულობენ და მის მიმართ ნდობით იმსჭვალებიან. თხრობის ეს ტიპი, როდესაც სამყაროს ვინმეს „მე"-ს თვალით ვუყურებთ და მის ხმასაც მისივე ყურით ვისმენთ, მთხრობელთან ყველაზე მჭიდროდ გვაკავშირებს და თითქოს გვაიძულებს კიდეც მის ადგილას მოვიაზროთ თავი.

ძალიანაც რომ მოვინდომოთ, ჩვენ ვერასოდეს უგულებელვყოფთ იმ ღვაწლს, რომელიც პირველ პირში თხრობას მიუძღვის ლიტერატურისა და მთლიანად კაცობრიობის წინაშე - მან ღმერთებისა და გმირების სამყაროზე თხრობის ნაცვლად, რომელიც ჩვენგან დამოუკიდებლად არსებობს, ჩვენი პირადი ამბების თხრობის საშუალება მოგვცა და სცენა ჩვენნაირ ადამიანებს, უბრალო მოკვდავთ დაუთმო. თანაც, ჩვენნაირებთან თავის გაიგივება ბევრად ადვილია და მკითხველი თუ მსმენელი თანაგანცდის მეშვეობით მალე ამყარებს ემოციურ კავშირს მთხრობელთან. ეს უკანასკნელი თავისი ბუნებიდან გამომდინარე, აახლოებს, აუქმებს საზღვრებს - სულაც არ არის ძნელი მთხრობლის „მე"-სა და მკითხველის „მე"-ს შორის მიჯნის მოშლა, ხოლო ამბავი, რომელიც „გითრევს", სწორედ იმაზეა გათვლილი, რომ ბარიერი გაქრება და ემპათიის წყალობით გარკვეული დროით მკითხველი მთხრობლად გადაიქცევა. ლიტერატურა გამოცდილების გაზიარების პლატფორმად იქცა, ერთგვარ აგორად, სადაც ნებისმიერ ჩვენგანს შეუძლია მოჰყვეს საკუთარ ხვედრზე ან ამის უფლება თავის ალტერ ეგოს მიანიჭოს. ეს არის სრულიად დემოკრატიული პლატფორმა - ყველასთვის თანაბარად მიცემული უფლება საკუთარი აზრის გამოსათქმელად, ან იმ „ხმის" შესაქმნელად, „რომელიც ჰყვება". კაცობრიობის ისტორიაში ალბათ პირველად ხდება, რომ წერითა და თხრობით ამდენი ადამიანია დაკავებული. ამაში დასარწმუნებლად ნებისმიერ სტატისტიკური მონაცემებისთვის თვალის გადავლებაც იკმარებდა.

წიგნის ფესტივალებზე სიარულისას ბევრ ახალგამოცემულ წიგნში მინახავს ავტორისეული „მე". თვითგამოხატვის ინსტინქტი, ალბათ, ისეთივე ძლიერი, როგორიც დანარჩენი ინსტინქტებია, რომლებიც ჩვენს ცხოვრებას ჩარხავენ, ყველაზე უკეთ ხელოვნებაში რეალიზდება. ჩვენ გვინდა რომ გვამჩნევდნენ, გვინდა რომ განსაკუთრებული გვეგონოს თავი. თანამედროვე ლიტერატურაში ყველაზე პოპულარული „გიამბობ ჩემს ამბავს", „გიამბობ ჩემი ოჯახის ამბავს" ან სულაც „გიამბობ სად ვიყავი და რა ვნახე" ტიპის თხზულებებია. დღეს ეს ძალზე გავრცელებული ფენომენია თუნდაც იმიტომ, რომ ახლა თითოეულ ჩვენგანს მიუწვდება წერაზე ხელი და ოდესლაც სიტყვისა და თხრობის მეშვეობით ერთეულებისთვის არსებული თვითგამოხატვის შესაძლებლობა ახლა უკვე ბევრს მიეცა. პარადოქსალურად ჟღერს, მაგრამ ეს ყველაფერი ძალიან ჰგავს მომღერალთა გუნდს, სადაც მხოლოდ სოლისტებს მოუყრიათ თავი, სადაც ერთმანეთში არეული ყველა ხმა ყურის გდებას ითხოვს, სადაც ყველა მათგანი ერთსა და იმავე ტრაექტორიას შემოწერს და ხშირად ერთმანეთს ახშობენ კიდეც. ჩვენ მათ შესახებ ყველაფერი ვიცით, მთხრობელთან თავს ვაიგივებთ და მათ ცხოვრებას ისე ვცხოვრობთ და განვიცდით, როგორც ჩვენსას. გასაოცარია, მაგრამ, მიუხედავად ამისა, უმეტეს შემთხვევაში მკითხველი მაინც უკმაყოფილო და გულგატეხილი რჩება. როგორც ჩანს, ავტორისეული „მე"-ს გადმოცემა უნივერსალურობის გარანტიას არ იძლევა. სავარაუდოდ, ის, რაც ჩვენ გვაკლია, თხზულების პარაბოლური განზომილებაა, რადგან გარკვეულ ისტორიულ თუ გეოგრაფიულ გარემოში მცხოვრები ადამიანი თვითონაც პარაბოლას გმირია. თუმცა ამავე დროს ის ტოვებს ამ კონტექსტს და ხდება „ყველა" და „ყველგან". როდესაც მკითხველი სხვის მიერ მოთხრობილ ამბავს მიადევნებს თვალს, შეუძლია მასში აღწერილ გმირთან გააიგივოს თავი, მისი ხვედრი კი ისე აღიქვას, როგორც საკუთარი, მაგრამ პარაბოლაში მან მთლიანად უნდა უარყოს თავისი თვითმყოფადობა და გახდეს „ყველა". ამ რთულ ფსიქოლოგიურ პროცესში უამრავი და ერთმანეთისგან განსხვავებული ცხოვრებისთვის სა-

ერთო გამყოფის პოვნით, პარაბოლა ჩვენ უნივერსალურ გამოცდილებას გვძენს, მისი არარსებობა კი მხოლოდ ჩვენს უმწეობას უსვამს ხაზს.

ალბათ იმიტომ, რომ გვარ-სახელების მორევში არ ჩავძირულიყავით, ლიტერატურის უზარმაზარი ლევიათანური სხეულის **ჟანრებად** დაყოფას მივყავით ხელი, სადაც ჟანრებს სპორტის სახეობებად მივიჩნევთ, მწერლებს კი კარგად გაწვრთნილ სპორტსმენებად.

მას შემდეგ, რაც ლიტერატურული ბაზრის საყოველთაო კომერციალიზაციამ ლიტერატურა დარგებად დაყო, ცალ-ცალკე, ერთმანეთისგან დამოუკიდებლად ტარდება არაერთი სხვადასხვა სახის ლიტერატურული ფესტივალი. ისინი იზიდავენ მომხმარებელთა, მკითხველთა ჯგუფებს, რომლებიც სურვილისდა მიხედვით შემოიფარგლებიან დეტექტიური, ფანტასტიკური თუ სამეცნიერო-ფანტასტიკის ჟანრით. ამ პროცესმა ერთი ყველაზე მთავარი რამ დაგვანახა: ის, რასაც, წესით, ხელი უნდა შეეწყო წიგნებით მოვაჭრეებისა და ბიბლიოთეკარებისთვის, რათა უამრავი ახლად გამოცემული წიგნი მათ სწორად განელაგებინათ თაროებზე და ამით მკითხველსაც დახმარებოდნენ აურაცხელ შეთავაზებათა არჩევანში, იქცა აბსტრაქტულ კატეგორიებად, რომლებშიც არათუ დასრულებული ნაწარმოებები იყრის თავს, არამედ თვითონ მწერალიც ამ კატეგორიების მიხედვით იწყებს წერას. ასეთი ჟანრი ხშირად კექსის ფორმას ჰგავს, სადაც ერთმანეთის მსგავსი თხზულებები „ცხვება", მათი პროგნოზირებადობა ქებას იმსახურებს, მათი ბანალურობა კი წარმატებად მიიჩნევა. მკითხველმა წინასწარ იცის, რას უნდა ელოდოს არჩეული წიგნისგან და წიგნიც უმართლებს ამ მოლოდინს. შინაგანად ყოველთვის ვეწინააღმდეგებოდი ასეთ დაყოფას, რადგან ის ზღუდავს მწერლის თავისუფლებას და უარყოფს შემოქმედებითი პროცესის უმთავრეს მახასიათებლებს - ექსპერიმენტირებას და ტრანსგრესიას. გარდა ამისა, ლიტერატურის მსგავსი სახით დანაწევრება გამორიცხავს ყოველგვარ ექსცენტრულობას, რომლის გარეშეც ხელოვნების არსებობა წარმოუდგენელია. არ არის აუცილებელი, რომ კარგი წიგნი ჟანრობრივ დაყოფას ექვემდებარებოდეს. ლიტერატურის ჟანრებად დაყოფა მისი კომერციალიზაციის, მასთან, როგორც გასაყიდ პროდუქტთან დამოკიდებულების შედეგია, რომელიც ბრენდისა და მიზნობრივი აუდიტორიის მთელ ფილოსოფიას და თანამედროვე კაპიტალიზმის სხვა გამონაგონებსაც მოიცავს.

დღეს ჩვენ მშვიდად ვადევნებთ თვალს, თუ როგორ იბადება გარე სამყაროს შესახებ თხრობის ახალი ფორმა, კერძოდ კი სერიალი, რომლის შეფარული მიზანი ჩვენი ტრანსში ჩაგდებაა. თხრობის ეს ფორმა, რა თქმა უნდა, ახალი არაა, ის ჯერ კიდევ მითოლოგიასა და ჰომეროსის თხზულებებში არსებობდა, ჰერკულესი, აქილევსი და ოდისევსი კი უდავოდ პირველი სერიალის გმირები არიან. მაგრამ დღევანდლამდე მას ამხელა მასშტაბი არ ჰქონია და არც ჯგუფურ ცნობიერებაზე მოუხდენია ასეთი ზეგავლენა. XXI საუკუნის პირველი ორი ათწლეული ჭეშმარიტად სერიალებისაა. მათი გავლენა სამყაროს აღწერის (და შესაბამისად მისი აღქმის) ფორმებზე აბსოლუტურად რევოლუციურია.

სერიალმა თავისი ახლანდელი ფორმით არათუ თხრობის დროში გაწელვა მოახერხა განსხვავებული ტემპის, განშტოებებისა და ასპექტების ფორმირებით, არამედ მასში ახალი წესებიც შემოიტანა. რადგან ხშირ შემთხვევაში სერიალის მიზანი ის არის, რაც შეიძლება დიდხანს მიიქციოს მაყურებლის ყურადღება, ის ერთდროულად რამდენიმე თემაზე მოგვითხრობს და ამ თემებს ისე წარმოუდგენლად ხლართავს ერთმანეთში, რომ ძველი, ჩიხში შესული ჯერ კიდევ კლასიკური ოპერის მიერ კომპრომეტირებული თხრობის მანერას მიმართავს, რაც მისთვის არის deus ex machina. მომდევნო ეპიზოდების დაწერისას ხშირად ad hoc იცვლება ამა თუ იმ გმირის მთლიანი ფსიქოლოგიური პორტრეტი, რათა ის კიდევ უფრო კარგად მოერგოს სერიალში მოვლენების მსვლელობას. თავიდან მშვიდი და თავდაჭერილი მოქმედი პირი ბოლოსკენ ფიცხი და შურისმაძიებელი ხდება, მეორეხარისხოვანი გმირი მთავარ გმირად გადაიქცევა, ყოფილი მთავარი გმირი კი, რომლის შეყვარებაც უკვე მოვასწარით, სრულიად კარგავს მნიშვნელობას, ან საერთოდ ქრება ეკრანიდან და გულს გვწყვეტს.

მომდევნო სეზონის გადაღების პოტენციალი ღია დასასრულს მოითხოვს, რომელიც არ იძლევა საშუალებას, დაიწყოს და ბოლომდე შენარჩუნდეს ის ფარული კათარზისი, შინაგანი გარდაქმნის განცდას, სანადელის ასრულებას, თხრობის აქტში მონაწილეობას რომ უნდა მოეტანა. გართულებული და დაუსრულებელი სახით იმ საჩუქრის მუდმივად სახვალიოდ გადადება, რასაც კათარზისი ჰქვია, მაყურებელს დამოკიდებულს ხდის და აჰიპნოზებს. დიდი ხნის წინ შეთხზული და შეჰერაზადას მონათხრობით კარგად ცნობილი Fabula interrupta[1] სერიალებში დიდი ზარზეიმით დაბრუნდა, შეცვალა ჩვენი მგრძნობელობა, თან მოიყოლა ათასი უცნაური ფსიქოლოგიური დასკვნა, მოგვწყვიტა ჩვეულ ცხოვრებას და ისე გაგვაბრუა, როგორც ნარკოტიკმა. ამავე დროს სერიალმა მსოფლიოს

1. შეწყვეტილი თხრობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალ, გაწელილ და მოუწესრიგებელ რიტმს აუწყო ფეხი, მისი ქაოტური ურთიერთობები, მისი არამდგრადობა და ცვალებადობა გაიზიარა. თხრობის ეს ფორმა ალბათ ახალი ფორმულის ყველაზე უფრო შემოქმედებითი ძიებაშია. ამ მიმართულებით სერიალში სერიოზული მუშაობა მიმდინარეობს მომავლის თხრობასა და თხრობის ახალ რეალობაზე მოსარგებად.

უპირველეს ყოვლისა, ჩვენ ვცხოვრობთ მოზღვავებული, ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაცის ხანაში.

ჩვენს წინაპრებს სწამდათ, რომ ცოდნის ხელისმიწვდომა ადამიანებს არა მარტო ბედნიერებას, ჯანმრთელობას და კეთილდღეობას მოუტანდა, არამედ თანასწორი უფლებების მქონე სამართლიან საზოგადოებასაც ჩამოაყალიბებდა. ის, რისი დეფიციტიც, მათი აზრით, მსოფლიოს ჰქონდა, იყო საყოველთაოდ გავრცელებული სიბრძნე, რომელიც ცოდნიდან იღებდა სათავეს.

უნივერსალური ცოდნის იდეით შთაგონებულმა იან ამოს კომენსკიმ (კომენიუსი), XVII საუკუნის უდიდესმა პედაგოგმა, შექმნა ტერმინი „პანსოფია“, რომელიც ყველა შესაძლო შემეცნებას დაიტევდა. უპირველეს ყოვლისა, ეს იყო ოცნება ყველასთვის ხელმისაწვდომ ცოდნაზე. განა ინფორმაციასთან წვდომას არ შეუძლია წერა-კითხვის უცოდინარი გლეხი რეფლექსიურ, საკუთარი თავისა და სამყაროს მცოდნე ერთეულად გადააქციოს? განა ცოდნა, რომელიც ერთი ხელის გაწვდენაზეა, ვერ შეძლებს იმას, რომ ადამიანები უფრო წინდახედულნი გახდნენ და თავიანთ ცხოვრებასაც გაცილებით გონივრულად წარუძღვნენ?

ჩვენ ვფიქრობდით, რომ ინტერნეტის შექმნით ამ იდეის განხორციელება სრულიად შესაძლებელი იქნებოდა. ვიკიპედია, რომელსაც მე დადებით შეფასებას ვაძლევ და თავადაც ვეხმარები, კომენსკის, ისევე როგორც ამ მიმდინარეობის ბევრ სხვა მოაზროვნეს, ადამიანთა ოცნების ახდენად მოეჩვენებოდა - აი, ჩვენ ვქმნით და ვღებულობთ ცოდნის უზარმაზარ წყაროს, რომელიც გამუდმებით ივსება, იხვეწება და დედამიწის ნებისმიერი წერტილიდან კანონიერად არის ხელმისაწვდომი.

ასრულებული ოცნებები ხშირად გულს გვიტეხს. აღმოჩნდა, რომ თურმე ჩვენ არ შეგვიძლია ამხელა ინფორმაციის ატანა, რომელიც ნაცვლად გაერთიანებისა და გათავისუფლებისა, გვყოფს, გვანაწევრებს, ჰერმეტულ ჭურჭელში გვათავსებს, ერთი და იმავე ამბის გადმოცემის მრავალნაირ ვერსიას გვაწვდის, რომლებიც ან ვერ ეთავსებიან ერთმანეთს, ან მტრულად, ანტაგონისტურად არიან განწყობილი ერთმანეთის მიმართ.

გარდა ამისა, ინტერნეტი დაუფიქრებლად ექვემდებარება საბაზრო პროცესებს და მოთამაშე-მონოპოლისტების ხელში მოხვედრილი, ფლობს გიგანტური მოცულობის მონაცემებს, რომლებსაც სრულიად არაპანსოფიურად იყენებს - იმისთვის კი არა, რომ ცოდნა ყველასთვის ხელმისაწვდომი გახდეს, არამედ მომხმარებელთა ქცევის დასაპროგრამებლად, რაც ჩვენ „კემბრიჯ ანალიტიკასთან“ დაკავშირებული სკანდალის შემდგ შევიტყვეთ.

სამყაროს ჰარმონიული ხმების ნაცვლად ჩვენ ბგერათა კაკაფონიას ვისმენთ, აუტანელ ხმაურს, და მისგან სასოწარკვეთილები ვცდილობთ, იქნებ სადმე ყური მოვკრათ ხმადაბალ მელოდიას, თუნდაც ყველაზე სუსტ რიტმს. შექსპირის ციტატის პარაფრაზი დღეს ყველაზე ზუსტად ასახავს ამ კაკაფონიურ რეალობას: ინტერნეტი დიდწილად იდიოტის მიერ ხმაურითა და მძვინვარებით სავსე მონათხრობია.

პოლიტოლოგების მიერ ჩატარებული კვლევებიც, რომელიც ემყარება მოსაზრებას, რომ რაც უფრო საყოველთაო გახდება ცოდნა მთელ მსოფლიოში, მით უფრო გონივრულ გადაწყვეტილებებს მიიღებენ პოლიტიკოსებიც, ამოს კომენსკის ინტუიციის საპირისპიროს ამტკიცებენ. როგორც ჩანს, ასე მარტივად არც აქ არის საქმე. ცოდნამ შეიძლება დაგთრგუნოს, მისი სირთულე და მრავალმნიშვნელოვნება კი ათასგვარ დამცავ მექანიზმს წარმოქმნის - დაწყებული უარყოფითა და არაღიარებით, დამთავრებული გამარტივებული, იდეოლოგიური, პარტიული აზროვნებით.

ფეიკნიუსებისა და ფეიკაპების არსებობა და სიმრავლე აჩენს ახალ კითხვებს იმაზე, თუ რა არის ფიქცია. მკითხველებს, რომლებიც მრავალჯერ აღმოჩნდნენ მათ ხაფანგში, შეცდნენ და მოტყუვდნენ, თანდათანობით ნევროზული იდიოსინკრაზია უყალიბდებათ. ფიქციით ასეთ დაღლაზე რეაქცია შესაძლოა ნონფიქშენზე დამყარებული ლიტერატურის დიდ წარმატებად იქცეს, რომელიც უსასრულო საინფორმაციო ქაოსში ხმამაღლა დაგვყვირის: „მე გიამბობთ სიმართლეს და არაფერს სიმართლის გარდა“, „ჩემი მონათხრობი მხოლოდ და მხოლოდ ფაქტებს ეფუძნება!“

ფიქციამ მკითხველთა ნდობა მას შემდეგ დაკარგა, რაც სიცრუე მასობრივი განადგურების იარაღად იქცა, მერე რა, რომ ის ძველებურად მარტივია. მკითხველები ხშირად დაეჭვებულები მეკითხებიან: „რაც დაწერეთ, სიმართლეა?“ ასეთ დროს ყოველთვის მგონია, რომ ლიტერატურის აღსასრულის დრო დადგა.

ეს, მკითხველის აზრით, უბოროტო აზრი, მწერლის ყურს აპოკალიფსივით ჩაესმის. რა ვუპასუხო? განა შეგვიძლია ავხსნათ ჰანს კასტორპის, ანა კარენინას ან ვინი პუჰის ონტოლოგიური სტატუსი?

ეროვნული

მკითხველთა ასეთ ცნობისმოყვარეობას მე ცივილიზაციის რეგრესად მივიჩნევ. ეს ჩვენს ცხოვრებად წოდებულ მოვლენათა ჯაჭვში მრავალგანზომილებიანი (კონკრეტული, ისტორიული, მაგრამ ამავდროულად სიმბოლური, მითოლოგიური) მონაწილეობის შესუსტებაზე მიუთითებს. ცხოვრებას მოვლენები ქმნიან, მაგრამ, თუ ჩვენ ამ მოვლენების ინტერპრეტაციას, მათში ჩაწვდომას, მათთვის აზრის მიცემას მოვახერხებთ, ისინი ჩვენს გამოცდილებად გადაიქცევიან. მოვლენები ეს არის ფაქტები, ხოლო გამოცდილება სრულიად განსხვავებული რამაა. სწორედ მისგან, და არა მოვლენებისგან იქსოვება ჩვენი ცხოვრება. გამოცდილება ინტერპრეტაციას დაქვემდებარებული და მეხსიერებაში ჩადებული ფაქტია. ის ფეხს იკიდებს გარკვეულ საფუძველზე, მნიშვნელობათა ღრმა სტრუქტურაზე, რომელიც ჩვენს გონებაში უკვე არსებობს და რომელზეც ჩვენს ცხოვრებას ვჭიმავთ და გულმოდგინედ ვაკვირდებით. მე მჯერა, რომ ასეთ სტრუქტურას ქმნის მითი. მითი, რომელიც ყველამ ვიცით, რომ რეალობად არასოდეს ქცეულა, მაგრამ მაინც ყოველთვის არსებობს. დღესდღეობით ის მხოლოდ ანტიკური გმირების თავგადასავლებში კი არ ცოცხლდება, არამედ თანამედროვე კინოს, თამაშების, ლიტერატურის ყველგან გავრცელებულ და ძალიან პოპულარულ ნაწარმოებებშიც აღწევს. ოლიმპოს ბინადართა ცხოვრებამ „დინასტიაში" გადაინაცვლა, ანტიკური ლიტერატურიდან ცნობილი გმირობების ჩამდენად კი ახლა ლარა კროფტი მოგვევლინა.

- ჩვენი გამოცდილების ლიტერატურულად გადმოცემის დროს, სიმართლე და სიცრუე მკვეთრად არ უნდა გაიმიჯნოს ერთმანეთისგან. მე ლიტერატურის მარტივად - ფიქციად და ნონფიქშენად - დაყოფას ენთუზიაზმით არასდროს შევხვედრივარ. ეს მხოლოდ იმ შემთხვევაშია დასაშვები, თუ ჩვენ მათ განვმარტავთ როგორც ცნებას. ფიქციის ზღვა განმარტებებიდან მე ყველაზე მეტად უძველესი, არისტოტელესეული მომწონს: **ფიქცია ყოველთვის სიმართლის რომელიღაც ნაირსახეობაა.**

ასევე დარწმუნებული ვარ იმაში, რომ გადმოცემა და ფიქცია სრულიად სხვადასხვა რამეა, რაშიც დავიმოწმებ მწერალსა და ესეისტს ედუარდ მორგან ფორსტერს. ის წერდა, რომ როდესაც ვამბობთ: „ჯერ ქმარი გარდაიცვალა, შემდეგ კი ცოლი" - ეს არის გადმოცემა, ხოლო როდესაც ვამბობთ: „ჯერ ქმარი გარდაიცვალა, შემდეგ კი მწუხარებისგან გარდაიცვალა მისი ცოლიც" - აქ უკვე ფიქციასთან გვაქვს საქმეო. ნებისმიერი ფაბულირება კითხვის - „შემდეგ რა მოხდა?", მომდევნო ნაბიჯია, ჩვენი, ადამიანური გამოცდილების საფუძველზე მისი ამოცნობის მცდელობა: „რატომ მოხდა ასე?"

ლიტერატურაც იწყება სწორედ ამ კითხვით: „რატომ?", და ეს ასეა, თუნდაც მასზე მუდამ ერთი და იგივე პასუხი გვქონდეს: „არ ვიცი". ლიტერატურა სვამს ისეთ კითხვებს, რომელთაც ვიკიპედიის დახმარებით ვერ გავცემთ პასუხს, რადგან ის სცდება ფაქტებსა და მოვლენებს და პასუხის მოსაძებნად ჩვენს გამოცდილებას მოითხოვს.

იმასაც ვხედავთ, რომ რომანი და მთლიანად ლიტერატურა თხრობის სხვა საშუალებებთან შედარებით თვალსა და ხელს შუა ხდება პერიფერიული, რომ სურათის როლი და გამოცდილების პირდაპირი გზით გადაცემის ახალი ფორმები - კინემატოგრაფი, ფოტოგრაფია, ვირტუალური და გაფართოებული რეალობა - ტრადიციული წაკითხვის სერიოზული ალტერნატივა ხდება. კითხვა აღქმის საკმაოდ რთული ფსიქოლოგიური პროცესია. მარტივად რომ ვთქვათ, თავდაპირველად ხდება ყველაზე მოუხელთებელი შინაარისის კონცეპტუალიზება და ვერბალიზება, მისი ნიშნებად და სიმბოლებად გარდაქმნა, მერე კი მისთვის „კოდის მოხსნა" და ენიდან გამოცდილებად გადაქცევა. ეს პროცესი გარკვეულ ინტელექტუალურ კომპეტენციას ითხოვს. უპირველეს ყოვლისა კი ყურადღებას და კონცენტრაციას, ანუ უნარებს, რომლებიც ჩვენს დღევანდელ, ყურადღების საშინლად გამფანტავ სამყაროში საკმაოდ გაიშვიათდა.

კაცობრიობამ გამოცდილების გაზიარების შესაძლებლობათა ძებნის გრძელი გზა გაიარა, ცოცხალ სიტყვიდან და ადამიანის მეხსიერებაზე დამოკიდებული ზეპირსიტყვიერებიდან, გუტენბერგის რევოლუციურ გამოგონებამდე, რის შემდეგაც მონათხრობის წერილობითი გადმოცემა და მისი შენახვა-გადამრავლება გახდა შესაძლებელი. ამ ცვლილების ყველაზე დიდი მიღწევა გახლდათ მომენტი, როდესაც ფიქრი წერასთან, ანუ კონკრეტული იდეების, კატეგორიებისა და სიმბოლოების გამოყენებასთან გავაიგივეთ. ცხადია, არანაკლებ მნიშვნელოვანი რევოლუციის წინაშე ვდგავართ დღესაც, როდესაც გვაქვს იმის შესაძლებლობა, რომ ჩვენი გამოცდილება სხვებს ნაბეჭდი სიტყვის გარეშეც გადავცეთ.

დღეს, როდესაც შეგვიძლია გადავიღოთ ფოტოები და შემდეგ სოციალური პორტალების მეშვეობით მთელ მსოფლიოში ყველგან და ყველასთან ერთდროულად გავგზავნოთ, აღარ არის საჭირო მოგზაურის დღიურის წარმოება. რა საჭიროა წერილის დაწერა, როდესაც დარეკვა ბევრად იოლია? რისთვის ვიკითხოთ სქელტანიანი რომანები, როდესაც შეგვიძლია სერიალში ჩავიძიროთ? მეგობრებთან შეხვედრას და სასაუბროდ ქალაქში გასვლასაც, გვიჯობს, რაიმე თამაშით შევიქციოთ თავი. ბიოგრაფიების კითხვა დავიწყოთ? არც ამას აქვს აზრი, რად-

გან ინსტაგრამზე ცნობილი სახეების ცხოვრებას მუდმივად ვადევნებთ თვალს და მათ შესახებ ყველაფერი ვიცით.

დღეს ტექსტის ყველაზე დიდი მეტოქე სურათი კი არ არის, როგორც ამას XX საუკუნეში ვფიქრობდით და გვეშინოდა, კინემატოგრაფიამ და ტელევიზიის ზეგავლენამ არ გვშთანთქასო, ეს გახლავთ სამყაროს აღქმის სულ სხვა განზომილება, რომელიც უშუალო ზემოქმედებას ახდენს ჩვენს გრძნობებზე.

## 3.

მე არ მინდა ვთქვა, რომ მსოფლიოში თხრობის მასობრივი კრიზისია. მაგრამ ხშირად შემომაწვება ხოლმე სევდა იმის გამო, რომ როდესაც სამყაროს ეკრანებიდან, აპლიკაციებიდან აღვიქვამთ, ის არარეალური, შორი, ორგანზომილებიანი, უცნაურად განუსაზღვრელი ხდება, რომ მას რაღაც აკლია, მიუხედავად იმისა, რომ ნებისმიერი კონკრეტული ინფორმაციის მოპოვება ძალიან მარტივია. დამღლელი „ვიღაც“, „რაღაც“, „სადღაც“, „ოდესღაც“ დღეს შეიძლება ისეთივე საშიში იყოს, როგორც სრული თავდაჯერებულობით კონკრეტული და განსაზღვრული იდეების გამოცხადება -დედამიწა ბრტყელია, აცრა კლავს, გლობალური დათბობა სისულელეა, უმეტეს ქვეყანებში დემოკრატიას საფრთხე არ ემუქრება. „სადღაც“ ადამიანები იხრჩობიან, რომლებიც ზღვის გადალახვას ცდილობენ. „სადღაც“ „რამდენიმეღაცა“ წლის განმავლობაში „რაღაცა“ ომი მძვინვარებს. ინფორმაციის ამ სიჭარბეში ცალკეული განაცხადის კონტურები იშლება, ის ჩვენს მეხსიერებაში იფანტება, არარეალური ხდება და ბოლოს საერთოდაც ქრება.

ძალადობის, სიბრიყვის, დაუნდობლობის სურათების უწყვეტი ნაკადი, სიძულვილით აღსავსე გამოსვლები, და მერე „სასიხარულო ინფორმაციებით“ ვითომდა მათი გადაფარვის სასოწარკვეთილი მცდელობა... შეუძლებელია გაექცე შეგრძნებას, რომლის გამოხატვა სიტყვებითაც ძალიან ძნელია: **მსოფლიოს რაღაც სჭირს.** ოდესღაც მხოლოდ ნევროტული პოეტებისთვის დაჯავშნილი ეს შეგრძნება, დღეს გაურკვევლობის ეპიდემიად იქცა, რომელიც ფორიაქისა და მოუსვენრობის ფორმით ყოველი მხრიდან ჟონავს.

იმ მცირე დარგებიდან, რომლებიც მსოფლიოს კონტექსტთან გვაკავშირებენ, ლიტერატურა ერთ-ერთია, რადგან თავისი ბუნებით ის ყოველთვის „ფსიქოლოგიურია“. ის ემყარება ლიტერატურული გმირის შინაგან ინტერესებსა და მოტივაციას, სააშკარაოზე გამოაქვს მისი გამოცდილება, რომელიც სხვა ადამიანისთვის ხელმისაწვდომი არ არის, ან, უბრალოდ, იწვევს მკითხველს თავისი ქმედებების ფსიქოლოგიური ინტერპრეტაციით. მხოლოდ ლიტერატურას ხელეწიფება ღრმად ჩაგვახედოს სხვა არსების ცხოვრებაში, გაგვაგებინოს მისი ინტერესები, გაგვიზიაროს მისი გრძნობები, განგვაცდევინოს მისი ხვედრი.

მონათხრობი ყოველთვის არსის ირგვლივ მიმოდის. მაშინაც კი, როდესაც ის მას პირდაპირ არ გადმოსცემს, როდესაც უარს ამბობს მის ძიებასა და ფორმაზე; მას მთელი დატვირთვა ექსპერიმენტზე გადააქვს, როდესაც ფორმას უჯანყდება და გამოხატვის ახალ საშუალებებს დაეძებს. თუნდაც ყველაზე ბეჰავიორულად და სიტყვაძუნწად დაწერილი ამბის კითხვისას, თავს ვერ ვიკავებთ და ვსვამთ შემდეგ კითხვებს: „რატომ ხდება ასე?“, „რას ნიშნავს ეს?“, „რა აზრი აქვს ამას?“, „საით მივყავართ ამ ყველაფერს?“. არ არის გამორიცხული, რომ ჩვენმა გონებამ ევოლუცია განიცადა და მონათხრობს ის მილიონობით იმპულსისთვის აზრის მიცემის პროცესად აღიქვამს, იმპულსებისა, რომლებიც გარს გვარტყია და ძილშიც კი განუწყვეტლივ და დაუღალავად აგრძელებენ თავიანთი ამბების თხრობას. მაშასადამე, თხრობა დაუსრულებელი რაოდენობის ინფორმაციის დროში მოწესრიგება, მათი წარსულთან, აწმყოსთან და მომავალთან კავშირის, მათი განმეორებადობის განსაზღვრა და მათი მიზეზებისა და შედეგების კატეგორიებად დაყოფა და დალაგებაა, და ამ საქმეში ჩვენი გონება და გრძნობები მონაწილეობს.

არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ ერთ-ერთი უძველესი აღმოჩენა თხრობისა, იყო ბედისწერა, რომელიც, მიუხედავად იმისა, რომ ადამიანებს ყოველთვის დაუნდობელი და საშინელი სახით ატყდებოდა თავს, მათ რეალობას აწესრიგებდა და გარდაუვალს ხდიდა.

## 4.

პატივცემულო ბატონებო და ქალბატონებო,

ფოტოზე აღბეჭდილი ქალი, დედაჩემი, რომელსაც დაბადებამდე ვენატრებოდი, ამ ფოტოს გადაღებიდან რამდენიმე წლის შემდეგ უკვე ზღაპრებს მიკითხავდა.

ერთ-ერთ მათგანში, რომელიც ჰანს ქრისტიან ანდერსენს ეკუთვნის, ნაგავში გადაგდებული ჩაიდანი ჩიოდა, რომ მას ადამიანები უსულგულოდ მოეპყრნენ - როგორც კი ყური მოსტყდა, მაშინვე თავიდან მოიშორეს. არადა, ხომ შეეძლო კიდევ დიდხანს გამოსდგომოდა მათ, ასეთი მომთხოვნები და სრულყოფილების მოყვარულნი რომ არ ყოფილიყვნენ. ჩაიდანს სხვა ნივთებიც აჰყვნენ თავიანთი პატარა, უმნიშვნელო ცხოვრებიდან ეპიკური ამბების მოყოლით.

ბავშვობაში აალებული სახითა და ცრემლჩამდგარი თვალებით ვუსმენდი ამ ზღაპარს, რადგან მჯეროდა, რომ როგორც ჩვენ, ადამიანებს, ნივთებსაც ჰქონდათ თავიანთი გასაჭირი, გრძნო-

ბები და გარკვეული საზოგადოებრივი ცხოვრებაც კი. ბუფეტში ჩამწკრივებულ თეფშებს ერთმანეთთან საუბარი შეეძლოთ, უჯრაში ჩაწყობილი დანა-ჩანგალი დიდი ოჯახივით ცხოვრობდა. ჩემთვის ცხოველები იდუმალი, ბრძენი და თავისთავში ჩახედული არსებები იყვნენ, რომლებსაც ჩვენ სულიერად ვენათესავებოდით. თავისი ყოფა ჰქონდათ მდინარეებს, ტყეებს და გზებსაც - ისინიც სულიერი არსებები გახლდნენ, რომლებიც ჩვენს რუკებს ადგენდნენ და ამა თუ იმ ადგილს მიგვაკუთვნებდნენ, ანუ იდუმალ Raumgeist-ს, ადგილის სულს გვილევიძებდნენ. ცოცხალი გახლდათ ლანდშაფტიც, რომელიც ჩვენ ნინაშე იშლება, მზე და მთვარეც და ყველა დანარჩენი ციური სხეულიც. ერთი სიტყვით, მთელი ხილული და უხილავი სამყარო.

როდის დავეჭვდი ამაში? მე ჩემს ცხოვრებაში იმ მომენტს დავეძებ, რომელშიც თითქოს ყველაფერი ერთი ხელის მოსმით გადასხვაფერდა, ნაკლებად დეტალიზებული გახდა, გამარტივდა. სამყაროს ჩურჩული მინყდა, ის ქალაქების გუგუნმა, კომპიუტერების შიშინმა, თვითმფრინავების გრუხუნმა და ინფორმაციათა ოკეანეების დამღლელმა თეთრმა ხმაურმა ჩაანაცვლა.

ჩვენი ცხოვრების გარკვეული ეტაპიდან ვიწყებთ სამყაროს ფრაგმენტებში ჩაწვდომას. ყველაფერს ცალ-ცალკე, ერთმანეთისგან გალაქტიკებიცით დაშორებულ ნატეხებად აღვიქვამთ, და სინამდვილე, რომელშიც ვცხოვრობთ, გვარწმუნებს, რომ: ექიმები გვმკურნალობენ თავიანთი სპეციალობების მიხედვით, რომ გადასახადებს იმ ქუჩის გადათოვლასთან, რომლითაც სამსახურში დავდივართ, არაფერი ესაქმებათ, რომ ჩვენს სადილს არანაირ კავშირი არა აქვს, მეცხოველეობისა და მეფრინველეობის უზარმაზარ ფერმებთან, და არც ჩვენს ახალ ზედატანს აქვს რაიმე საერთო აზიის რომელიმე საზიზღარ ფაბრიკასთან. ყველაფერი აკურატულადაა ერთმანეთისგან გამოცალკევებული და ერთმანეთისგან დამოუკიდებლად არსებობს.

ეს რომ იოლად გადავიტანოთ, ამისათვის ვიღებთ ნომრებს, იდენტიფიკატორებს, ბარათებს, მოუქნელ პლასტმასის ტლანქ პირადობებს, რომლებიც ცდილობენ, ჩვენი მთლიანობა, რომელსაც ველარ ვხედავთ, რომელიღაც ნაწილაკის მომხმარებლის დონეზე დაიყვანონ.

სამყარო კვდება, და ჩვენ ამას ველარც კი ვამჩნევთ. ვერ ვამჩნევთ, რომ სამყარო ემსგავსება ნივთებისა და მოვლენების გროვას, ის მკვდარ სივრცედ გარდაიქმნება, რომელშიც ვილაცის მიერ მიღებული გადაწყვეტილებებით მოტაცებულნი, გაუგებარი ბედისწერით შეპყრობილნი, ისტორიის ან შემთხვევის ხელში ჩავარდნილი სათამაშოების შეგრძნებით, მარტოები და გზააბნეულები გადავადგილდებით. ჩვენი სულიერება ან ქრება, ან ზედაპირული და რიტუალური ხდება, ან კიდევ, ჩვენ მარტივი ძალების ფიზიკური ძალა იქნება ეს, საზოგადოებრივი თუ ეკონომიკური, თაყვანისმცემლები ვხდებით, რომლებიც ისე გვამოძრავებენ, თითქოს ზომბები ვიყოთ.

## 5.

მთელი ცხოვრება მაინტერესებდა სამყაროში მიმდინარე მოვლენების ურთიერთკავშირი და ურთიერთზეგავლენა - „დევნილებში" სწორედ ამაზე გავამახვილე ყურადღება - რასაც ძალიან ხშირად ვერც ვაცნობიერებთ და სრულიად შემთხვევით აღმოვაჩენთ ხოლმე როგორც უცნაურ დამთხვევებს, გადაკვეთებს, ხიდებს, ჭანჭიკებს, მაკავშირებლებს. მე მიტაცებს ფაქტების ერთმანეთთან დაკავშირება, მათში ფარული წესრიგის ძებნა და სრულიად დარწმუნებული ვარ იმაში, რომ მწერლის გონება არის სინთეზური, რომელიც ჯიუტად აგროვებს ყველა ნამცეცს, რათა სამყარო ხელახლა შეაწებოს და გაამთლიანოს.

როგორ ვწეროთ, როგორ ავაგოთ ჩვენი თხზულება, რომ მან სამყაროს ამ ვეებერთელა კონსტელაციური ფორმის ზიდვა შეძლოს?

რა თქმა უნდა, ვხვდები, რომ სამყაროს შესახებ ისეთ თხრობას, რომელსაც მითოლოგიიდან, ზღაპრებიდან, ლეგენდებიდან ვიცნობთ, როდესაც ის, თაობიდან თაობისთვის ზეპირად გადაცემული სიტყვით ქმნიდა სამყაროს ამბავს, ველარ დავუბრუნდებით. დღეს ასეთი თხრობა გაცილებით რთული და მრავალგანზომილებიანი უნდა ყოფილიყო. ახლა ხომ მაშინდელზე ბევრად მეტი ვიცით და ერთმანეთისგან ვითომდა წარმოუდგენლად შორს მყოფი მოვლენების დაუჯერებელ ურთიერთკავშირზეც საკმაოდ ბევრი გვსმენია.

მოდით, მსოფლიო ისტორიიდან ერთ კონკრეტულ მომენტზე შევაჩეროთ ყურადღება:

1492 წლის 3 აგვისტოა, ის დღე, როდესაც ესპანეთში, პორტპალოსიდან ზღვაში პატარა კარაველა „სანტა მარია" შეცურდება, რომლის კაპიტანიც ქრისტოფერ კოლუმბია. მზიანი დღეა. მეზღვაურები სანაპიროზე გამოშლილან. პორტის მუშები გემზე სურსათით სავსე უკანასკნელ ყუთებს ეზიდებიან. ცხელა, მაგრამ დასავლეთიდან მონაბერი მსუბუქი ნიავი ახლობლებთან გამოსამშვიდებლად მოსულ ოჯახის წევრებს გულის წასვლას არ ანებებს. სატვირთო ბაქანზე თოლიები დააბიჯებენ და ინტერესით შესცქერიან მოფუსფუსე ადამიანებს.

დროის მიღმა დანახულ ამ მომენტს 56-დან 60 მილიონამდე მკვიდრი ამერიკელის სიცოცხლე შეეწირა. მათი პოპულაცია მაშინ დედამიწის საერთო მოსახლეობის 10 პროცენტს შეადგენდა. ევროპელებმა მათ გაუფრთხილებლობით მომაკვდინებელი საჩუქრები - სნეულებები და ბაქტერიები ჩაუტანეს, რომელთა მიმართაც ამერიკის

კონტინენტის ძირძველ მცხოვრებლებს იმუნიტეტი არ ჰქონდათ. ამას დაემატა მათი უზოდიშო დამონება და ამოჟლეტა. ეს პროცესი მრავალი წელი გრძელდებოდა და ცვლიდა ქვეყანას. იქ, სადაც ადრე გონივრულად მოწყობილი სარწყავი სისტემით დატენიანებულ მინდვრებში ლობიო და სიმინდი, პამიდორი და კარტოფილი იზრდებოდა, ველური მცენარეული საფარი დაბრუნდა. თითქმის 60 მილიონი ჰექტარი დამუშავებული მიწა თანდათანობით გაუვალ ჯუნგლებად გადაიქცა.

მცენარეული საფარის მიერ დიდი ოდენობით ნახშირორჟანგის შთანთქმამ სათბურის ეფექტი შეასუსტა, ამან კი, თავის მხრივ, გლობალური ტემპერატურის ვარდნა გამოიწვია.

ეს გახლავთ ერთ-ერთი მეცნიერული ჰიპოთეზა, რომელიც ცდილობს დაადგინოს ევროპაში მომხდარი მცირე გამყინვარების მიზეზები, რასაც XVI საუკუნის მიწურულს კლიმატის გრძელვადიანი გაცივება მოჰყვა.

მცირე გამყინვარების ეპოქამ, ბუნებრივია, ევროპის სოფლის მეურნეობაზეც იქონია გავლენა. გრძელმა და ყინვიანმა ზამთრებმა, გრილმა ზაფხულებმა და ინტენსიურმა ნალექებმა, რომელიც რამდენიმე დეკადა გრძელდებოდა, მოსავალი შეამცირა. დასავლეთ ევროპაში მცირე საოჯახო ფერმებს, რომლებიც აქამდე ოჯახისთვის სამყოფ მოსავალს ილებდნენ, ახლა უკვე გაუჭირდათ თავის გატანა. ყველგან შიმშილი მძვინვარებდა. აუცილებელი გახდა პროდუქციის სპეციალიზება. ინგლისმა და ჰოლანდიამ, რომლებმაც ყველაზე მწარედ იწვნიეს კლიმატური ცვლილებების „სიკეთე“, სასოფლო-სამეურნეო დარგებს რომ ვეღარ გაართვეს თავი, ვაჭრობას და წარმოების განვითარებას მიჰყვეს ხელი. ქარიშხლებისგან თავის დასაცავად ჰოლანდიელებს ჭაობებისა და ზღვის წყალმარჩხი ადგილების პოლდერებად გადაქცევა დასჭირდათ. ვირთევზების სამხრეთისკენ გადანაცვლება და იქ დამკვიდრება, რამაც სკანდინავიის ქვეყნები კატასტროფის წინაშე დააყენა, ინგლისისა და ჰოლანდიისთვის საკმაოდ ხელსაყრელი აღმოჩნდა და სულ მალე ეს სახელმწიფოები საზღვაო და სავაჭრო იმპერიებად გადაიქცნენ. ტემპერატურის კლება განსაკუთრებული სიმწვავით აისახა სკანდინავიის ქვეყნებზეც. განყდა კავშირი მწვანე გრენლანდიასა და ისლანდიასთან. მკაცრმა ზამთრებმა მოსავალი მკვეთრად შეამცირა და ამ ქვეყნებში წლობით დაისადგურა შიმშილმა და მატერიალურმა სიდუხჭირემ. შვედეთმა ხარბი მზერა მიაპყრო სამხრეთს და თავს დაესხა პოლონეთს (ამ დროს ბალტიის ზღვა მთლიანად იყინებოდა და იოლი იყო მასზე ჯარის გატარება), ევროპასთან კი ოცდაათწლიან ომში ჩაება.

მეცნიერები, რომლებიც ჩვენი რეალობის უკეთესად ახსნას ცდილობენ, მას ერთიან გამტარად, გადატვირთულ ქსელად მოიხსენიებენ. ეს არა მხოლოდ საყოველთაოდ ცნობილი „პეპლის ეფექტია“, რომელიც, როგორც მოგეხსენებათ, იმაში მდგომარეობს, რომ ნებისმიერი პროცესის დასაწყისში მინიმალურმა ცვლილებებმა ბოლოს შეიძლება კოლოსალური გაუთვალისწინებელი შედეგები გამოიღოს, არამედ მას შეუძლია შეას უსასრულოდ ბევრი პეპელა მათი მუდმივად მოფართქალე ფრთებით - ცხოვრების მძლავრი ტალღა, რომელიც ერთი დროიდან მეორე დროში ინაცვლებს.

„პეპლის ეფექტის“ აღმოჩენა, ჩემი აზრით, არის ადამიანთა უზენაესობის შეგრძნების, მათი ურყევი რწმენის დასასრული, რომ ისინი ამ სამყაროს ბატონ-პატრონები, მმართველები არიან. ეს ადამიანს სრულებითაც არართმევს უფლებას იყოს მშენებლი, დამპყრობელი ან გამომგონებელი, სამაგიეროდ თვალს უხელს რეალობაზე, რომელიც იმაზე ბევრად უფრო რთულია, ვიდრე მას წარმოუდგენია. და რომ თვით ადამიანი სამყაროში მიმდინარე პროცესების ციცქნა ნაწილაკია. თანდათან სულ უფრო და უფრო მეტი მტკიცებულება გვიგროვდება მთლიანი გლობუსის სკალაზე სპექტაკულარული და ზოგჯერ მართლაც ზედმეტად განსაცვიფრებელი ურთიერთდამოკიდებულებებისა.

ჩვენ ყველანი - ადამიანები, მცენარეები, ცხოველები, საგნები - ერთსა და იმავე სივრცეში ვართ ჩაძირულები, რომელსაც ფიზიკის კანონები განაგებენ. ამ ერთიან სივრცეს გააჩნია თავისი ფორმა, ფიზიკის კანონები კი მასში უამრავ ერთმანეთთან დაკავშირებულ ფორმებს ქმნიან. ჩვენი სისხლის მიმოქცევის სისტემა მდინარის შენაკადებს ჰგავს, ფოთლის აგებულება ადამიანთა საკომუნიკაციო სისტემებს გვაგონებს, გალაქტიკების გადაადგილება - ჩვენს ნიჟარებში დაგუბებული წყლის გაშვებისას წარმოქმნილ მორევს, ადამიანთა საზოგადოებების განვითარება - ბაქტერიების კოლონიებს. ჩვენი მეტყველება, ფიქრის უნარი, შემოქმედება, აბსტრაქტული და სამყაროსგან მოწყვეტილი არგახლავთ, ის არის მასში განუწყვეტლივ მიმდინარე ცვლილებების სხვა სიბრტყეში განვრცობა.

## 6.

დიდი ხანია ვფიქრობ, შესაძლებელია თუ არა საძირკვლის ჩაყრა ახალი, უნივერსალური, ერთიანი, დაუნაწევრებელი, ბუნებაში ფესვგადგმული, კონტექსტებით სავსე და ამავდროულად ყველასთვის თანაბრად გასაგები თხრობისთვის.

არის თუ არა შესაძლებელი ისეთი თხრობა, რომელიც „მე“-ს არაკომუნიკაბელურ საპყრობილეს გაექცეოდა, რეალობის დიდ არეალს გააშიშვლებდა და მასში არსებულ ურთიერთკავშირებს აღწერდა? რომელიც უარს იტყოდა კარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გად გატკეპნილ ცხადსა და „საყოველთაოდ აღიარებული შეხედულებების“ ბანალურ ცენტრზე და ექსცენტრიკულ, ცენტრიდან დაშორებულ ამბებს მიაპყრობდა ყურადღებას?

მოხარული ვარ, რომ ლიტერატურამ საუკეთესოდ შეინარჩუნა უფლება, ყოფილიყო ყოვლად უცნაური, ფანტასმაგორიული, პროვოკაციული, გროტესკული და შეშლილი. ვოცნებობ თვალსაწიერის გაფართოებასა და შეუზღუდავ შესაძლებლობებზე, სადაც კონტექსტი ბევრად სცილდება მოსალოდნელს; ვოცნებობ ენაზე, რომელიც გასცდება კულტურათაშორის განსხვავებებს, ისევე როგორც ტევად, ტრანსგრესიულ ჟანრზე, რომელსაც მკითხველი შეიყვარებს; ვოცნებობ ახალი სახის - „მეოთხე პირის“ მთხრობელზე, რომელიც მხოლოდ გრამატიკული კონსტრუქცია კი არ იქნება, მას შეეძლება ერთად მოაქციოს ყველა მოქმედი პირის პერსპექტივა და, ამასთან, მაშინ დატოვოს თითოეული მათგანის სივრცე, როცა მოუნდება; რომელიც ბევრად მასშტაბურად და განსხვავებული თვალით შეხედავს ყველაფერს; რომელსაც შეეძლება დროის უარყოფა. დიახ, მისი არსებობა სავსებით შესაძლებელია.

ოდესმე იმაზე თუ დაფიქრებულხართ, ვინ არის ის საოცარი მთხრობელი, რომელიც ბიბლიაში ყველას გასაგონად ამბობს, „პირველად იყო სიტყვა“? ვინც სამყაროს შექმნის პირველ დღეს აღწერს, როდესაც ქაოსი გამოეყო წესრიგს? ვინც კოსმოსის შექმნის სერიალს თვალს ადევნებს? ვინც იცის, რაზე ფიქრობს, ეჭვობს თუ ჭოჭმანობს ღმერთი და ხელის აუკანკალებლად გადააქვს ქაღალდზე დაუჯერებელი წინადადება: „და დაინახა ღმერთმა, რომ ეს კარგი იყო“. ვინ არის ის, ვინც იცის, რას ფიქრობდა ღმერთი?

თუ ყოველგვარ თეოლოგიურ ეჭვს გამოვრიცხავთ, შეგვიძლია ეს იდუმალი და მგრძნობიარე მთხრობელი შესანიშნავ და სახასიათო მთხრობლად მივიჩნიოთ. ეს არის წერტილი, პერსპექტივა, საიდანაც ყველაფერი ხელისგულივით მოჩანს. ხედავდე ყველაფერს, ნიშნავს აღიარო და ფაქტად მიიჩნიო ერთიანობაში მყოფთა ურთიერთკავშირი თუნდაც მაშინ, როდესაც ისინი ჩვენთვის ჯერ შეუცნობელია. ის ასევე ნიშნავს სამყაროზე აღებულ სრულიად სხვაგვარ პასუხისმგებლობასაც, რადგან შენთვის ცხადი ხდება, რომ თითოეული „აქ“ გაკეთებული მოძრაობა დაკავშირებულია „იქ“ გაკეთებულ მოძრაობასთან, რომ მსოფლიოს ერთ ნაწილში მიღებული გადაწყვეტილება მსოფლიოს სულ სხვა ნაწილზეც მოახდენს გავლენას, რომ „ჩემად“ და „სხვისად“ დაყოფის მართებულობა უზარმაზარი კითხვის ნიშნის ქვეშ დგას.

აუცილებელია, რომ ჩვენმა გულწრფელმა მონათხრობმა მკითხველს ერთიანობის განცდა გაუჩინოს, ფრაგმენტებისგან მთლიანი, დასრულებული სურათი დაანახოს, წვრილმანებში მთლიან კონსტელაციაში მიმდინარე მოვლენები აღმოაჩენინოს. უნდა ვყვებოდეთ, რათა ნათელი გახდეს, რომ ის ყველა და ყველაფერი, რასაც დედამიწის ყოველ შემობრუნებაზე ბეჯითად ვქმნით ჩვენს გონებაში, ერთ საყოველთაო წარმოსახვაში სუფევს.

ლიტერატურას შესწევს ამის ძალა. საკმარისია, უარი ვთქვათ მის მაღალ და დაბალ კატეგორიებად, პოპულარობისა და რაიმე სხვა ნიშნით მის დახარისხებაზე, სერიოზულად არ აღვიქვათ მისი ჟანრებად დაყოფა, უარი ვთქვათ განსაზღვრებაზე - „ეროვნული ლიტერატურა“, რადგან კარგად მოგვეხსენება, რომ ლიტერატურული კოსმოსი ერთიანი და განუყოფელია, ისევე როგორც იდეა unus mundus[2] , საერთო ფსიქიკური რეალობისა, რომელიც ჩვენს ადამიანურ გამოცდილებას აერთიანებს, სადაც ავტორისა და მკითხველის როლები თანაბრად არის გადანაწილებული - პირველი ქმნის, ხოლო მეორე შექმნილის ინტერპრეტაციას ახდენს.

იქნებ საჭიროა, ვენდოთ ფრაგმენტს, რადგან ფრაგმენტები ისეთ კონსტელაციებს ქმნიან, რომელთაც ბევრად მეტის და გაცილებით კომპლექსური, მრავალგანზომილებიანი აღწერა ხელეწიფებათ. ასეთ შემთხვევაში ჩვენს მონათხრობებს უწყვეტი კავშირი ექნებოდათ ერთმანეთთან, ისევე როგორც მათ გმირებს.

ვფიქრობ, რომ დროა, დავივიწყოთ დღევანდელი გაგებით რეალიზმის ცნების მნიშვნელობა და მის ნაცვლად მოვძებნოთ ისეთი სახელი, რომელიც ჩვენი „ეგოს“ საზღვრების გადაკვეთის და იმ ეკრანს მიღმა გასვლის საშუალებას მოგვცემს, რომლის მეშვეობითაც სამყაროს ვხედავთ და აღვიქვამთ. რეალობის მოთხოვნილებას დღეს ხომ მასმედიის, სოციალური ქსელებისა და ინტერნეტში პირადი ურთიერთობების მეშვეობით ვიკმაყოფილებთ. იქნებ ის, რაც ჩვენთვის გარდაუვალია, რაღაც ნეოსიურრეალიზმია, განახლებული მსოფლმხედველობა, რომელიც პარადოქსის წინაშე უკან არ დაიხევს და მარტივი მიზეზ-შედეგობრივი წესრიგის საპირისპირო მიმართულებით დაიწყებს მოძრაობას. დიახ, ჩვენი რეალობა სიურრეალობად გადაიქცა. დარწმუნებული ვარ იმაშიც, რომ საჭიროა ახალი სამეცნიერო თეორიებით შთაგონებულებმა ბევრი მონათხრობი სულ სხვა ინტელექტუალურ კონტექსტში გადავწეროთ. ასევე მნიშვნელოვნად მიმაჩნია მითთან და ზოგადსაკაცობრიო წარმოსახვასთან მუდმივ კავშირში დარჩენაც. მითოლოგიის მჭიდრო სტრუქტურასთან

2. ერთი სამყარო

ეროვნული ბიბლიოთეკა

მსგავსი დაბრუნება ამ უსაზღვრობაში, სადაც ჩვენ ცხოვრება გვიწევს, მცირეოდენი მდგრადობის განცდას შემოიტანდა. მე მწამს, რომ მითები ჩვენი ფსიქიკის საშენ მასალას წარმოადგენს და მათი უარყოფა შეუძლებელია (უკეთეს შემთხვევაში, შესაძლოა ადამიანი ვერ აცნობიერებდეს მათ ზეგავლენას).

დარწმუნებული ვარ, მალე გამოჩნდება ვინმე გენიოსი, რომელიც შეძლებს სრულიად განსხვავებული, დღესდღეობით წარმოუდგენელი თხრობის კონსტრუირებას, სადაც თავს მოიყრის ყველაფერი, რაც მნიშვნელოვანია. თხრობის ასეთი სტილი უადავოდ მოახერხებს ჩვენს შეცვლას. ჩვენ მივატოვებთ ძველ, შემზღუდველ პერსპექტივებს და ახლებს გავუღებთ კარს, რომლებიც სადღაც ყოველთვის არსებობდნენ, მაგრამ ჩვენ მათ ვერ ვამჩნევდით.

თომას მანი „დოქტორ ფაუსტუსში" წერდა კომპოზიტორზე, რომელსაც მის მიერ გამოგონილი მუსიკის ახალი სახეობით ადამიანის აზროვნების შეცვლა შეეძლო. მაგრამ მწერალს არ აღუწერია, როგორი უნდა ყოფილიყო ეს მუსიკა, მან შექმნა მხოლოდ წარმოსახვითი სურათი, თუ როგორ შეიძლებოდა გაეჟღერა მას. იქნებ ხელოვანთა დანიშნულებაც სწორედ ეს არის - გვიჩვენონ პირველსახე იმისა, რისი არსებობაც შესაძლებელია, და ამ გზით დაბადონ ის ადამიანის წარმოსახვაში? წარმოსახული კი, მოგეხსენებათ, უკვე ყოფნაში არსებობის პირველ სტადიაა.

**7.**

მე ფიქციას ვწერ, მაგრამ მათში თითიდან გამოწოვილი არაფერია. როდესაც ვწერ, შინაგანად ყველაფერი უნდა ვიგრძნო. ჩემში უნდა გავატარო წიგნში არსებული თითოეული არსება, ნივთი, ყველაფერი ის, რაც ადამიანურია და რაც ადამიანის მიღმაა, სულიერიც და უსულოც. თითოეულ ნივთსა და პიროვნებას გაფაციცებით უნდა დაეაკვირდე ახლოდან, მერე კი ჩემში განვასახიერო.

ამაში მგრძნობიარობა მეხმარება, რადგან მგრძნობიარობა განსახიერებისა და თანაგრძნობის, აქედან გამომდინარე კი, მსგავსებათა მუდმივი ძიებისა და პოვნის ხელოვნებაა.

თხზულების წერა დაუსრულებელი გაცოცხლების პროცესია, ყოფის მინიჭებაა სამყაროს ისეთი ნამცეცებისთვის, როგორიც ადამიანური გამოცდილება, განცდა და მოგონება გახლავთ. იქ, სადაც მგრძნობიარობაა, ყველაფრის გაპიროვნება ხდება, ყველაფერს ხმა, სივრცე, დრო და სახე ეძლევა. სწორედ მგრძნობიარობა განაპირობებს იმას, რომ ჩაიდანი ლაპარაკს იწყებს.

მგრძნობიარობა სიყვარულის ყველაზე თავმდაბალი გამოხატულებაა. ის მისი ერთ-ერთი სახეობაა, რომელიც არ გვხვდება წერილებსა და სახარებაში, მას არც იფიცებენ და არც იმოწმებენ. მგრძნობიარობას ემბლემაში არანაირი სიმბოლო არ გააჩნია, ის არც დანაშაულისკენ უბიძგებს ვინმეს და არც ეჭვიანობისკენ.

მგრძნობიარობა ჩნდება იქ, სადაც დაკვირვებით და ინტერესით ვადევნებთ თვალს სხვის ყოფას, იქ, სადაც არ არის „მე".

მგრძნობიარობა სპონტანური და უანგაროა, ის ბევრად უფრო მეტია, ვიდრე ემპათიური თანაგრძნობა. ის შეგნებული, თუმცა, ალბათ, ცოტა მელანქოლიური გაზიარებაა ხვედრისა. მგრძნობიარობა სხვისი ყოფის ღრმა განცდაა, მისი სიმყიფის, განუმეორებლობის, ტკივილისა და დროის ზემოქმედების წინაშე არამდგრადობის განცდა.

მგრძნობიარობა ამჩნევს ჩვენს შორის არსებულ კავშირებს, მსგავსებას, თვითმყოფადობას. ის ხედვის ერთგვარი წესია, რომელიც სამყაროს როგორც ცოცხალს, როგორც ცხოველს, ერთმანეთზე გადაჯაჭვულ, ერთმანეთთან მოთანამშრომლე და ერთმანეთზე დამოკიდებული ნაწილებისგან შემდგარ ერთიანობას განიხილავს.

ლიტერატურაც ჩვენგან განსხვავებული ნებისმიერი სხვა ყოფის მიმართ მგრძნობიარობას ემყარება. თხზულების ძირითადი ფსიქოლოგიური მექანიზმიც სწორედ ეს გახლავთ. ამ გასაოცარი იარაღის, ადამიანთა შორის ურთიერთობის ამ ყველაზე დახვეწილი ფორმის წყალობით ჩვენი გამოცდილება დროში მოგზაურობს და იმათთანაც მიაღწევს, ვინც ჯერ არ დაბადებულა, მაგრამ ვინც ერთ მშვენიერ დღეს ხელში აიღებს და გადაფურცლავს ჩვენს დაწერილს, იმას, რაც საკუთარი თავებისა და სამყაროს შესახებ ჩვენ მოვუთხრეთ მათ.

წარმოდგენა არა მაქვს, ვინ იქნებიან ისინი და როგორი იქნება მათი ცხოვრება, თუმცა მე მათზე ხშირად ვფიქრობ და დანაშაულისა და სირცხვილის გრძნობა მეუფლება.

ის კლიმატური და პოლიტიკური კრიზისი, რომლის დაძლევასაც დღეს ასე მონდომებით ვცდილობთ სამყაროს გადასარჩენად, თავისით არ მოსულა. ხშირად გვავიწყდება, რომ ეს ბედისწერა და ბედის ჩარხის უკუღმა ტრიალი კი არ არის, კონკრეტული ქმედებებისა და ეკონომიკური გადაწყვეტილებების შედეგია. სიხარბემ, ბუნებისადმი უდიერმა მოპყრობამ, ეგოიზმმა, წინდაუხედაობამ, დაუსრულებელმა შეჯიბრმა და უპასუხისმგებლობამ სამყარო აქცია ნივთად, რომელიც შეიძლება დავანაწევროთ, მოვიხმაროთ, გავანადგუროთ.

**ამიტომ მგონია, რომ ისე უნდა მოგითხროთ სამყაროზე, როგორც ერთიან ცოცხალ ორგანიზმზე, რომელიც უწყვეტად ყალიბდება ჩვენ თვალწინ და რომლის პატარა, მაგრამ იმავდროულად ძლევამოსილი ნაწილი ჩვენც ვართ.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მანანა მენაბდე

# იმედის პატარა ორკესტრი..."



ავიღე თუ არა ხელში ბულატის ნაჩუქარი წიგნი **„*იმედის პატარა ორკესტრი*...“** და სავარძელში მოხერხებულად მოვენყვე, იმ წამსვე ტელეფონი აბზუილდა. ლაიფციგი მთხოვდა სამი კონცერტის ჩატარებას. ეს წიგნი ხელში რომ არ ამეღო, ჩემს კონცერტებს ნეტა რა ემველებოდა?!..

. . . . . . . . . . . . . . . . . . . .

რაც კი ხელში მხვდება, ზურგჩანთაში ვყრი...
სიჩქარეში გიტარა კინაღამ მრჩება.
ვაგონში ასვლისთანავე მატარებელი იძვრის.
ფანჯარასთან ვჯდები.
მესამე დღეა გაუთავებლად წვიმს.

მატარებელი უკან იტოვებს მომტირალ ბერლინს. წვიმა თავგამეტებით ასკდება ფანჯრებს. წვეთები, სანამ ბორბლებს ჩაუვარდებოდნენ, წამიერად ჩერდებიან მინაზე, თითქოს სიკვდილის წინ, ვაგონის ფანჯრებიდან სურთ თვალი შეავლონ ყველა სულიერს. ვაგონი, წვიმა, ფანჯრებს მიღმა შორეული, მწვანე, ხელშეუხებელი ხასხასა პეიზაჟი, მგზავრების ზუზუნი, რაღაც შორეულსა და ნაცნობს მაგონებს...

ვაგონში - ზოგს სძინავს, ზოგი ეწევა, ვიღაცას ყურსასმენები უკეთია და მუსიკას უსმენს, ზოგი ლეპტოპში ყვინთაობს... ჩემს გვერდითა სავარძელში ახალგაზრდა ქალი, კლაუდია შიფერს რომ ჰგავს და კაცის გულივით ორივე სავარძელი დაუპყრია, ჟურნალ „Top Model“-ში ჩაფლულა.

ყველაფერი უცხოა ირგვლივ. მეც უცხო ვარ საკუთარი თავისთვის. ვზივარ ასე გასხვისებული საკუთარი თავისგან და გაუთავებელ წვიმის წვეთებს მივშტერებივარ, თითქოს მათი ვინაობის გამოცნობა შემეძლოს. ასე იცის გერმანიაში, ადრე ღამდება, გვიან თენდება, მზე 10 თვე არ გვენახება და სულ ფეხებზე კიდია, ქართველი რომ ხარ და უმზეობა განადგურებს. რამხელა დრო გასულა, რაც აქეთ ვარ... რატომ მოვიგონეთ ჩვენს მოსაკლავად დრო, რომელიც მარადიულია და სიგრძე-სიგანე არ აქვს? რად გვინდოდა ასეთი თავსატეხი ამბავი?! რა, ვაშლის მეტი ხილი არ იყო ედემის ბაღში, მაინცდამაინც ვაშლს რომ ეძგერნენ?! ჰოდა, რატომღა გვიკვირს ჩვენი სიბეცის, უგულობის, ორგულობის, უსიყვარულობის?!?!! ვიხადოთ ახლა „არმანიში“, „ვერსაჩეში“, „დოლჩე და გაბანაში“, „კრისტიან დიორში“ ოთუზბირი... შიშველი მეფისკენ კი ხელები გავიშვიროთ და ხმის დაკარგვამდე ვიყვიროთ: „რა დიდებული ტანისამოსი აცვია მეფეს!“ დრო... ჩვენი ყოფიერების უმოწყალო მსაჯული. თავს ვაქნევ, რომ ფიქრი, მეხსიერების სანაგვეში მოვისროლო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩანთიდან ბულატის წიგნს ვიღებ: „*მე უკვე კარგად გაგიცანი... შენ ყველაფერი გსურს დამავიწყო, რასაც მივეჩვიე. შენ უსიტყვოდ გსურს დამიმონო?..* მატარებელი სინათლის სიჩქარით მიქრის... ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს ადგილზე ვდგავართ. ჩამოცხა. თასმებს ვიხსნი. კლაუდია შიფერი თითქოს ტყავს იძრობსო, თოვლივით თეთრ ბუმბულის ჟაკეტს ზანტად, ზმორებ-ზმორებით იხდის, შემდეგ ძვირიან, მოდურ, ვარდისფერ „ბასანოშკებს" იძრობს. ვარდისფერი კლანჭებით ნაზად და სიყვარულით ეხება თავის გრძელ, გარუჯულ ფეხებს და ორ სავარძელზე სიამის კატასავით წვება. ვპოულობ მიტოვებულ ადგილს და ვაგრძელებ: *„- ხედავ გერმანელებს რა მანქანები ყავთ? - მეკითხება კოლია - ბრეზენტი და მთელი ამბები. როგორც სახლში, ისე სხედან. აქ კი...*

*- მე უკვე ფეხებს ველარ ვგრძნობ, - ამბობს საშკა ზალატარიოვი. - „ვალინკებს" ჩავიცვამდი. პიმებს. სიფათი - ეშმაკსაც წაუღია, მთავარი - ფეხებია...*

*- მე კი... ჯანდაბას ვალინკები. ჩექმები იყოს. ფართე ყელით. გემებივით. რომ წყალში ჩადგე - და არაფერი, თოვლში ჩადგე - და არაფერი. თუ გინდა მთელი ღამე იდექი. კიბატონო...*"

ჩემი თვალები კალიასავით სკუპ-სკუპით წიგნიდან ვაგონისკენ მიხტის... კუპეში სტრიპტიზია. ისე ცხელა, ყველა იხდის. სულთამხუთავ ქურთუკს თავიდან ვიშორებ. შოკოლადისფერი კლაუდია შიფერი თითქმის გაშიშვლდა. გამტერებული მისჩერებია ფანჯარას, ჟურნალი გვერდით გაუწევია, მაგრამ თავისი გრძელი კლანჭებით, როგორც უკანასკნელ იმედს, ისე ებლაუჭება. ალბათ, ვერსაჩესთან ან შანელთან კარიერაზე ოცნებობს. ჩემი თვალები - კალიები კვლავ წიგნშია: *- ვხედავ... აი ნინოჩკა. არც თუ ისე მაღალი მთიდან ეშვება. მის გვერდით უცნობი გოგონაა. ნინა მსუბუქად მოდის. შინელი ყველა ღილაკზე აქვს შეკრული. ქუდი-უშანკა!.. ეხ, როგორი უშანკა აქვს!.. ცოტა გვერდზე მოუგდია... ყველა მის მხარეს იყურება. ის კი მოდის.*

*- ა-ა-ა!*

*ეს შანგინი ყვირის.*

*- ა-ა-ა. - და საშკა ეცემა. კოლია გირჩენკოც.*

*- დაწექი!*

*... სადღაც შორს-შორს ფეთქდება...*

*... ჩვენ ჩუმად ვდგებით. კოლია არ არის. გორაკისაკენ გარბის, იქეთკენ, საიდნაც მსუბუქად მოაბიჯებდა ნინა. შორიდან ვხედავ, როგორ დგება ნინა ჭუჭყიანი თოვლიდან. აი ის, მეორე გოგონა კი, გაუნძრევლად წევს. სახით ცისკენ.* წვეთები ფანჯრიდან მატარებლის ბორბლებს უვარდებიან. მეორე გოგონა... აი ის, ის... ის უსახელო გოგონა, ისიც ოცნებობდა ალბათ... „Ticket, bitte□ ჭომთხოვნი ხმა ფიქრს მაწყვეტინებს. სქელი კონტროლიორი, რომელიც მოხარშულკრემიან ტორტს ჰგავს, თავზე დამდგომია და ბილეთს ითხოვს. ვუყურებ... ვინ იცის, იქნებ ბაბუამისმა მოკლა ის უსახელო გოგონა? ვაკვირდები. „კრემიანი ტორტი" არაფერს ეჭვობს, მსუბუქი მოძრაობით ჩემს ბილეთს ხვრეტს. „Danke□Bitte□ - („გმადლობ! ინებეთ")

ორივე ფრაზას ერთნაირი, არაფრისმთქმელი, დაზუთხული ინტონაციით მეუბნება და ბილეთს უკან მაწვდის. ისე დაჟინებით მივჩერებივარ, რომ დაბნეული მეკითხება: „möchten Sie etwas?" („რაიმე ხომ არ გნებავთ?") „Nein, nein, danke□ - ნაჩქარევად ვპასუხობ. „კრემიანი ტორტი" დაყენებული ღიმილით მშორდება. იქნებ ამ ტიპის ბაბუამ იმსხვერპლა ის უსახელო გოგონა? ვინ მეტყვის? ვინ? კითხვა ჩამაცივდა, მომეწება და არცერთი ნაბიჯით აღარ მშორდება - იქნებ, იქნებ, იქნებ...

ვიღაც ქალი რიგებს შორის ძაღლით ხელში დაიარება. რატომღაც მიღიმის. მეც ღიმილით ვპასუხობ. „ნეტა საიდან მეცნობა?!" - ვფიქრობ და ვაკვირდები. ქალი ღიმილს აგრძელებს. ცოტა ხანში ვხვდები, რომ „ნაცნობობა" არაფერ შუაშია, უბრალოდ, ქალი ყველას უღიმის, მიუხედავად ეროვნებისა და სოციალური საფეხურისა. ქალი ძაღლით ხელში ყოველი შემთხვევისათვის იღიმის. ნამდვილი ვაგონის მონა ლიზაა. „როგორც ჩანს, ნერვიულია?!" - ვფიქრობ და ახლა უკვე მის ზურგს ვულიმი. რა იცი რა ხდება? შარის თავი ნამდვილად არ მაქვს. გერმანელი ჯოკონდა საბოლოო ღიმილს ჩუქნის მთელს ვაგონს, რომელსაც სულ ფეხებზე ჰკიდია ჯოკონდას ღიმილიც და ფიროსმანის ჟირაფიც. ადგილობრივი მონა ლიზა ძაღლიანად სავარძლებს შორის იძირება. ზურგს უკან დამაჯერებლად გაისმის: „Noch ein Jhar und ich werde Millioner sein□ („კიდევ ერთი წელი და მილიონერი გავხდები!") როგორ შეიძლება ასე ზუსტად გათვალო ყველაფერი - ხვალ ვარსკვლავი გავხდები! ხვალ „ნობელის პრემიას" ავიღებ! ხვალ „ოსკარის" მფლობელი გავხდები! ხვალ გავხდები! ხვალ ვიქნები! აი, დღეს რა ვქნა? დღეს როგორ მოვიქცე?! ახლა ერთია რეალური - კოკისპირულად წვიმს. ნამტირალევ გერმანულ პეიზაჟში ჩადგმული ტიპური გერმანული სახლი, წამით, ჩემს ფანჯარაში, ფოტოსავით ჩნდება და თვალის დახამხამებაში ვაგონების მიღმა, არყოფნაში უჩინარდება... უცნაური გრძნობა მეუფლება - მატარებელი ჩვენთან ერთად მიქრის სინათლის სიჩქარით, აი იქ, იმ პეიზაჟში ჩაკარგულ სახლში კი სულ სხვა ათვლის წერტილებია. იქ დრო სულ სხვაგვარად მიედინება... ჩვენგან განსხვავებით, იქაური ცხოვრება სხვაგვარად მიედინება... იქ, იმ სახლში, რომელმაც წამის წინ კინოკადრივით ჩაგვიქროლა, სხვისი სიხარული და დარდებია, ვიღაც სხვისი, ვისაც არც მე და არც ეს დროებითი ვაგონის ბინადარნი არ იცნობენ. ისიც ჩვენსავით სუნთქავს, ტირის, რაღაც უხარია, დარდობს, უყვარს და ოცნებობს... სახლი მწვანეში დიდი ხანია ჩვენთვის წარსულად იქცა. ჩვენ კი ამ ვაგონის ბინადარნი, ერთად ვართ აწმყოში, რომელსაც ყოველი მატარებლის ბორბლის გადატრიალება წარსულად აქცევს. როგორი მყიფე ზღვარია, წარსულს, აწმყოსა და მომავალს შორის... სახლი მწვანეში და მისი ბინადარნი, მატარებლის წარმოდგენის მიღმა დარჩა. ათასი მატარებელი თავისი მგზავრებით, რომლებმაც უკვე ჩაუარეს და ჩაუვლიან ამ სახლს, არ ეცოდინებათ, ვინ ცხოვრობს ამ მწვანეში ჩაფლულ პატარა გერმანულ სახლში. ხომ შეიძლება ოდესმე გადავეყაროთ ერთმანეთს - უნტერ დენ ლინდენზე, ბროდ-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ვეიზე ან სულაც რუსთაველზე? ჩვენ გვერდს ჩავუვლით ერთმანეთს, მაგრამ ვერ ვიცნობთ. იქნებ ვიცნოთ, ვინ იცის?! ადამიანის ცნობა ხომ უცნაური რამაა... თითქოს არასდროს გინახავს, მაგრამ შეხვდი და იმწამსვე იცანი! თითქოს დიდი ხანია იცნობ და ერთ მშვენიერ დღეს უყურებ და აღარ გეცნობა. ვინ იცის, რამდენჯერ გადავკვეთივართ ერთმანეთს, რამდენჯერ ვისხედით გვერდიგვერდ, ვინ იცის... ღმერთო ჩემო, რა ერქვა ნეტა იმ უსახელო გოგონას სახით ცისკენ გაუნძრევლად რომ იწვა? ნეტა რა ერქვა? რა?.. რა-რა-რა რატა-ტა-ტრახ-ტა-ტა-ტა-რა-რა-ტა-ტა-ტრახ-ტა-ტა-ტა-რა... ყურთან ტყვიები მიწუიან... რა-ტა—-ტა—-ტა—ტრახ-ტა-ტატაააა... განძრევა მეზარება, მაგრამ მოძრაობა ახლა საჭიროა. თოვლ-ჭყაპი, სიცივე... გულს მიღონებს. ამ ფეხსაცმელებში ქარი მისისინებს და მისველდება... გემრიელი საჭმლისა და შემწვარი ყავის სუნი დგას. ეტყობა ისე დამღალა თოვლ-ჭყაპმა, რომ მეჩვენება... თან უკვე მომშივდა. შუშიდან ვხედავ, როგორ იკეცება გზა ჩვენი საბარგო მანქანის ბორბლებქვეშ... რა ერქვა რა-რა-რა-ტრახ-ტა-ტა-ტა-ტა-ტა-რა-რა - უკვე სულ ახლოს მესმის ავტომატის ჯერი... ნეტა „ტორტი კრემით“ აქ საიდან გაჩნდა?!.. ამ გაქსუებულს თბილი „ვალინკები“ ჩაუცვამს. უნდა წავართვა და შანგინსა და ზალატარიოვს მივცე! არაუშავს, მონაცვლეობით ატარებენ. ბულატს რა ვუყო? როგორ ოცნებობდა ჩექმებზე... რაღაცას ვიზამ... რაღაცას მოვუხერხებ... „ტორტი კრემით“ უცნაურად მიყურებს, ალბათ ჩემ ჩანაფიქრს მიხვდა. და ისევ - რა-რა-რა-ტრახტა-ტა-ტა-ტა-ტა-რა-რა... - გაიწუილა სულ ახლოს ყურთან, ჩემს ზურგს უკან ტყვიათა ჯერმა. თვალს ვახელ, თავს უკან ვაბრუნებ... საჭმელებითა და სასმელებით სავსე გორგოლაჭიან ლანგარს ვხედავ. ეს უბრალო ლანგარი კი არა, ნამდვილი „სურვილების ლანგარია“. მთელი ვაგონი არომატული ყავისა და ჩაშუშული ხორცის სუნით გაიჟღინთა. ვაგონს გამოცოცხლება დაეტყო. წიგნს სავარძლის ქვეშ ვპოულობ, კითხვას ვაგრძელებ: ***ბევრი რამ ვისწავლე. ვითომ მშიერი სულაც არა ვარ, ვითომ არავინ არ მეცოდება. მხოლოდ ძილი მინდა, ძილი, ძილი...“***

მატარებელი მიქრის, მე კი გაუჩერებლივ ვკითხულობ... მიჭირს წარმოვიდგინო, რომ ბიჭები იქ იყინებიან და შიმშილობენ; რომ ცივ თოვლში ასე უსახელოდ კვდებიან ლამაზი გოგოები. მათ უკვე ვეღარ უშველი. იქ უკვე ვეღარაფერს შეცვლი. ვეღარც თბილ ჩექმებს ჩააცმევ გოგო-ბიჭებს, ვერც დააპურებ, ვერც წყურვილს მოუკლავ. მატარებელი კი მიქრის სინათლის სიჩქარით... დროც ასე გვეცლება ხელიდან. ცა ისე დაბლაა, ლამის ხელით შეეხო. ისე ახლოა, რომ შეგიძლია სველი სახე მოწმინდო. საქართველოში კი მიუწვდომელია და ფრენა გინდება. ძალლმა ნაშოიყეფა. ვაგონის მონა ლიზა ტკბილ სიტყვებს არ იშურებს თავისი ცუგრიკოსთვის. ცუგა წკავწკავს იწყებს. ქალს ხელში აყავს და ჩვეული ღიმილით, წინ და უკან იწყებს სიარულს. საზოგადოებას ყველაფერი ფეხზე კიდია. საზოგადოება ნადიმობს. საზოგადოება სენტიმენტებს ვერ იტანს. საზოგადოებას პური და სანახაობა სურს. საზოგადოება ფონით კმაყოფილდება - ფონი - პუშკინი, ფონი - გოეთე, ფონი - მოცარტი...

საჭმლით გადავსებული „სურვილების ლანგარი“ სულ ახლოსაა. ნეტა შეგახედათ რა რაოდენობის დანა-ჩანგალია ლანგარზე და როგორ თვალისმომჭრელად ბრწყინავს. გასაგრილებლად მინერალურს ვილევ. მიტოვებულ ფრაზას ვუბრუნდები: ***„კოვზი სულელურად დავკარგე. ჩვეულებრივზე ჩვეულებრივი კოვზი იყო. ალუმინის. ჩაშავებული. ღრმულებით. რაც არ უნდა იყოს, მაინც კოვ-***

ერთიანი ბიბლიოთეკა

*ზია. ძალიან მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია. ვეღარ ვჭამ. სუპს პირდაპირ მათარიდან ვსვამ. ფაფისთვის პატარა ნაფოტი მოვიშველიე. მოკლედ, ფაფას ხის ნაფოტით ვჭამ. კოვზს ყველა უფრთხილდება. აბა ვის ვთხოვ? სულელებს ვეღარ ნახავთ. მე კიდევ - ნაფოტი მაქვს“.*

ეს ხომ უბრალო ცხოვრების კანონია, როცა ბევრია - არ იკარგება. თვალებს ვხუჭავ თუ არა, ჩამესმის კლაუდიას უკმაყოფილო ხმა: „Geben Sie bitte andere Löffel das ist schmutzig“ („გეთაყვა სხვა კოვზი მომაწოდეთ. ეს ჭუჭყიანია!“) - სამართლიანი მოთხოვნაა, მაგრამ ყველაფერი ამის თავიდან ასაცილებლად, სჯობს შენი ერთადერთი გქონდეს. მოუარო, გაუფრთხილდე და გიყვარდეს. აქ კი დახედეთ რამდენია... მიდი, თუ ბიჭი ხარ და ის ერთადერთი ამოარჩიე. მართალია, ამ ყველაფრით თავის შეწუხება, ალბათ, არ ღირს. დაკარგე და მიაკვდა პატრონი, სხვა გამოჩნდება. არც ლოლიაეი და გაფრთხილება დაგჭირდება. ერთადერთს უნდა მიაქციო ყურადღება. მოუარო. გაწმინდო და მუდამ თან ატარო. ზედმეტია ეს ყველაფერი! ჯობს ბევრი იყოს, ამორჩევა რომ შეგეძლოს!

ვაგონს ნადიმი აქვს. „Nehmen Sie bitte meine Teller mit“ („წაიღეთ, გეთაყვა, ჩემი თეფში და კოვზი!“) - ზანტად ამბობს კლაუდია შიფერი და თან ქონიან ტუჩებს ილოკავს.

ვაგონში აგრილდა - კონდიციონერი ჩართეს.

. . . . . . . . . . . . . . . . . . . . .

ბულატთან შეხვედრის წინ საოცრად ვღელავდი. გამუდმებით ერთსა და იმავეზე ვფიქრობდი, ხელი ჩამოვართვა თუ გადავკოცნო-მეთქი?! ისე, ხელებით შეიძლება კაცი ამოიცნო. ღმერთო ჩემო, იმ კაცს, ჩემ პირდაპირ, რა საშინელი ხელები აქვს. წერა მინდა, ქაღალდი კი არ მაქვს. ქაღალდი - პურივითაა, უნდა გაუფრთხილდეს კაცი. საინტერესოა, არსებობს თუა არ ოდა თეთრ ქაღალდზე? მახსენდება თბილისში ხუთი წლის კატენკას ლექსი, თეთრ ქაღალდს რომ მიუძღვნა. გასაოცარი ლექსი იყო! გადავიწერე, სათუთად შევინახავ-მეთქი, მაგრამ სადღაც მივაკარგე და, სამწუხაროდ, ზეპირად არ მახსოვს. მას მერე თეთრი ქაღალდის საცოდაობით აღარ ვარ. სხვა თვალით დავუწყე ყურება. ღმერთო, როგორი ფაქიზი, სიფრიფანა, სუფთა, გაურყვნელი და მიმნდობია. მაინც ყველა რყვნის, ვისაც არ ეზარება. ხშირად იმედგაცრუებული რჩება. რომ შემეძლოს, დიდი სიამოვნებით მივუძღვნიდი თეთრ ქაღალდს ოდას ან პოემას.

. . . . . . . . . . . . . . . . . . . . .

გადავეხვიეთ ერთმანეთს. შემდეგ სიჩუმე ფარდასავით დაეშვა ჩვენ შორის. თითქოს, გუშინ დავშორდით და არც არაფერი არ გვქონდა ერთმანეთისთვის სათქმელი. ვდუმდით, თითქოს ამ ხნის განმავლობაში არაფერი არ შეცვლილიყოს. შეიძლება იმიტომაც ვდუმდით, რომ ბევრი რამ შეიცვალა და ველარც კი ვცნობდით ერთმანეთს და გარშემო მყოფთ. ან იქნებ ერთმანეთს ვეჩვეოდით დიდი ხნის დაშორების შემდეგ. ან კიდევ... ბევრი „ან“ იყო ჩვენ შორის, მაგრამ ღმერთმანი, არ ვიცი, რატომ ვდუმდით! ერთი იყო, ეს დუმილი გვავსებდა ორივეს. შევნიშნე, რომ ერთნაირად ვზივართ - ოდნავ მხრებში მოხრილი, მარცხენა ხელზე დაყრდნობილი ნიკაპით. რატომღაც მგონია, ეს ქართველების დამახასიათებელი პოზაა. ჩვენს ირგვლივ გაუჩერებლივ საუბრობდნენ პოლიტიკაზე, ხელებს იქნევდნენ, ერთმანეთს რაღაცას უმტკიცებდნენ... შემდეგ კამათი გემოვნებაზე დაიწყო... ჩვენ კი დუმილს ვაგრძელებდით. ალბათ ბულატი თბილისს, დედ-მამას, დეიდა ოლიას და გალაკტიონს თუ იგონებდა... მეც - თბილისის სახლს, ბებიასა და გალაკტიონს ვიხსენებდი...

სიჩუმე ბულატმა დაარღვია. რამე მიმღერეო, მთხოვს. ვმღერი. ბულატი უცებ ადგილიდან დგება, შუბლზე მკოცნი და დუმილი გრძელდება... გაუთავებლად გვილებდნენ... ცოტა ხნის შემდეგ ბულატი მომიბრუნდება და თითქმის ჩურჩულით იხსენებს თბილისში დარჩენილ ერთადერთ ძმას... თვალები თანდათან უსველდებოდა... მინდოდა მივშველებოდი, მაგრამ არ შემეძლო. რით შეიძლება უშველო პოეტს? როგორ უნდა გადაარჩინო ან იხსნა? ვის შესწევს ძალა შეავსოს მისი სიმარტოვე? ვის შეუძლია მის სულს შეეხოს, უფლის გარდა?! ვის შესწევს მასთან ერთად ფრენა? მეშინია, ტყუილი არ გამოდგეს ჩემი თანაგრძნობა. მთავარია ის შევთავაზო, რაც ძალმიძს. მთავარია ტყუილად არ დავღალო, არ შევაშფოთო არ დავაიმედო. არ მოვატყუო.

. . . . . . . . . . . . . . . . . . . . .

კლაუდია შიფერი თავის ოქროსფერ ფეფუნებს ვაგონის რბილ იატაკზე აწყობს, ბუმბულივით მსუბუქ ჟაკეტს დედოფალივით ზანტად იცვამს, ლიავარდისფერ „ბასანოშკებში“ შოკოლადისფერ ფეფუნებს უყრის და თაროდან გრაციოზულად ძვირფასი ტყავისაგან დამზადებულ, მანონივით თეთრ ჩანთას იღებს. შურით შევცქერი შოკოლადის კლაუდიას... რამდენი წელია მინდა ზღვაზე გავშავდე და ვერ იქნა და ვერ მოვახერხე.

რატომღაც ყველა გასასვლელისკენ იჩქარის?!.. „Das ist Leipzig?“ - ვკითხულობ. „Das Schtimmt“ - მშრალად მპასუხობს კლაუდია და დამცინავად იღიმის. შემდეგ, როგორც გველი, ვაგონის გასასვლელისკენ მისრიალებს... მე აუჩქარებლად ვიღებ ბარგს. მთავარია გიტარა არ დამრჩეს. მგზავრები აქეთ-იქეთ მიმოიფანტნენ. კლაუდიას ბაქანზე დაზმანული, ძვირსუნამოგადასხმული, შავსათვალიანი მამაკაცი ხვდება ურიკით. კლაუდია ძვირადღირებულ მამაკაცს მკლავზე ეკიდება და ხითხითით და ფარფატით, ლაიფციგის ჰაერს ერევა...

ევროპაში ყველაზე დიდი ლაიფციგის რკინიგზის სადგური ერთ დიდ სიჩუმეს მოუცავს. სტაფილოსფერ ურიკაზე ბარგს ვაწყობ, სახელურს ოდნავ ვეხები და სარკესავით იატაკზე ურიკა თავისით რბილად მისრიალებს. აქ ყველაფერი წესრიგშია. რაც გინდა სულო და გულო, აიღე, არ მინდა! ჩვენები ამ ურიკას მაინც მოიპარავენ. რა თავში იხლიან ნეტა? როგორც ყოველთვის, ყოველგვარი ლოგიკის გარეშე, ისე, ყოველი შემთხვევისთვის. რას არ ნახავ აქ: ტელეფონისა და ფულის ავტომატებს, უსაფრთხოების საკანს, ბისტრო კაფეებს, რესტორნებს, ყვავილების ჯიხურებს, მაღაზიებს, საპარიკმახეროებს. ესკალატორებს, როგორც ზღვის ზვირთებს, ზევით-ქვევით გადაყავხარ... მაღაზიები, მა-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ლაზიები, მალაზიები... ჯარისკაცებივით მზადყოფნაში ჩამწკრივებულან... მაგრამ ირგვლივ არავინაა. არცერთი სულიერი არ ჩანს. თითქოს სიცოცხლე ჩამკვდარიყოს. იმედიც სადღაც მიმალულა, გადაკარგულა, გამქრალა, აქაურ სიცარიელეს შერევია. ევროპის ყველაზე დიდ რკინიგზის სადგურში ერთი დიდი სიჩუმე დგას. თითქოს არავინ არსად არ მიემგზავრებოდეს, თითქოსდა არავის არასად არ ეჩქარებოდეს, არავინ არავის არ ხვდებოდეს, არავის დასარეკი არსად არ ჰქონდეს, თითქოს არავის არ შიოდეს და არ სწყუროდეს. მხოლოდ გამვლელი თუ გაიელვებს აქა-იქ... ამის შემხედვარეს გიხარია, ვილაც შენ გვერდით ცოცხალი რომ დალანდე.

ღმერთო ჩემო, რა მოწყენილობაა. როგორ მომნატრებია ჩვენი ხმაურიანი და მოფუსფუსე სადგურები, სადაც ყველანი - მძიმე ზურგჩანთებით, ჩემოდნებით, ცელოფნის პარკებით ხელში, სადღაც მიიჩქარიან... იმიტომ, რომ ურიკები არასდროს საკმარისი არ არის, ხოლო მისი ულიდებულესობა მტვირთავი კი სადმე ჩუმ ადგილას მოყუჩებულა და „პრიმას“, როგორც ძვირფას სიგარას, ზანტად აბოლებს, მზადაა მხოლოდ თავისივე დადგენილი საფასურით მოგემსახუროს და სადაც მოისურვებ, ტვირთი იქ გადაგატანინოს. მგზავრებს შეშლილი მზერა აქვთ. ოფლი წურწურით ჩამოსდით, გაოფლილი პერანგი ზურგს ეკრობა. ინფორმაციასთან მიღწევის შანსი ნულის ტოლია. ბილეთს ვერც აიღებ და ვერც ჩააბარებ. ფეხის ჩადგმა ჭირს - ყველგან წვანან. აბიჯებ ცოცხალ მკვდრებს და შენი მიზნისკენ მყარად მიემართები. სადღაც პაწაწა ადგილს ნახულობ, მოიკალათებ. ცოტა ხანში - უკვე ყველა ახლობელი და შენიანია. ზოგი სვამს, ზოგს სძინავს, ზოგიც კარტს თამაშობს. პატარები ტირიან. უცებ საიდღანღაც უეჭველად გამოჩნდება ადგილობრივი „სოკრატე“ და ყველას გასაგონად ქადაგებას იწყებს მძიმე და უსამართლო ყოფაზე. ცოტა ხანში თავბედს იწყევლი, მაგრამ მაინც მყუდროდ ხარ იმიტომ, რომ იმედს არ მიუტოვებიხარ. იცი, რომ მალე ნანატრი მატარებელი მოვა და დღეს ან ხვალ ბილეთს შეიძენ და გაემგზავრები. თუკი სასწაული მოხდა, ბილეთთან ერთად ადგილსაც მოიპოვებ! ჰოდა, საბოლოოდ იმედი არ გტოვებს, გათბობს, თავს გევლება, გეფერება და გამშვიდებს. შენ უკვე მატარებელში ზიხარ, და მეფესავით საერთო ვაგონში ადგილიც გაქვს! და რაც მთავარია, მატარებელი მიდის... უკვე მნიშვნელობა აღარ აქვს, საით. რადგანაც იმედმა არ გიმტყუნა! რამდენიმე წუთის შემდეგ მეზობელი გამოგელაპარაკება, ათი წუთის შემდეგ თქვენ უკვე მეგობრები ხართ. სახლში გეპატიჟება. შენც ეპატიჟები. მისამართებს ცვლით. განშორებისას ერთმანეთს ეხვევით და ორივეს ცრემლი გიბრწყინავთ თვალებზე; ხოლო იმედი, რომ მარტო არ ხარ ამ ქვეყანაზე, გათბობს და შენს გულს ესალბუნება.

. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .

მე და ჩემი სტაფილოსფერი ურიკა მივსრიალებთ ევროპაში ყველაზე დიდი სადგურის პრიალა ბაქანზე... უცებ, ამ ჯოჯოხეთურ სიჩუმეში და სიმარტოვეში ვხვდები, რომ იმედი - იქაა, ჩემს ზურგს უკან. მხოლოდ იქ, ჩემს სამშობლოში შეიძლება გადავეყარო მას. იქნებ ჯერ გვიან არ არის, იქნებ ჯერ კიდევ გამიღიმოს ბედმა...

***მე ისევ იმედს გადავეყარე - საამურია შეხვედრა მასთან.***

***ის კვლავ იქ ცხოვრობს, როგორც ყოველთვის - ეს მე ვიყავი დიდი ხნით სხვასთან...“.***

ეროვნული ბიბლიოთეკა

# წერილი ლორენსუ-მარკიშიდან




დღეს კლინიკიდან ადრე დავბრუნდი. მოკლე დღე მქონდა. გერმანელებს სულ რაღაც დასვენების დღეები აქვთ. ვერაფერი გავუგე. შთაბეჭდილება მრჩება, რომ წამდაუწუმ ისვენებენ, რაღაცას ზეიმობენ, ოღონდ არ ვიცი რას.

ჰოოო, ფსიქიატრიულ კლინიკაში ვმუშაობ, სადაც აულიერად ავადმყოფები წვანან. არა, არა... საშიში არაფერია. მძიმე ავადმყოფები არ ჰყავთ. იმას ვგულისხობ, რომ არავინ გერჩის. ხანდახან ისეთ სიჭკვიანეს ამბობენ, გადაირევა კაცი. ერთი გავიცანი აქ, ტანად ზორბა, კეთილი სახით, შუახნის, სიმპათიური კაცი. ქალებს რომ მოეწონებოდათ - ისეთი. მისი შეშლის მიზეზი არ ვიცი ან რა ჩემი საქმეა. მკურნალი ექიმი ხომ არ ვარ. მოკლედ, ყველაფერი მისალმებიდან დაიწყო. როგორც კი დამინახა, თავისი ბოხი ხმით თავაზიანად მკითხა: Hallo, junger Frau! Wie geht es ihnen? რომელი „იუნგე ფრაუ" მე ვარ, მაგრამ მაინც სასიამოვნოა ასეთი კომპლიმენტი. მეც, რა თქმა უნდა, თავაზიანად გადავუხადე მადლობა და ვუპასუხე, რომ კარგად ვარ. მას შემდეგ ვესალმებით ერთმანეთს. ვხედავდი, ყოველდღე თავქუდმოგლეჯილი როგორ არბოდა-ჩამორბოდა კეთილსახიანი კაცი კიბეებზე ხელში წერილით, რომელსაც დროშასავით აფრიალებდა და არ ავიწყდებოდა ჩემთვის ეკითხა: Hallo, junger Frau! Wie geht es ihnen? ერთხელაც ასე, წერილით ხელში მოქომშინებდა კიბეებზე, - გამომელაპარაკა. ალბათ სურდა, სიხარული გაეზიარებინა ვინმესთვის. ჰოდა, მახარა, რომ საზღვარგარეთიდან მიიღო წერილი და ერთ-ერთ მსხვილ საწარმოში წამყვან თანამდებობას სთავაზობდნენ. კი გამიკვირდა, მაგრამ როდესაც ადამიანს ხელში წერილი უჭირავს და ასეთი გახარებულია, რა უფლება გაქვს, არ დაუჯერო, თუნდაც შეშლილი იყოს. შემეცოდა, რომ ავადმყოფობის გამო ვერ შეძლებდა ამ შემოთავაზების მიღებას. კეთილსახიანმა ჩემგან რაღაც სითბო იგრძნო, დამიმეგობრდა და დღეგამოშვებით მამცნობდა ხოლმე თავის ამბებს. წერილებმა მოუხშირეს. საიდან აღარ წერდნენ: საფრანგეთიდან, თურქეთიდან, რუსეთიდან, იტალიიდან, ინგლისიდან და ჰოლანდიიდან... რამდენჯერმე სხვადასხვა ენაზე წამიკითხა წერილები. ხუთ თუ ექვს ენას ფლობდა. კი მინდოდა მეთქვა, რომ არაფერი გამეგება, მაგრამ ისე გატაცებით მიკითხავდა, მაგალითად, ფრანგულად, რომ ველარ შევაწყვეტინებდი. შინაარსს მნიშვნელობა არ აქვს. მაინც [illegible] და იმავეს წერ-

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

დნენ, ანუ მსოფლიოს სხვადასხვა ქალაქებიდან სამუშაო ადგილებს სთავაზობდნენ. ერთ მშვენიერ დღეს მომვარდა და გახარებული მეუბნება, ლორენსუ-მარკიშიდან მომწერეს და მთხოვენ, რომ სამშენებლო კომპანიას ვუხელმძღვანელოო. დაბნეულმა გავუღიმე, რადგანაც არ ვიცოდი არანაირი ქალაქი სახელწოდებით - „ლორენსუ-მარკიში". ისე კი მიკვირდა, ვფიქრობდი, ალბათ ოჯახს ეუხერხულება გახმაურება და ამიტომაც არავინ იცის კეთილსახიანი კაცის უბედურების ამბავი-მეთქი. მოკლედ, იმ დღეს როგორც კი სახლში მოვედი, ვიკიპედიაში ლორენსუ-მარკიშის შესახებ ყველაფერი დაწვრილებით ამოვიკითხე. აღმოჩნდა, რომ 1975 წლამდე, ასე ერქვა მოზამბიკის დედაქალაქს - პორტ მაპუტუს. მაპუტუ ერთ-ერთი უზარმაზარი დედაქალაქთაგანია მსოფლიოში. მისი პორტი ინდოეთის ოკეანის პირასაა, მოსახლეობა მილიონ ნახევარზე მეტია. საკმაოდ ღარიბი ქვეყანაა. აქ ბევრი არალეგალური ნაგებობაა. გამიკვირდა, რომ მაპუტუ ძველი სახელით მოიხსენია, მაგრამ ჩემი აზრი უფრო გამყარდა იმ მხრივ, რომ აბა საიდან უნდა მოეფიქრებინა ასეთი ქალაქის სახელი, რომელიც სადღაც აფრიკაშია, თუკი წერილი მართლა არ მიუღია-მეთქი?! თანაც ეჭვი მთლად გამიქარწყლდა, რადგან ლორენსუ-მარკიშიდან ყველაზე ხშირად მოდიოდა წერილები. ამასთან დაკავშირებით უცებ ღელვამ ამიტანა, რაიმე ხიფათს არ გადაყროდა ეს კეთილსახიანი კაცი, თუკი იქ სახლებს არალეგალურად აშენებდნენ. მერე ჩემივე ფიქრზე გამეცინა, აბა, ვინ გაუშვებდა სულიერად ავადმყოფს სამუშაოდ სადღაც მაპუტუში? მოკლედ, ასე დროშასავით აფრიალებდა ამ წერილებს კეთილსახიანი კაცი, დღეგამოშვებით მიყვებოდა მათ შინაარსს და იმ ადამიანთა ვინაობას, ვინც წერილებს წერდა.

ამ ერთი თვის წინ, კლინიკის პროფესორმა დამინახა, როგორ ვყავდი მიმწყვდეული კეთილსახიან კაცს კიბის უჯრედის კუთხეში და მორიგ წერილს მიკითხავდა. პროფესორმა თავისთან დამიბარა და მითხრა: ფრაუ მენაბდე, ასე სერიოზულად ნუ მიიღებთ ჰერ ვალტერის მონათხრობს და დროს და ენერგიას ნუ დახარჯავთ მის ილუზიებზე. წერილებს თავისთავს თვითონ უგზავნისო. მოკლედ, იმ დღეს შევიტყვე, რომ კეთილსახიან კაცს ჰერ ვალტერი ერქვა და რომ ეს წერილები მისი ფანტაზიის და წარმოსახვის ნაყოფი იყო.

ერთ რამეზე მწყდება გული, რომ პროფესორმა ასე დაუნანებლად გადაუსვა ხაზი ვალტერის მრავალწლიან შრომას და მისი საიდუმლო გათქვა. რა მოხდებოდა, ერთ ადამიანს მაინც სცოდნოდა ამ ქვეყანაზე, რომ ჰერ ვალტერი მართლა იღებდა წერილებს და მას როგორც წამყვან სპეციალისტს სხვადასხვა ადგილას სამუშაოდ იწვევდნენ -პატივს სცემდნენ.

სამწუხაროა. ცოტამ თუ იცის სხვისი საიდუმლოს შენახვა. ყველაფრის მიუხედავად, დღემდე ვაგრძელებ ჰერ ვალტერთან მეგობრობას და მისთვის ის ერთადერთი ადამიანი ვარ, ვინც ასე გულდასმით უგდებს ყურს მის ნაკითხულსა და მონათხრობს. მომეჩვენა, რომ პროფესორს ჩემი ერთგულების შეშურდა და წერილებთან დაკავშირებით ყველაფერი მოიგონა. სურს ეს პროფესორს თუ არა, წერილები ლორენსუ-მარკიშიდან მაინც მოდის და ამაზე მეტი საბუთი რალად სჭირდება ადამიანს.

# ლიო

ლიო კერამიკას აკეთებს, მაგრამ მე მისი ნახელავი არ მინახავს. ცოტას ლაპარაკობს, როგორც ნამდვილ კაცს შეეფერება. ეს მე ხელს მაძლევს, რადგანაც გერმანულად საუბრის დროს, ჯერ კიდევ ხელებსა და ფეხებს ვიშველიებ. ლიოს ინგლისურის არაფერი გაეგება. ქართულზე და რუსულზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. ასე რომ, ერთმანეთს გადასარევად ვუგებთ!

ლიოს ერთი ძველისძველი, დანჯღრეული VW ჰყავს. მანქანის გასაღები, რა თქმა უნდა, არ აქვს, - მავთულებს ერთმანეთთან აერთებს და ჰაიდა... თუ მოისურვა, ტროტუარზეც ადის, და საოცრება ის არის, რომ პოლიცია არ აჯარიმებს. ლიო გამუდმებით შხაპის ქვეშ დგას, მაგრამ სულ დაუბანელს ჰგავს. წვერს ერთ მეოთხედზე იპარსავს, ყველაფერი დაღეჭილი აცვია. ძლიერ, უხეშ ხელებზე ფრჩხილები მაზუთისაგან აქვს ჩაშავებული, რადგან გამუდმებით ტექნიკაში იქექება და რაღაცას ???აპაჩინკებს". მიუხედავად ამისა, რადიოც და ტელევიზორიც დღემდე დუმს. დარწმუნებული ვარ, ერთ მშვენიერ დღეს ეს ყველაფერი ერთად ამუშავდება. ლიოს ბრაზიანი გამოხედვა აქვს, მაგრამ ეს ისე, ყოველი შემთხვევისთვის, რა იცი რა ხდება?! მის კეთილშობილ ხასიათს მხოლოდ იშვიათი ღიმილი ამხელს. ქალები ფუტკრებივით ესევიან, მოსვენებას არ აძლევენ. ლიოც არავის სწყვეტს გულს. ისე, ოდესმე თუ კარგად დაიბანა, დაივარცხნა და დაუთოებული შარვალი და პერანგი ჩაიცვა, მართლაც წარმოსადეგი ახალგაზრდა კაცი შეგრჩებათ ხელში. ვერაფრით დავადგინე, ოჯახი ჰყავს თუ არა. რაღაცა იბუტბუტურა და ხელები ატრიალა, მაგრამ ერთი სიტყვაც ვერ გავიგე...

ლიო სიგარეტის მაგივრად, ბალახს ეწევა. ხელიდან არ აგდებს. ამას ისე სასხვათაშორისოდ აკეთებს, რომ შთაბეჭდილება გრჩება, თითქოს არც კი ეწეოდეს. სინამდვილეში კი, ბალახი ეწევა ლიოს. რაც გინდათ, ის თქვით, მაგრამ ლიო ზედმიწევნით კეთილშობილია. ირგვლივ, ჩემიანმაც და უცხომაც, ყველამ იცოდა, რომ უბინაოდ და უფულოდ ვარ, მაგრამ სწორედ ლიომ გამომიწოდა დახმარების ხელი. მისი წყალობითაა ამ სხვენზე რომ ვცხოვრობ. ეს ბუნაგი კი დამითმო, მაგრამ თვითონ სად სძინავს და რას სვამს და ჭამს ნეტავ?! გათანგული და გაოფლილი უეცრად, დაურეკავად გამოჩნდება ხოლმე, ცივ შხაპს მიიღებს, მერე არც

გადაიფარებს და სამზარეულოში, იქ, სადაც საშხაპე კაბინა დგას, პირდაპირ იატაკზე დაწვება. ასე და ამგვარად გამოიძინებს, 2 საათში ადგება, ყავას მოიდუღებს, დალევს, ზედ ბალახს დააყოლებს და თუ გუნებაზეა, რაღაცის შეკეთებას იწყებს. კერამიკის გარდა (ლიო კერამიკოსია და თავისი ნახელავის წყალობით ცხოვრობს), კიდევ მუსიკალური ჯგუფი ჰყავს, - თავად მღერის და კიბორდზეც უკრავს. ერთხელ ამ ჯგუფის კონცერტს მოვუსმინე, მაგრამ ხელმეორედ

ეროვნული ბიბლიოთეკა



ოქროც რომ შემიგდონ, მაგათ მოსასმენად წამსვლელი აღარ ვარ! დიდხანს ვადგენდი მუსიკის ჟანრსა და მიმართულებას, მაგრამ ვერაფრით დავადგინე. ვისაც არ ვკითხე, ყველამ მხრები აიჩეჩა. იმას ვამბობდი, რომ თუ კარგ ხასიათზეა ჩემი მხსნელი, კიბორდს, რომელსაც თოფივით მხარზე გადაკიდებულს ყველგან თან დაათრევს, შესაფუთიდან იღებს, აერთებს და დაკვრას იწყებს... ამის აღწერის ძალა მხოლოდ დიდ მწერალს თუ შესწევს. ვერ დაგპირდებით, მაგრამ ძალიან შევეცდები ეს სურათი ცხადად დაგანახოთ - მუსიკას, რომელსაც კიბორდი ლიოს თითების მეშვეობით გამოსცემს, არანაირი ლოგიკა არ გააჩნია. ნოტების თანმიმდევრობას, ფრაზის წყობას, კომპოზიციას და ა. შ. ლიოსთვის და მისი მუსიკისათვის არც მნიშვნელი აქვს და არც მრიცხველი. დასაწყისი და დასასრული ხომ მითუმეტეს. როგორც წესი, ლიოს მუსიკა შუიდან იწყება. როგორ ახერხებს ამას, ვერ გეტყვით. ჩემთვის ეს ნიუტონის ბინომია. დაკვრას იმ შემთხვევაში სწყვეტს, თუ ვინმე მოვიდა ან თუ ვინმემ დაურეკა. ასეთ მუსიკას, ალბათ, განსაკუთრებული ნიჭის გარდა, დიდი ვირტუოზობა სჭირდება! ეს მუსიკა უფრო ქრომატიულ გამას ჰგავს. თითები უწესრიგოდ და ქაოტურად, თავქუდმოგლეჯილი დაჰქრიან კლავიშებზე. ტონალობა ყოველ წამს იცვლება და ყველაზე ყურადსაღები მომენტი ისაა, როდესაც მარჯვენა ხელი მელოდიას გარკვეულ ტონალობაში უკრავს, მარცხენა სულ სხვა ტონალობაში, თავგამეტებით ეხეთქება თეთრ და შავ კლავიშებს. დასაწყისისთვის, რომელიც დასაწყისი არ არის, მაგრამ ჩვენ დასაწყისად უნდა აღვიქვათ, რადგან სხვა გზა არ გვაქვს, ტემპი და ფორტე - ზომიერია. გარკვეული დროის შემდეგ (ესეც ???კომპოზიტორის" გუნება-განწყობაზეა), ტემპი ჩქარდება და აპოგეას აღწევს. აქ ხაზი უნდა გავუსვათ იმას, რომ არა მარტო ტემპი, არამედ ფორტეც ზენიტშია. ამ მომენტში ლიო ისე თავგამეტებით ურტყამს თავის დაჩეხილ თითებს კლავიშებს, რომ ყოველ ჯერზე კიბორდის საცოდაობით ვიწვები. კიბორდს ლაპარაკი რომ შეეძლოს, ლიოს მინიმუმ 15 ???სუტკა" არ ასცდებოდა. მოულოდნელად, რაღაც მომენტში (ასეთი მომენტები ყოველთვის მოულოდნელი აქვს ???მუსიკოსს"), ლიოს ხმა ბგერათა ქაოსს უერთდება და მუსიკოსი ისეთ ექსტაზში შედის, რომ ვერავის და ვერაფერს ხედავს. კულმინაციის დროს სიმღერა ღმუილში გადადის, სიტყვების მაგივრად, რომელიც მე ისედაც არ მესმის, ცალკეული ბგერები ისმის და ხანდახან კამეჩის ბღავილსა და მგლის ყმუილს მოგაგონებთ. ერთხელ, ლიოს მეგობარს, ვილფრიდას, რომლის სახელოსნოშიც ხშირად შეგეძლოთ ლიოს ხილვა, სიმღერის შინაარსის მოყოლა ვთხოვე, მაგრამ მან მხრები აიჩეჩა და ლიოს ჰკითხეო, მითხრა. რომც მეკითხა, რა აზრი ჰქონდა, მაინც ვერაფერს გავიგებდი. მოკლედ, თუ ბედმა გაგიღიმათ, ორატორია ნახევარ საათში დასრულდება, მაგრამ თუ ცუდ ფეხზე ადექით, მაშინ ერთი საათი ან მეტიც გამოწერილი გაქვთ და ამის შემდეგ არა მარტო ოთახი, არამედ მთელი სახლი შვებით ამოისუნთქავს. ბოლოსდაბოლოს ლიო თავის გულლია ღიმილს გაწუქებთ და ისევ ორი-სამი კვირით გაურკვეველი მიმართულებით გაუჩინარდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ილია ჭანტურია

# მშვიდად, გაკვეთილი იწყება[1]



1. მოთხრობა დაიწერა კონკურსისთვის, სახელად „საუკეთესო მოთხრობა მასწავლებლისთვის"

ეროვნული ბიბლიოთეკა

*1.*

*ქალბატონ ნათია მასწავლებელს*

მას ბაჩი ბაჩი მუნდს ქუმაჩი მე მართლა არ დამიწერია კედელზე დედას ფიცავარ, მეგრული არ ვიცი საერთოდ და რანაირად დავწერდი. დირექტორი რო შემოვიდა თქვენ გაკვეთილზე და რო თქვა რო კოკას დაწერილი იქნება ესო არაა მართალი დირექტორი არ მოიტყუებდა მას მარა, მე იმიტო ვეგონე რო როცა, ჩვენთან ქონდა გაკვეთილი ერთხელ ეზოში დაჭერილი შველა ჩოვუდე შკაფში და მაგის მერე უზდელი ვგონიეარ მარა, არ ვარ მას. დედას ჩიყვი ჭირსო ექიმმა და დირექტორისგან რო გეიგოს ეგ ამბავი გაბრაზდება და გამლახავს მას და ამიტო გთხოვთ რო აუხსნათ დირექტორს ქალბატონ მზიას, იმიტო რო მე არ ვყოფილვარ და არ ვიცი მართლა ვინდაწერა ეგ სიტყვები მას.

*კოკა აბესაძე*

* * *

ამ ბოლო დროს არც არავინ დადისო, ერთი მაიკოა და თავისი მზახალი, მესამე კიდო შენ და შენი რძალიო, მეტი არავინ საერთოდო, იმ მღვდელმა გაუწყალა ამათ საქმე, იმის ბრალია, იმ წასაგებელისო, კუხნაში არიან დედაჩემი და ნანა, ჩვენი მეზობელი როა გვერდით, კოფეს სვამენ. მე აქეთ ვარ ოთახში, ქართულის წიგნი მაქვს გადაშლილი და ვერაფერს ვერ ვკითხულობ, თავიდან დავჯდები, ვითომ წავიკითხავ, მერე სუ სხვა რაღაცეები მახსენდება და მაგაზე ვფიქრობ, ხან აქეთ ამათ ლაპარაკს ვუსმენ. ღორონთიშით ქიინია მუდგარენ, დარიკო, ღმერთის ნებით იქნება რამეო, ნანა ამშვიდებს დედაჩემს. თენა ვა მწანსია მა, არ მნამს მე მაგისო უკვე კაი ხანიაო, დედაჩემმა, ეშმაკობას და დემონობას მაბრალებს ეგ მღვდელიო, მჩხიბავიაო, ამბობსო, ვიცი მე ეს, მაიკოს მზახალია მაგის მრევლი და ეუბნება თურმეო, ვიცი ყველაფერიო, ერთი ამით ვშოულობ, ამით ვარჩენ ჩემს გაბოს, მოუკვდეს დედა, და მეორე კიდე კი იცი, ყოველ დილით და საღამოს რო მიწევს ზუგიდში ჩასვლა, მატარებლის ლოდინი, პრავადნიკი არაფრით მიშვებს უკვე ზევით, ძა, წინათ ავდიოდი მაინც, ახლა ქვევით ვდგები და ისე ვყვირი, ლობიანი, ხაჭაპური, პერაშკი, მერე გავალ და მთელს ქალაქს დავივლი, ჩვენთან მაინც არავინ ყიდულობს და ზუგიდში დავდივარ, მის მუშოთ ოკო სკან ნაცოდება ხაჭაპურ დო პერაშკ, ძა, ხვალე ბალანეფ იიდენა, მეტ ვარ.

ზის დედაჩემი და ყვება თავის ამბებს, ვის რათ უნდა ჩემი ნაცოდვილარი საჭმელიო, ბავშვები თუ იყიდიან მარტოო. ნანა ჩუმად ზის და პასუხს არ სცემს, უსმენს, მობეზრდება ამასაც და გავა ალბათ მალე, აბა, ამდენი ხანი ვილაცის გაჭირვებას რო უსმინო, ვერაა [illegible] არც ნანა დადიოდა ამ ბოლო დროს ხშირად დედაჩემთან სამკითხაოდ, თავისი ბიჭი ჩამოუვიდა რუსეთიდან, ბიზმესმენი თუ რაცხაა მანდო, იქაურ მღვდელებთან მეგობრობს, ეკლესიურია სულ და რაც ჩამოვიდა, დედამისს ეუბნება, შეეშვი მაგ წიკვალ ქალთან სიარულსო, ვა შინერსია, არაა ქრისტიანულიო, მაიკომ უთხრა ეს ყველაფერი დედაჩემს, მაგიტოა რო ნანას კარგად დახვდა დღეს და რამეფრად თავი შევაცოდოო, გადმოულაგა თავისი საცოდავი ამბები.

მე წამით თავს ვანებებ ამათ მოსმენას, წიგნს ვშლი და ისევ ვიწყებ კითხვას.

*და მელანდება მე მის წიაღში*
*მოხუცი მამა, მოხუცი მამა*
*სასხლავით ხელში დადის ვენახში.“*

ვკითხულობ და ვერც ვერაფერს ვგებულობ, მამაჩემი მახსენდება მარტო, სადაა ახლა? საზღვართან რაც გაიტაცეს, არავის გაუგია რამე. აღდგომის დილა იყო, წინა საღამოს მესაზღვრეებმა საზღვრები გადაკეტეს, აღდგომა იყო და მამაჩემის საფლავთან უნდა მივიდეო, აიტეხა, დედამ ვერც გადააფიქრებინა, მე არ გამიყოლა, ჩემი ბიძაშვილები გაიყოლა, უფროსები არიან ჩემზე, ენგურის ხიდს მოუარეს და მავთულებზე რო გადავიდნენ, მაშინ ნახეს მესაზღვრეებმა, სროლით ერთი-ორჯერ უსვრიათ, თუ დაგიჭირეს, ძირს გაგიგდებენ და ცემაში გაგხევენ, გამოეკიდნენ მესაზღვრეები, ესენი გაიქცნენ მავთულებისკენ, მამამ რო ნახა რო ეწეოდნენ და სხვა საშველი არ იყო, ესენი გაუშვა, უკან გამობრუნდა და ამათ შეეჩეხა, ჩემ ბიძაშვილებს დრო რო მიცემოდათ. ისინი გამოიქცნენ, მამა დარჩა, მერე არც არავის გაუგია მაგის ამბავი, აფხაზებს ყავთო ციხეშიო, ჯილაგარმა მოიტანა ამბავი წინათ, ეგ იქ დადის ხოლმე, იქაური პასპორტი აქვს და უშვებენ, პლანი გადმოაქვს ხოლმე აქეთ გასაყიდად, ციხეშია და ორ თვეში უშვებენო, მაგის მერე ორ თვეზე მეტი გავიდა, დედაჩემმა ადგილობრივ პარტიულებსაც მიწერა, სულ იქ დადიოდა, მარა პასუხი არავისგანაა.

მთავარი სათქმელი, მთავარი სათქმელიო, სულ მაგას გვიჩიჩინებდა მზია ფიფია, ახლა დირექტორია და ჩვენ არ გვასწავლის. რა მთავარი სათქმელი უნდა გამოვიტანო, არ ვიცი, მე ვერც ვერასდროს ვხვდებოდი ეგეთებს და ვერც ვიზეპირებდი, მაგის გამო მყავდა სულ ორიანები, დიასკანს ქუნინქიაირფელს, კეტით რექია ოლახარ, დედაშენს ვეტყვი ყველაფერსო, ჯოხითხარ საცემიო, მზია მეუბნებოდა, მე თავს ვხრიდი და გულში სულ დედას ვაგინებდი, ასეთი ქალია, ავი, ავი. მერე ცალკე დედაჩემის ყვირილი უნდა მესმინა სახლში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

*ცვრიან ბალახზე თუ ფეხშიშველა*
*არ გაგიარე - რაა მამული?!"*

თავიდან ვიწყებ კითხვას, წამით დილა მახსენდება, ბავშვები ფეხშიშვლები მინდორზე ფეხბურთს რომ ვთამაშობთ, მე თეთრი შორტი მაცვია, თამაშისას სულ მიმწვანდება ბალახით და ვიცი, დედა გამიწყრება, რეცხვით ამას ვერ ამოვიყვანო. კარგი ლექსია, მარა რაზეა მაინც არ ვიცი, რა ბალახი და რა მამული. სკვამი ნათია გვეტყვის ალბათ შემდეგ გაკვეთილზე, ასე დავარქვით, ამ სემესტრში გადმოვიდა ჩვენთან, რატომ ან რისთვის, მართლა არ ვიცი, მარა პირველ გაკვეთილზე რომ შემოვიდა, ბიჭებს ყველას მოგვეწონა და სკვამი ნათია დავარქვით, ეგ იმიტო, რო მეორე მასწავლებელიც გვყავს ნათია ისტორიის და ეგ ასაკიანია უფრო, ეს კიდევ ლამაზია, ამიტო სკვამი ნათია ერქვას-მეთქი. მაინც რა უნდა ასეთ ლამაზ გოგოს ჩვენს სოფელში არ ვიცი, დედას ეცოდინება.

ძროხა მოვიდოდა და უნდა მოვწველო ახლაო ნანამ, სულ გამომრჩა და უნდა წავიდეო. დედაჩემიც აქოთქოთდა, ჰო, ჰო, მოგაცდინე ნამეტანიო, მეც ქვეყნის საქმეები მაქვსო. ნანამ კოფეს ჭიქა გადადგა გვერდზე, ეს მერე იყოსო. დედამ გააცილა სტუმარი. მერე სახლში დაბრუნდა, „ეს მერე იყოს, ჰმ, დინაფილიშურ," ნანას სიტყვები დამცინავად გაიმეორა დედაჩემმა და ბოლოს მიალანძღა. ოთახში შემოყო თავი, ისწავლეო? ჯერ არა, ცოტა დამრჩა-მეთქი, ხო იცი, მალე უნდა ჩამაბაროო, ონჯღორე ვაბძირათ თი ოსურწკუმავა, სირცხვილი არ ვჭამოთ იმ ქალთანო, ახალი მასწავლებელია და თავი უნდა მოაწონოო, სკვამ ნათიაზე ამბობდა დედა.

## 2.

რაღაც მოხდება და ყველა მაგას გაიძახის - კოკა, კოკაო, სულ მე შეიძლება რო ვიყო შუაში? ვერ გევიგე, სულ მე ყველაფერი რაფერ უნდა დავამშავო? კაი, წინათ იყო რო რაცხა ცუდები გამიკეთებია, გოგოებს ჟუვაჩკებს მე ვაწეპებდი თმებში და მასწების სკამზეც დამიდია, ისიც კაი, ჭავჭავაძის სურათის უკან მე დავდე ტელეფონი, მერე შუა გაკვეთილზე დოვურეკე და, მას, ილიას ურეკავენ, უთხარით აილოსთქვა, მარა მთელი კლასი ხო გავაცინე, აბა მზია მარტო გვიბღვერდა სულ და რამით ჰო უნდა გამერთო ბავშვები? ახლაც შენ მიაწერე ბაჩი, ბაჩი, მუნდს ქუმაჩი გინდა თუ არაო, მე საერთოდ არც ვიცი მეგრული ნორმალურად, მერე მითხრეს ბავშვებმა, რო მუნდი ტრაკს ნიშნავს და ქუმაჩი კიდევ - მიკბინეს. მე აქაური არც ვარ, ქვიტირიდან ვარ და მანდ არ ვლაპარაკობდით მეგრულად ბავშვები და რანაირად მცოდნოდა? ორი წელია რაც აქეთ ვარ, იმიზა, რო საზღვართან თუ სწავლობ, მერე უფასოდ ეწყობი უნივერსიტეტში და დედაჩემი აქაურია და შენი ამბავი რო ვიცი, ფული მექნება სახდელ- შე სასიკვტილეო და გადმოვედით აქეთ მე და დედაჩემი ბაბუაჩემთან და ბებიაჩემთან, თან მოხუცდნენ და მოვუვლიო, დედაჩემმა.

მოვიდა მზია, რაცხა უნდა ეცნობებინა ჩვენთვის, შემოსვლისას ყველა ფეხზე წამოდგა. ნამეტანი ფიცხი ქალია მზია და ეს რო ნახა მიწერილი კედელზე, დოუშვა და დოუშვა, ნათია მასწი გვიტარებდა მაშინ ისტორიის გაკვეთილს, ეს კოკას გაკეთებული იქნება, ამ ახლა შემოთრეულისო და მლანძლა და მლანძლა. ნათია მასწმა, მზია, მე მივხედავ ამ ყველაფერს, ნუ ბრაზდები და ნურც ილანძღები ასეო, შენ ნუ მასწავლი, ქალო, როგორ ვილაპარაკოო, დოუბღვირა ამან, ნათია მასწი გაჩუმდა და ხმა არ გოუცია, მზია მე მომიბრუნდა, ახსნა-განმარტებით წერილს დამიწერ და ხვალ მომიყვან მშობელსო, გავიდა და კარიც გაიჯახუნა. გასვლის მერე ნათია მასწი ჩუმად იჯდა სკამზე, გაბრაზებული სახით იყურა კაი ხანი, პირველად ვნახე ასეთი ნაწყენი. ღიმილიანი და ბუნჩულა ქალია ნათია მასწი, აი, ისეთი, მაგის გაკვეთილზე სულ ხმაური როა, სანამ კლასში შემოვა, ნამეტანს ვხვანცალებთ, შემოდგამს ფეხს და „აბა, ახლა მშვიდად, გაკვეთილი იწყება," - გვეტყვის, მარა მომკალი და დამშვიდებით ველარ ვმშვიდდებით. ნიშნებსაც ცუდს არ დაგიწერს, ყველას აქებს, მთლა ზედმეტად არა, მარა ყველას რაცხა კარგს უპოვის.

მერე წამოდგა და დროზე გაკვეთილი ჩამაბარეთო, მე მომიბრუნდა და ყველაფერს დაწერ, რაც გააკეთე და ისე მომცემ წერილსო, მე მივუტან დირექტორსო. ვინც მოყვა გაკვეთილი, არცერთის არ მოეწონა, მე ხელს არ ვიწევდი, ჩემი კლასელი ნინოსი არ მოეწონა და ჩემზე მთლად გადაირევათქვა. როგორც ვთქვი, ხელი არ ამიწევია იმ დღეს, გაკვეთილის მერე წერილი დავწერე, ვუთხარი ყველაფერი, დედაჩემმა რო გაიგოს ეს ამბავი, გამლახავს, ექიმებმა დოუდგინეს რაცხა და ისეთი ავანტყოფობაა რო აბრაზებს მაგრა. წერილი ნათია მასწს გადავეცი, სახლში თუ მოახერხეთ გადაავლეთ თვალი, თქვენც იცოდეთ რა მოხდათქვა, თავი დამიქნია და ისე გავიდა რაცხაფრად, აი, ისე, ცივად, ცივად, ნამეტანი ცივად.

* * *

***19 სექტემბერი***

დღეს მეოთხე გაკვეთილი ჩავატარე სკოლაში, ჯერ მხოლოდ მეათეკლასელებს ვუტარებ. დირექტორმა დამიბარა და მომავლის გეგმებზე მესაუბრა. ძალიან ბევრი მაქო, შენნაირი ლამაზი და ჭკვიანი ახალგაზრდები გვჭირდება

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზუსტად სკოლაშიო, მითხრა, რომ ახალგაზრდა კადრების ნაკლებობა რომ არა, გაუშვებდა ამ მოხუცებს და მათ მოიყვანდა. მერე მკითხა, მაინც რატომ გადაწყვიტე აქეთ ჩამოსვლა, არაა მთლად დაცული ადგილი, კი იცი ახლა შენ ესო. მე ვუთხარი, რომ თუ სოფელზე მეკითხებით, აქაური სიტუაციის შესწავლა მინდა, მინდა გავიგო ხალხი როგორ ცხოვრობს, რა პრობლემები აქვთ და რა ამბების მოყოლა სურთ, ეს მასწავლებლობასაც მინდა შევუთავსო. ჟურნალისტური ინტერესები გამოძრავებსო? არამარტო ეს-მეთქი, მგონია, რომ ბავშვებთან მეგობრობა კარგად გამომდის და როგორც ჩემგან სწავლობენ ბევრს, ორჯერ მეტს მათგან ვსწავლობ-მეთქი. ამაზე გაეცინა, რაებს იტყვით ზოგჯერ ეს ახალგაზრდებიო. უცნაური ქალია, მერე საუბარი კიდევ გამიგრძელა, პირად ცხოვრებაზე მკითხა ბევრი, მაგრამ მე ძალიან ზედაპირულად ვუპასუხე, არ მომწონს, როცა ჩემი პირადით უცნობები ინტერესდებიან. მერე დავემშვიდობე და გამოვედი.

დღეს განსაკუთრებული გაკვეთილი გვქონდა, ძალიან იმოქმედა ამ დღემ ჩემზე. გალაკტიონის ერთ-ერთ ლექსზე უნდა გვესაუბრა. როცა გაკვეთილი დაიწყო, ბავშვებმა ხელის აწევა დაიწყეს, მე მოვყვები, მე მოვყვებიო. მე ვუთხარი, რომ არ არის საჭირო ზეპირად ჩამაბაროთ, უბრალოდ ლექსზე მესაუბრეთ, რა მოგეწონათ, რა ემოციები აღგიძრათ-მეთქი. ყველა გაჩუმდა, სულ შვიდნი სხედან ერთ კლასში და არავის არ აუწევია ხელი. შუა ოთახში ვიდექი, ჩემ გვერდით გაბო იჯდა, დაბალი, ხუჭუჭა ბიჭი, ვკითხე, აბა, შენთვის როგორი იყო ეს ლექსი, რა ემოციები გაგახსენა, ან იქნება საერთოდ არც მოგეწონა-მეთქი. თავიდან ცხვენოდა, მერე ნელ-ნელა დაიწყო. მეო, ფეხბურთის თამაში გამახსენდა დილითო, მინდორში რო ვთამაშობდითო, ყველას სიცილი წასკდა, გაბოს შერცხვა და გაწითლდა. ბავშვები ძლივს დავაშოშმინე, ვუთხარი, რომ საერთოდ არ არის სირცხვილი ლექსმა შენი ცხოვრების დეტალები გაგახსენოს, პირიქით, ლექსი იმისთვისაა, რომ ემოციურად იგრძნო, სიტყვებს ეს ძალა აქვს-მეთქი. მაგალითად, მე ეს მახსენდება, ერთხელ, ერთ ცხელ ზაფხულს, პატარა გოგო რომ ვიყავი, ქალაქიდან სოფელში ჩამომიყვანეს მშობლებმა, მეც მთელი ზაფხული სოფლის მინდვრებზე დავტანტალებდი სულ ფეხშიშველა, ერთხელაც, როცა ეზოში დავრბოდი, ცვრიან სლიპინა ბალახზე ფეხი ამიცდა და შიგ ჩვენი კამეჩის მოსაქმებულში მოვადინე ზღართანი-მეთქი. ექვსივეს სიცილი წასკდა, გაბოს ჯერ ცხვენოდა, მერე ვერ გაუძლო და აყვა კლასელებს. ნელნელა დამშვიდდნენ, მერე ისევ მივუბრუნდი, ახლა მიდი და მოგვიყევი ისევ შენს ემოციებზე, ჩემზე დასაცინს ვიცი ვერაფერს იტყვი-მეთქი და გაბოს გაეღიმა, ცოტა ხანი დაფიქრდა და მერე, როცა ნახა, რომ ყველა მას უყურებდა ინტერესით, დაიწყო თავისი ამბის თხრობა. მოყვა გაბომ, იმ დილაზე ფეხბურთს რომ თამაშობდნენ მეზობლის ეზოში, მოყვა როგორ ცდილობდა თავისი თეთრი შორტი არ დაესვარა, ბალახს რო არ გაემწვანებინა, იმიტომ რომ დედა გაუწყრებოდა, მერე მოყვა გაბომ თავის მეგობარზე, დილით გამთენიისას მეზობლების ცხენების მოსაპარად რომ წავიდნენ, თან თოკი რო მიჰქონდათ, ფეხებს სულ გრილი ცვარი რომ უსველებდათ, ნელა მიეპარებოდნენ ცხენს, წყნარად მოაჯდებოდნენ, მოხვევდნენ თოკს და გააჭენებდნენ ცვრიან ბალახზე და ეს იყო ძალიან სასიამოვნო, ტრიალ მინდორზე ცხენით ჯირითი, ეს იყო ძალიან დიდი თავისუფლება და თქვა გაბომ, რომ აი, ეს არის ალბათ მამულიც და სამშობლოც და ალბათ ამას გძნობდა ეგ კაცი, ამას რომ წერდა, ცვრიან ბალახზე ფეხშიშველა ფეხბურთის თამაშია სამშობლო და ცხენის ჭენება ტრიალ მინდორზე დილაუთენია, ისე რომ სახლში დაქანცული და დაღლილი მიხვიდე, მარა დაკარგული მამაც არისო სამშობლო, დაკარგული მოხუცი მამა, საზღვართან რომ დაიჭირეს მშვიდობისმყოფელებმა და ახლა რომ არ იცის სადაა, აი, ამ კაცისთვის მოხუცი მამაა, რომელიც ვენახში დაიარება, ჩემთვის კიდევ ციხეში გამოკეტილი მოხუცი მამა არისო მამული, გაბომ, თვეები რო გადის და მისგან არც არაფერი არ ისმის, დაკარგული მოხუცი მამა არისო სამშობლო, თქვა და ცრემლები ისე წასკდა, ველარ ჩერდებოდა, მივედი და ჩავეხუტე, არ ვიცოდი რა უნდა მექნა, უბრალოდ ჩავეხუტე, ბავშვებიც შემოიკრიბნენ, ზოგი აწყლიანებულ თვალებს მალავდა, გაბოს ამშვიდებდნენ.

სახლში საღამოს დავბრუნდი, არაფერი მიჭამია, ოთახში ავედი, ქვედა უჯრა გამოვაღე, ქაღალდი გამოვიღე და წერილის წერა დავიწყე.

„გაბრიელს..."

## 3.

მზიკო, მზიკო, ჩემო მზიკო, ჩემო საყვარელო გოგო. როდის დაგიძახე ასე ბოლოს, რომ არ მახსოვს? რა ეშველება ამას? როგორ შეიცვალა ყველაფერი, გოგო, როგორ ცუდად შეიცვალა ყველაფერი. შენ გგონია ვბრაზობ ალბათ, შენ ისიც გგონია, მთელი სამასწავლებლო შენზე ბოლმით რომ ვივსებით, ვიცი, ვხვდები მაგას შენი ნათქვამებიდან და შენი გამოხედვიდან. არ ვიცი, მზიკო, არ ვიცი, როდემდე უნდა გაგრძელდეს ეს ყველაფერი. გახსოვს, ბოლოს როდის გავუღიმეთ ერთმანეთს, როდის ვეჭუკჭუკეთ ერთმანეთს, როდის მოვესიყვარულეთ. ბაღნობა გაიხსენე, ბაღნობა, ჩვენი ბაღნობა გა-

იხსენე, მზიკო, ჩემო გოგო, აი, ხო ხედავ როგორ სითბოთი გიხსენებ, იმიტო, რო შენი ბალნობა არ დამვიწყნია მე და არც ჩემი. როცა გიყურებ იმ ბრაზიან გამოხედვაში, არა, აი, ნამით რო გაიღიმებ, მაშინ მახსენდება ის პატარა გოგო, კიკინებიანი, ყვავილებით მოხატული სარაფანათი, ის პატარა გოგო, რომელთან ერთადაც გამოვიარე მთელი ჩემი ახალგაზრდობის ნლები. გახსოვს, გოგო? გახსოვს როგორები ვიყავით? ერთ დღესაც რომ არ ვტოვებდით უერთმანეთოდ, შენ რომ ნაბიჯებს დგამდი, მე ვეცემოდი და შენგან ვსნავლობდი. სკოლაც მახსოვს და ჩვენი პირველი სიყვარულიც, მეზობლის ბიჭი, რიჟა ნოდარი რომ მოგვნონდა ორივეს, გახსოვს როგორ ვჭამდით ერთმანეთს? ბოლოს მთლა თმების პუტვით რომ ვამთავრებდით, დედაჩემი რომ გვაშველებდა ბოლოს და ვრიგდებოდით მერე, ჩაბარდა რიჟა ნოდარის ტრფობა პატრონს, მარა ჩვენი დობა არ მოშლილა. გახსოვს სოხუმის ნლები? უნივერსიტეტის დღეები. ემზართან რომ გქონდა პირველი პაემანი, ის დღეც მახსოვს გუშინდელივით, რა დამავიწყებს, ჩემი ნითელი იუბკა რომ გათხოვე, „ამრაში"რომ დაგპატიჟა ემზარმა, რა ლამაზი დღე იყო მაგი, თითქოს მე მპატიჟებდნენო, ისე მიხაროდა. ვიცი, მზიკო, ჩემო გოგო, ვიცი, არ გინდა ალბათ ემზარის გახსენება, დაგნყვიტავ გულს ალბათ მაგის გახსნებით, ნეტავი ჩემი მტერი მოყოლილიყო მანდ, ნეტავი ჩემს მტერს ჩამოქცეოდა მინა იმ ჭაში და ოღონდ ემზარის არა, ვიცი, არაფერი იქნება ახლა ჩემი ნუგეში, მარა სიტყვები გვამაგრებს ჩვენ, სიტყვები. უნდა გვაპატიო ყველას, გოგო, უნდა გვაპატიო, რაც გავაკეთეთ, ვიცი, ახლა არ მოგინდება ამის მოსმენა, შენზე ვზრუნავდითო რო გითხრა, მარა ეგრეა, მზიკო, ეგრეა, ჩემო გოგო. უნდა გვაპატიო მე, თინიკოს, მზექალას. თინიკომ მითხრა, არ გამოდის სახლიდან, არაფერს პირს არ აკარებს, გუშინ სახლში მეც არ შემიშვაო, ბალანა დედამისთან ყავს გაშვებულიო, მონაზვნად უნდა ნასვლა მახარიას დედათა მონასტერშიო. რო ამბობენ, ტვინში სისხლი ჩამექცაო, ე, მაშინ ვიგრძენი ეგ, მზიკო, ე, ზუსტად მაშინ ვიგრძენი ეს ყველაფერი. მაგიტომ ავტეხეთ ერთი ამბავი, მაგიტომ ჩავრიეთ დიდი მღვდელობა მაგ ამბავში, აბა ბალანას ხო ვერ დატოვებდი, მზიკო, ცხოვრება უნდა გაგეგრძელებინა, ჩემო გოგო. ასე არ იყო, რო გითხარი, შენ ნაბიჯს დგამდი, მე ვეცემოდი და შენგან ვსნავლობდი-მეთქი? მაგის მერე რამდენჯერ დავეცი, მზიკო, და რამდენჯერ ნამომაყენე, მეც ეგ ვცადე, ეგრე მეგონა, ნამოვაყენებ-მეთქი, ფეხი დაუცდა-მეთქი. მაგის მერე ვერ გცნობ და ყოველ საღამოს სულ ამაზე ვფიქრობ, გავიდა მაგის მერე ნლები და აჰა, ისევ ერთად ამოვჩნდით ამ ჩვენს მიჩვენებულ სოფელში, მშობლები ვერ დავტოვეთ, ვერ მივატოვეთ, ისინიც, ჰო იცი, ფეხის გადგმა არ უნდათ სხვაგან, ვერ დავტოვეთ მარტო მოხუცი მშობლები, ამ ჩვენი საცოდავი ხელფასებით უნდა ვარჩინოთ. შევხვდით ისევ, როგორ მეგონა ისევ თუ აქ გადავეყრებოდით, თან ამ სოფელში, ამ სკოლაში, სადაც გავიზარდეთ. როგორ მეგონა, როცა პირველად გნახე, მოვა, დაივიწყებს ყველაფერს და ღიმილით გადამეხვევა-მეთქი, რაფერ ხარ, ნათი? მკითხავს თავისი ცქრიალა ხმით-მეთქი. ამ ბალნებს რომ ვუყურებ, სულ ჩვენი თავი მახსენდება, გოგო, ჩვენი ბალნობა მახსენდება. უყურე ამათ ხშირად, ბევრ რამეს განახებენ, ბევრ რამეს გაგახსენებენ, აი, იმ პატარა ბალანას სიცელქეს და გულნრფელობას გაგიღვივებენ გულში, რომელიც ასე გვიჩლუნგდება, როცა ვიზრდებით.

კოკამ მომცა გუშინ შენთვის გადმოსაცემი ნერილი, მთხოვა თვალი გადაავლეთო. მე მნერდა მაგას, შენ ვერ შემოგბედა, მე მომნერა ეგ ნერილი. ძალიან მანყენინე გუშინ, ასე რომ მიპასუხე, ხო იცი, როგორ ვიცი ხოლმე, გავბრაზდი მაგრად, მეგონა ნამოვხტებოდი და ნავიდოდი ამ სკოლიდან საერთოდ, მარა თავი შევიკავე, მერე მოვლბი, შენი გაბრაზება გაბრაზება არააო, შენ არ მეუბნებოდი? კარგი ბალანაა კოკა, შენ არ იცი ის ისეთი ბიჭია... ცელქი და ეშმაკი რო ჩანს, მაგას გულში რა უდევს არ იცი. სხვებიც ეგეთები არიან. უნდა ანახო ბავშვებს სითბო და იცი, როგორ გიპასუხებენ ამაზე? ბალანას სითბოს რომ ანახებ, ასმაგად დაგიბრუნებს მაგას, კოკამ მითხრა ერთხელ, თქვენი გაკვეთილი რო გვენყება, მას, სულ მგონია, გაკვეთილი არცაა და თან ვისვენებთ და თან ვსნავლობთ ისტორიასო, ის სიმკაცრე გონიათ ამათ მარტო გაკვეთილი, სულ შიშში რო არიან, არიქა მასნავლებელმა რამეში არ ჩამჭრას და მერე არ გამკიცხონ ან არ გამლახონო. მე მაგაზე ვფიქრობ, გოგო, ჩვენ რომ გადავშლით ჟურნალს და რო ვუნერთ ნიშნებს, აი, მაგათ რო ქონოდათ ჟურნალი, ჩვენზე რას დანერდნენ-მეთქი, შენ თუ გიფიქრია ამაზე? მზია როგორიაო, რას იტყოდნენ? მე სულ ამას ვფიქრობ და ვცდილობ რამე არ შემეშალოს, არიქა, ნიშანი არ გამიფუჭდეს-მეთქი, ნიშანიც ხო ეგაა, მეგობრობა და სიყვარული, თუ ეს იცი, ჩათვალე დანარჩენი მარტივად გამოგივა. ნუ გაუნყრები კოკას და ნურც დედამისს ეტყვი რამეს, არ იცის იმ ბალანამ მეგრული და ვერ მიანერდა მაგას, ნურც მაგის გამოძიებას დაინყებ ვინ მიანერა, ნავშლი მაგას მე, არაა პრობლემა. არ ვიცი, ამას მიიღებ თუ არა ჩემგან, არ ვიცი, გულთან ახლოს მიიტან თუ არა, მარა თუ ის ბალანა კიდევ არის შენში, ის კიკინებიანი გოგო, გამიგებ და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალბათ ღიმილით, ცრემლმომდგარი დაასრულებ ამის კითხვას, ვიცი მე შენი ამბავი.

*შენი ნათი*

* * *

გაბრიელს,

ჩიტები გიყვარს? გადამფრენი ჩიტები, ყოველ სეზონზე ადგილს რომ იცვლიან, ყოველთვის სითბოსკენ რომ მიილტვიან. შენხელა ვიქნებოდი ალბათ, ერთი ძალიან კარგი ამერიკელი მწერლის წიგნი რომ წავიკითხე, ზუსტად შენხელა ბიჭზეა, რომელიც სახლში ვერ ბრუნდება და მთელს შობის წინა დღეებს მარტო ატარებს ნიუ-იორკში, იმიტომ, რომ კოლეჯიდან აგდებენ. კითხვების დასმა ძალიან მიყვარდა იმ დროს, შეიძლება უამრავი კითხვა დამესვა და პასუხს არც დაველოდებოდი. ამიტომაც ამ წიგნიდან სიუჟეტის ერთ-ერთი ნაწილი მქონდა აკვიატებული, ამბავი ასეთია, ბიჭი ტაქსიში ზის და ამ დროს მანქანა ნიუ-იორკის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ადგილს, ცენტრალ პარკს ჩაუვლის და ბიჭი ტაქსისტს ასეთ უცნაურ კითხვას უსვამს, „სად მიფრინავენ იხვები, როცა ნიუ-იორკის ცენტრალური პარკის ტბა იყინება?", საოცარია არაა? თან ისეთი პატარა გოგოსთვის, რომელსაც სიგიჟემდე უყვარს პასუხგაუცემელი, უცნაური კითხვების დასმა. ეს კითხვა ამეკვიატა, დედაჩემს სულ ამას ვეკითხებოდი, ჩემს თანატოლებს ამ კითხვით ვაწუხებდი, ვერავინ ვერ მცემდა პასუხს და მომწონდა, მაგრამ ერთხელაც, როცა ბუნებისმეტყველების მასწავლებელი გადამფრენ ფრინველებზე გვიხსნიდა გაკვეთილს, თავი ვერ შევიკავე და ვკითხე, საით გაფრინდებიან ჩიტები, როცა ამერიკაში ის რომელიღაც ტბა გაიყინება-მეთქი? როგორ არ მინდოდა, რომ პასუხი გამეგო, კითხვა უფრო იდუმალია, როცა პასუხი არ აქვს, ხომ ასეა? და მან იცი რა მიპასუხა? სამხრეთით, ჩემო კარგო, სამხრეთით, იქ, სადაც უფრო მეტი სითბო და ტენიანობა არისო. იმ წამსვე დაკარგა თავისი მისტიურობა ამ კითხვამ, იქნებ არაა მართალი და მაინც პასუხგაუცემელი კითხვაა-მეთქი, თავს ვინუგეშებდი. ამის შემდეგ ჩემმა კლასელმა კითხა, და უკან არ დაბრუნდებიანო, ჩიტები რომ მიფრინავენ ზამთარში, არ დაბრუნდებიან ისევ ჩვენთან უკანო? და მასწავლებელმა უთხრა, რომ აუცილებლად, როგორც კი იმ მხარეში აგრილდება, ისინი აუცილებლად დაბრუნდებიან იქ, საიდანაც გაფრინდნენო. იმ წამს თითქოს არც მიმიქცევია ამ პასუხისთვის ყურადღება, მაგრამ, როგორც ჩანს, გონებაში მაინც ჩამრჩა.

მაშინ მე, დედაჩემი და მამაჩემი თბილისში ვცხოვრობდით, ერთ გარეუბანში, დევნილების დასახლებაში, ყოველ დილით მამა სამსახურში დადიოდა, სტამბაში, ამისთვის ჩვენი უბნის ხიდზე უნდა გადასულიყო და ღამით იმავე გზით დაბრუნებულიყო, ქუჩაში ღამით სიარული კი საშიში იყო. ამიტომ ყოველ საღამოს დედა ნერვიულობდა მამაზე, მეც ყოველ საღამოს ამაზე ვფიქრობდი და მაშინ მახსენდებოდა ჩემი ბუნების მასწავლებლის სიტყვები, რომ გადამფრენი ჩიტები აუცილებლად ბრუნდებიან იქ, საიდანაც გაფრინდნენ და ეს მამშვიდებდა, როგორ მარტივი რამეა, არა? მაგრამ მე მჯერა სიტყვების ჯადოსნურობის. როგორ მეშინოდა ხოლმე მაშინ, შიში მთლიანად მიპყრობდა, მაგრამ უმალ გაქრებოდა, როცა ვიხსენებდი, რომ სხვა გზა არ აქვთ გადამფრენ ჩიტებს, უნდა დაბრუნდნენ.

ვიცი, ალბათ მხოლოდ მცირედია ეს ყველაფერი, რასაც გწერ, რაღაც უმნიშვნელო, მაგრამ იქნებ მაშინ, როცა იგრძნობ, რომ სისუსტე გჯაბნის, ამ ყველაფერზე დაფიქრდე.

ისე როგორ ფიქრობ, მართლა მაინტერესებს, გიყვარს ჩიტები?

## 4.

დღეს პირველი გაკვეთილი ისტორია გვაქვს, კლასში როცა შემოვდივარ, წინა მერხთან წამომჯდარი ნინო მხვდება, ვესალმები და უკანა მერხზე ვჯდები, მალე სხვებიც მოდიან. კატლეტის სუნი ტრიალებს, გვერდით ვიხედები, კოკა გაცხარებული ჭამს კატლეტს პურთან ერთად, „გინდა?" - მეკითხება პირგამოტენილი. „დატოვე რამე?" - ვეკითხები და მეცინება. კოკა ტრიალდება და ჭამას აგრძელებს. მე კევს ვიღებ ჯიბიდან და პირში ვიდებ. გვერდით ნინო მიდგას.

- მზია რო შემოვა, ჟუაჩკაზე გაგიწყრება, - მეუბნება.

- არ შემოვა, - ვპასუხობ და თავს ვარიდებ.

- შემოვა, გუშინ თქვა, ჩამოვივლი კლასებსო.

კევი პირიდან გამომაქვს და მერხის ქვემოთ ვაწებებ.

- ფუუუფ, - ნინო მიყურებს და იჯღანება.

- კაი, ჰო, კაი, - კევს ვაძრობ სკამს და ნაგვის ყუთში ჩასაგდებად მივდივარ.

კლასი უკვე გაივსო, ყველა ერთმანეთში ლაპარაკობს წყვილებად და ყაყანია, დერეფნიდან ფეხის ხმა ისმის. კარს უახლოვდება და შემოდის.

- ჰე, მშვიდად ახლა, მშვიდად, გაკვეთილი იწყება, - ოთახში ნათია მასწავლებელი შემოდის და თავისი მაგიდისკენ მიდის.

- გაბო, დაჯექი შენს ადგილზე, - მეუბნება ღიმილიანი სახით.

- დიახ, მას, - ვპასუხობ და მერხისკენ მივდივარ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მალხაზ მაჭავარიანი

# ჰაიკუები

### გზაში
მიტოვებული
სახლები მეტს ამბობენ
თავიანთ თავზე.



### მიზანი
სულ მაქვს სურვილი
ჩავჯდე მატარებელში
და გავემგზავრო.

### გათენება
სიჩუმე თითქოს
გადაშლილი წიგნია,
დღე რომ დახურავს.

* * *

ვაშლის ხე დავრგე:
ნეტავ თუ მოვესწრები
მის ყვავილობას.

### პასუხი
ახალი ის არის,
რომ ღმერთი განკაცდა
და კაცი განაღმრთო.

### აგვისტოს თქეში
წვიმამ უცებ თქვა:
გეყოთ ჩემი ხმაური
და ნელა შეწყდა.



### ზაზა თვარაძეს
ჩუმ ცრემლით ვხურავ
სიტყვების შავ ზარდახშას,
შენ რომ მაჩუქე.

### ქარში
გარეთ ქარი ქრის
და ვფიქრობ, რომ ეს ხალხი
მან გამორეკა.

### ინერციის ძალა
1.
საქანელადან
საწოლზე გადავწექი
და კვლავ ვქანაობ.

2.
ცხელმა ზაფხულმა
წელსაც ჭიანჭველების
მკვლელად მაქცია.

3.
დრო ტვინს შეეხო,
ინერციით თუ დავწერ
აწი ჰაიკუს.



### ნელი სვლა
მოხუცი ისე
მოდის... თითქოს სიკვდილი
არ ეჩქარება.

### მეორედ მოსვლა
ქარი უბერავს,
წვიმს და მკვდარი ფოთლები
გარბიან ბნელში.

### ნელი თოვა
ციდან წამოსულ
ფიფქსაც არ სურს დაცემა
დ ე დ ა მ ი წ ა ზ ე.

* * *

თვითმკვლელთა ტყეში
გაზაფხულიც თავს იკლავს -
ჩემ გულთან ერთად.

* * *

ჯერომ, რაც ნახველ -
აქ სულ ბანანა თევზის
ამინდებია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ალფრედ ჟარი

# იუბიუ მეფე

**დასასრული. დასაწყისი იხ. არილი, N8 (286)**

***პიესა 5 მოქმედებად***

***მერკურ დე ფრანსის" გამოცემა, პარიზი 1896***

***ფრანგულიდან თარგმნა და შენიშვნები დაურთო ბაჩანა ჩაბრაძემ***

### პერსონაჟები:

მამა იუბიუ

დედა იუბიუ

ასისთავი არშია

მეფე ვენცელი

დედოფალი როზმონდა

მათი ვაჟები: ბოლესლავი, ვლადისლავი და ხულიგავი

წინაპრების აჩრდილები

გენერალი ლასი

სტანისლავ ლეშჩინსკი

იან სობიესკი

ნიკოლა რენელი

ცარი ალექსი

ჯოხილ, სვეტის და ძელარ თახსარები

შეთქმულები და ჯარისკაცები

ხალხი

მიხეილ თედორეს ძე

დიდგვაროვნები

მსაჯულები

მრჩევლები

ფინანსისტები და ფინანსირები

მსახურები

გლეხები

რუსეთის ჯარი

პოლონეთის ჯარი

დედა იუბიუს მცველები

ერთ-ერთი კაპიტანი

დათვი

მაყუთულაყი

ტვინსაბურღი

ეკიპაჟი

გემის კაპიტანი

### მოქმედება III

#### *სცენა I*

*სასახლე.*
*მამა იუბიუ, დედა იუბიუ.*

**მამა იუბიუ**
აჰა, ჩემმა მწვანე ვარყალმა, ამ ქვეყნის მეფეც გავხდი! უკვე კუჭის აშლაც მოვასწარი და ახლა დიდ თავსაბურავსაც მოვმართმევენ!

**დედა იუბიუ**
და რისგან არის შეკერილი, მამ იუბიუ? მართალია, მეფე ხარ, მაგრამ ყაირათი გმართებს.

**მამა იუბიუ**
ცხვრის ტყავისგან, ქალბატონო ცოლო, საკინძით და ძაღლის ტყავის ზორტებით.

**დედა იუბიუ**
მშვენიერია, თუმცა მეფედ ყოფნა კიდევ უფრო მშვენიერია.

**მამა იუბიუ**
დიახ, მართალი იყავი, დედა იუბიუ.

**დედა იუბიუ**
ლიეტუვის ჰერცოგს უნდა ვუმადლოდეთ.

**მამა იუბიუ**
ვის?

**დედა იუბიუ**
ე! ასისთავ არშიას!

**მამა იუბიუ**
ღვთის გულისთვის, დედა იუბიუ, ნუ მიხსენებ მაგ სალახანას! დავასიზმრებ საჰერცოგოს! აწი აღარ მჭირდება და კისერიც უტეხია!

**დედა იუბიუ**
ძალიან ცდები, მამა იუბიუ! შენ წინააღმდეგ შემობრუნდება!

**მამა იუბიუ**
ოჰ! არ შემაშინოს მაგ კაცუნამ! რაღა ეგ და რაღა ხულიგავი!

**დედა იუბიუ**
და, ხულიგავთან, გგონია, ყველაფერს მორჩი?

**მამა იუბიუ**
ფინანსაბარკალება! ცხადია! რა უნდა მიქნას თოთხმეტი წლის ლაწირაკმა მაიმუნმა?

**დედა იუბიუ**
მამა იუბიუ, დამიჯერე, რასაც გეუბნები. ეცადე, მოწყალებით მისი გული მოიგო.

**მამა იუბიუ**
ისევ ფული უნდა გავცე? ნნ! კმარა! ოცდაორი მილიონი უკვე გამაფლანგინეთ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

**დედა იუბიუ**
თავად გადაწყვიტე და მერე საკუთარ თავს დააბრალე!
**მამა იუბიუ**
შენც ჩემს ქვაბში მოიხარშები!
**დედა იუბიუ**
კიდევ ერთხელ გეუბნები და გაიგონე, ნორჩი ხულიგავი გაიმარჯვებს, რადგან სიმართლე მის მხარესაა.
**მამა იუბიუ**
აჰ! ეს ნაგავი! განა, სიყალბე სიმართლეზე ცუდი რითია? შეურაცხყოფას მაყენებ, დედა იუბიუ! დაგანაკუწებ!

*დედა იუბიუ გარბის, მამა იუბიუ მისდევს.*

## *სცენა II*

***სასახლის დიდი დარბაზი.***
***მამა იუბიუ, დედა იუბიუ, ოფიცრები და ჯარისკაცები, ჯოხილი, სვეტისი, ძელარი, შებორკილი დიდგვაროვნები, ფინანსისტები, მსაჯულები, მემატიანეები.***

**მამა იუბიუ**
მომიტანეთ სადიდგვაროვნო სკივრი, სადიდგვაროვნო კაუჭი, სადიდგვაროვნო დანა და სადიდგვაროვნო ეტრატი! შემდეგ, დიდგვაროვნები მომგვარეთ!

*დიდგვაროვნებს უხეშად უბიძგებენ.*

**დედა იუბიუ**
ღვთის გულისთვის, დაშოშმინდი, მამა იუბიუ!
**მამა იუბიუ**
მაქვს პატივი, გაცნობოთ, რომ სამეფო ხაზინის შევსების მიზნით, გადავწყვიტე, სული გავაფრთხობინო ყველა დიდგვაროვანს და ხელში ჩავიგდო მათი ავლადიდება!
**დიდგვაროვნები**
გვიშველეთ! ხალხო, ჯარისკაცებო, აქეთ!
**მამა იუბიუ**
მომიყვანეთ პირველი დიდგვაროვანი და მომაწოდეთ სადიდგვაროვნო კაუჭი! სიკვდილმისჯილებს ტრაპში გადავუძახებ, საიდანაც ღორიჩქმეტიასა და მაყუთოთახის სარდაფებში ჩაცვივდებიან. იქ კი მათ ტვინს გაუბურღავენ.

*დიდგვაროვანს.*

ვინ ხარ, სალახანავ?
**დიდგვაროვანი**
გრაფი ვიტებსკი
**მამა იუბიუ**
რამდენი გაქვს შემოსავალი?
**დიდგვაროვანი**
სამი მილიონი რიკსდალერი.
**მამა იუბიუ**
სიკვდილით დასჯა!

*კაუჭით წევს და ხვრელში აგდებს.*

**დედა იუბიუ**
რა სიმხეცეა!
**მამა იუბიუ**
შემდეგი დიდგვაროვანი! ვინ ხარ? (დიდგვაროვანი არ პასუხობს) მიპასუხე, სალახანავ!
**დიდგვაროვანი**
პოზნანის დიდი ჰერცოგი.
**მამა იუბიუ**
ჩინებულია, ჩინებული! შეკითხვები საჭირო აღარ არის. ტრაპში! მესამე! რა სიფათი გაქვს! ვინ ხარ?
**დიდგვაროვანი**
კურლანდიის, რიგის, რეველისა და მიტავის ჰერცოგი.
**მამა იუბიუ**
ძალიან კარგი! ძალიან კარგი! სხვა რა გაგაჩნია?
**დიდგვაროვანი**
სხვა არაფერი.
**მამა იუბიუ**
მაშინ, ტრაპში! მეოთხე დიდგვაროვანი! ვინ ხარ?
**დიდგვაროვანი**
პოდოლიის მთავარი.
**მამა იუბიუ**
რა შემოსავალი გაქვს?
**დიდგვაროვანი**
გავკოტრდი.
**მამა იუბიუ**
ამ ცუდი პასუხისთვის, ნადი ტრაპში! მეხუთე დიდგვაროვანი! ვინ ხარ?
**დიდგვაროვანი**
ტორუნის მარკგრაფი, პოლოცკის პფალცგრაფი.
**მამა იუბიუ**
არც ისე მსუყეა. სხვა რა გაგაჩნია?
**დიდგვაროვანი**
ესეც მყოფნიდა.
**მამა იუბიუ**
კარგი, კარგი! არაფერს ჯობია! ტრაპში! რას ჯაჯღანებ, დედა იუბიუ?
**დედა იუბიუ**
ძალიან სასტიკი ხარ, მამა იუბიუ!
**მამა იუბიუ**
ე! ვმდიდრდები! ახლა ჩ ე მ ი ქონების ჩამონათვალს წავაკითხვინებ! აბა, მემატიანევ, წამიკითხეთ ჩ ე მ ი ქონების ჩამონათვალი!
**მემატიანე**
სანდომირის საგრაფო...
**მამა იუბიუ**
სამთავროებით დაიწყე, რეგვენო!
**მემატიანე**
პოდოლიის სამთავრო, პოზნანის დიდი საჰერცოგო, კურლანდიის საჰერცოგო, სანდომირის საგრაფო, ვიტებსკის საგრაფო, პოლოცკის საპფალცგრაფო, ტორუნის სამარკგრაფო.
**მამა იუბიუ**
შემდეგ?
**მემატიანე**
სულ ესაა.
**მამა იუბიუ**
როგორ თუ სულ ესაა! თუ ასეა, მაშინ დიდგვაროვნები წინ გამოდით! ვინაიდან გამდიდრებას ვერ შევწყვეტ, ყველა დიდგვაროვანს სიკვდილით დასჯა! ამგვარად, ყველა ვაკანტური ქონება ჩემი გახდება! აბა, დიდგვაროვნები - ტრაპში! (ტრაპს დიდგვაროვნებით ავსებენ) უფრო სწრაფად! კანონები მაქვს შესამუშავებელი.
**რამდენიმე**
გისმენთ!
**მამა იუბიუ**
მართლმსაჯულების რეფორმით ვიწყებ. შემდეგ კი გადასახადებს მივხედავ.
**რამდენიმე მსაჯული**
ჩვენ ყოველგვარ ცვლილებას ვუპირისპირდებით!
**მამა იუბიუ**
ძნეხვი! პირველი: მსაჯულებს ხელფასი გაუუქმდებათ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

**მსაჯულები**
და, როგორ ვიცხოვროთ? ჩვენ ხომ ლატაკები ვართ!
**მამა იუბიუ**
თქვენ მიერ გამოწერილი ჯარიმები და სიკვდილმისჯილთა ქონების ნაწილიც გეყოფათ!
**ერთ-ერთი მსაჯული**
რა საშინელებაა!
**მეორე მსაჯული**
სისაძაგლე!
**მესამე მსაჯული**
სკანდალი!
**მეოთხე მსაჯული**
უსინდისობა!
**ყველა**
უარს ვაცხადებთ ასეთ პირობებში მოსამართლეობაზე!
**მამა იუბიუ**
ტრაპში - მსაჯულები!

*მსაჯულები წინააღმდეგობის გაწევას ამაოდ ცდილობენ.*

**დედა იუბიუ**
ე! რა შვრები, მამა იუბიუ? მსჯავრებს ვინღა გამოიტანს?
**მამა იუბიუ**
როგორ თუ ვინღა? მე გამოვიტან! ნახავ, რა კარგად გამოვა.
**დედა იუბიუ**
კი, წარმომიდგენია!
**მამა იუბიუ**
მოკეტე, დედალ-კაცო! ახლა კი, ბატონებო, გადასახადებზე გადავიდეთ.
**ფინანსისტები**
აქ არაფერია შესაცვლელი.
**მამა იუბიუ**
როგორ თუ არაფერი! ყველაფერი უნდა შევცვალო! პირველი: გადასახადების ნახევარი ჩემი იქნება.
**ფინანსისტები**
არც კი რცხვენია!
**მამა იუბიუ**
შემდეგ: საკუთრებაზე ათპროცენტიან გადასახადს დავაწესებთ. იგივე - ვაჭრობასა და მრეწველობაზე. ხოლო ქორწინებასა და სიკვდილზე - თხუთმეტ-თხუთმეტ ფრანკს.
**პირველი ფინანსისტი**
ეს ხომ სისულელეა, მამა იუბიუ!
**მეორე ფინანსისტი**
აბსურდი!
**მესამე ფინანსისტი**
სრული ფინონსენსი!
**მამა იუბიუ**
ვის დასცინით! ტრაპში - ფინანსისტები!

*ფინანსისტებს ტრაპში ახვავებენ.*

**დედა იუბიუ**
სულ გაგიჟდი, მამა იუბიუ? რანაირი მეფე ხარ, ყველა ამოხოცე!
**მამა იუბიუ**
ძნეხვი-მეთქი!
**დედა იუბიუ**
აღარც სასამართლო, აღარც ფინანსები...
**მამა იუბიუ**
ნუ გეშინია, ჩემო ანგელოზო, თავად ვივლი სოფელ-სოფელ გადასახადების ასაკრეფად.

## *სცენა III*

***გლეხის სახლი ვარშავის შემოგარენში.***
***შეკრებილია მრავალი გლეხი.***

**ერთ-ერთი გლეხი** (შემოდის)
დიდი სიახლეებია! მეფე მკვდარია! ჰერცოგებიც! მხოლოდ ნორჩი ხულიგაჲი გადაიხვეწა მთებში, დედამისთან ერთად. ხოლო სამეფო ტახტი მამა იუბიუმ დაისაკუთრა!
**მეორე გლეხი**
სხვა სიახლეებიცაა! ეს-ეს არის, კრაკოვიდან დავბრუნდი, სადაც ვნახე, როგორ გაჰქონდათ სამასი ათასზე მეტი დიდგვაროვნისა და ხუთასი ათასი მსაჯულის გვამი! ამბობენ, გადასახადები გაორმაგდებაო და მამა იუბიუ მათ თავად აკრეფსო!
**ყველა**
ღმერთო მაღალო! რა გვეშველება! საზარელი ღორია ეს მამა იუბიუ! და მთელი მისი ოჯახი, როგორც ამბობენ - ამაზრზენი!
**ერთ-ერთი გლეხი**
მოიცათ, გესმით? მგონი, კარზე აკაკუნებენ!
**ხმა** *(კარედან)*
სტომარქამ! გააღეთ, ჩემმა ძნეხვმა! წმინდა იოანეს, წმინდა პეტრესა და წმინდა ნიკოლოზის სახელმა! გააღეთ, ფინანსაბარკალმა! გააღეთ, ფინანსირმა! გადასახადების ასაკრეფად მოვედი!

*კარი შემოინგრევა. შემოვარდება მამა იუბიუ, ფინანსირების პოლკთან ერთად.*

## *სცენა IV*

**მამა იუბიუ**
ვინ არის თქვენგან ყველაზე ასაკოვანი? *(ერთი გლეხი წინ გამოდის)* რა გქვია?
**გლეხი**
სტანისლავ ლეშჩინსკი.
**მამა იუბიუ**
ჰოდა, სტომარქამ, კარგად მომისმინე, თორემ ეს ბატონები ყ-ვ-ურებს დაგაჭრიან! მომიამენ, ბოლოს და ბოლოს?
**სტანისლავი**
ჰო, მაგრამ, თქვენო აღმატებულებავ, ჯერ არაფერი გითქვამთ.
**მამა იუბიუ**
როგორ! მთელი საათია, ვლაპარაკობ! გგონია, აქ უდაბნოში სალაღადებლად მოვედი?!
**სტანისლავი**
ჩემგან შორს მსგავსი ფიქრი!
**მამა იუბიუ**
მაშასადამე, მე მოვედი, რომ გითხრა, გიბრძანო და დაგავალო, დაუყოვნებლივ შეაგროვო და წარმოადგინო ყველა გადასახადი! წინააღმდეგ შემთხვევაში, განადგურდები! აბა, ბატონო ფინანაირებო, მოაგორეთ ხაზინმზიდი!

*მოაგორებენ ხაზინმზიდს.*

**სტანისლავი**
თქვენო უიუბიუესობავ, ჩვენს ანგარიშზე მხოლოდ ას ორმოცდათორმეტი რიკსდალერია და ისიც უკვე გადავიხადეთ, მალე ექვსი კვირა გახდება, წმინდა მათეს დღესასწაულზე.
**მამა იუბიუ**
სავსებით შესაძლებელია, თუმცა მე მთავრობა გამოვცვალე და რეესტრშიც ჩავაწერინე, რომ ყველა ძვე-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლი გადასახადი გაორმაგდა, ხოლო მომავალი გასამმაგდა. ამ სისტემით, უცებ გავმდიდრდები, მერე ყველას მოვკლავ და სხვაგან წავალ.

**გლეხი**

ღვთის გულისთვის, ბატონო იუბიუ, შეგვიწყალეთ! საბრალო ქვეშევრდომები ვართ!

**მამა იუბიუ**

არ მაინტერესებს! გადაიხადეთ!

**გლეხი**

არ შეგვიძლია, უკვე გადავიხადეთ!

**მამა იუბიუ**

გადაიხადეთ! თორემ არ აგცდებათ ჩაჯიბვა და კისრისაგან თავის წარკვეთა! სტომარქამ, მეფე ვარ თუ რა ვარ!

**ყველა**

აჰ! მაშ ეგრე, არა?! შევიარაღდეთ! დიდება ხულიგავს, პოლონეთისა და ლიეტუვის ღვთით კურთხეულ მეფეს!

**მამა იუბიუ**

წინ, ბატონო ფინანსირებო! აღასრულეთ თქვენი მოვალეობა!

*ჩაღდება ბრძოლა. სახლი ინგრევა. ბებერი სტანისლავი გარბის მარტო, მინდვრების გასწვრივ. მამა იუბიუ ფულს კრეფს.*

## სცენა V

***ტორუნის ციხესიმაგრის ბუნკერი.***
***მიჯაჭვული[1]***

*ასისთავი არშია, მამა იუბიუ.*

**მამა იუბიუ**

აი, მოქალაქევ, როგორაა საქმე: შენ გინდოდა, რომ მე შენთვის გადამეხადა, რაც მმართებდა. მე კი არ მინდოდა! ამიტომ შეთქმულება მოვიწყვე და აჰა, შენც - გალიაში გამომწყვდეული! ახია შენზე, ფინანსირმა! ყველაფერი ისე მაგრად გამომივიდა, რომ შენც კი განცვიფრებული ხარ!

**ასისთავი არშია**

ფრთხილად, მამა იუბიუ! ხუთი დღეა, რაც მეფე ხართ და უკვე იმდენი მკვლელობა ჩაიდინეთ, სამოთხის ყველა წმინდანის ლოცვა ვერ გიშველით! მეფისა და დიდგვაროვნების სისხლი შურისძიებას ითხოვს და ეს აღსრულდება!

**მამა იუბიუ**

ო, ჩემო ტკბილო მეგობარო, რა ენაკვიმატი ხართ! ეჭვიც არ მეპარება, რომ თუ აქედან გაიქცევით, საქმე ოდნავ გამირთულდება, მაგრამ რაღაც არ მახსენდება, რომ ტორუნის ბუნკერიდან ოდესმე თუნდაც ერთი პატიოსანი ყმაწვილი გაქცეულიყოს! ამიტომაც მშვიდ ღამეს და ტკბილ სირ-მებს გისურვებთ, მიუხედავად იმისა, რომ აქ ვირთხები ღამღამობით კარგ სარაბანდას მოსცხებენ ხოლმე!

*გადის. მსახურები ყველა კარს რაზავენ.*

## სცენა VI

***მოსკოვის სასახლე.***
***ცარი ალექსი, მისი კარისკაცები, არშია.***

***ცარი ალექსი***

ეს შენ ხარ ის თავზეხელაღებული ავაზაკი, რომელსაც ჩემი ნათესავის, ვენცელის მკვლელობაში მიუძღვის წვლილი?

**არშია**

შემიწყალეთ, ხელმწიფევ! ამ საქმეში, ჩემდა უნებურად, მამა იუბიუმ გამრია!

**ალექსი**

ოჰ! ამაზრზენო მატყუარავ! და მაინც, რის სათხოვნელად მოხვედი?

**არშია**

მამა იუბიუმ შეთქმულების საბაბით დამაპატიმრა, გაქცევა მოვახერხე და ხუთი დღე და ღამე ვაჭენე სტეპებზე ცხენი, რომ თქვენთვის მოწყალება მეთხოვა!

**ალექსი**

და რას მთავაზობ შენი მორჩილების გარანტად?

**არშია**

მამაცი მეომრის ხმალს და ქალაქ ტორუნის დეტალურ რუკას.

**ალექსი**

ხმალს ავიღებ, მაგრამ რუკა დაწვით, წმინდა გიორგის სახელმა! არ მსურს ღალატის ფასად გამარჯვება!

**არშია**

ვენცელის ერთ-ერთი ვაჟი, ნორჩი ხულიგავი ჯერაც ცოცხალია. ყველაფერს გავაკეთებ, რომ ტახტზე დავაბრუნო!

**ალექსი**

და რა რანგი გეკავა პოლონეთის ჯარში?

**არშია**

ვილნას[2] დრაგუნთა მეხუთე პოლკს და მამა იუბიუს საგანგებო პირად დაჯგუფებას ვმეთაურობდი.

**ალექსი**

კარგია! მე შენ გნიშნავ კაზაკთა მეათე პოლკის უმცროს ლეიტენანტად. თუ ღალატს გაბედავ, მწარედ დაისჯები. თუ მამაცურად იბრძოლებ, გასამრჯელოს მიიღებ.

**არშია**

თუ რამე არ მაკლია, სიმამაცეა, ჩემო ხელმწიფევ!

**ალექსი**

კარგი! ახლა კი გაუჩინარდი!

*არშია გადის.*

## სცენა VII

***იუბიუს საბჭოს დარბაზი.***
***მამა იუბიუ, დედა იუბიუ, ფინანსური მრჩევლები.***

**მამა იუბიუ**

ბატონებო, სხდომას გახსნილად ვაცხადებ. ყურადღებით მისმინეთ და სიმშვიდე შეინარჩუნეთ! თავდაპირველად, განვიხილავთ ფინანსების საკითხს, შემდეგ კი ვილაპარაკებთ სისტემაზე, რომელიც მე მოვიფიქრე კარგი ამინდის მოსაყვანად თუ წვიმის გამოსათხოვად.

**ერთ-ერთი მრჩეველი**

რა კარგია, ბატონო იუბიუ!

**დედა იუბიუ**

რა იდიოტია!

**მამა იუბიუ**

ქალბატონო ძნეხვო-ჩემო, მიფრთხილდით! თქვენს სისულელეებს დიდხანს ვერ ავიტან! ჰოდა, ბატონებო, იმას ვამბობდი, რომ ფინანსების საქმე დამაკმაყოფილებლად მიდის. ქუჩებში, ყოველ დილით, დიდი რაოდენობის მატყლისწინდებიანი ძაღლი დანაწნალებს. ფინანსირები სასწაულებს ახდენენ! ყველგან მხოლოდ გადამწვარი სახლები და ჩვენი ხაზინმზიდით გასრესილი ხალხი მოჩანს!

---

1. მინიშნება ესქილეს „მიჯაჭვულ პრომეთეზე".
2. მაშინდელი ლიეტუვის დედაქალაქი, დღევანდელი ვილნიუსი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**მრჩეველი**
და ახალი გადასახადების საქმე როგორ მიდის, ბატონო იუბიუ?

**დედა იუბიუ**
ძალიან ცუდად! ქორწინების გადასახადმა დღემდე მხოლოდ თერთმეტი სუ შემოიტანა. თანაც მამა იუბიუ ხალხს დასდევს და დაქორწინებას აძალებს.

**მამა იუბიუ**
ფინანსსაბარკალმა, ჩემმა სტომარქამ, ქალბატონო ფინანსისტო, მე ყ-ვ-ურები იმისთვის მაქვს, რომ ვილაპარაკო, თქვენ კი პირი იმისთვის გაქვთ, რომ უსმინოთ. *(ხარხარებს)* თუ - პირიქით! თქვენ გამო, შეცდომებს ვუშვებ და ბრიყვი გამოვდივარ! ეაჰ, სირიუბიუ! *(შემოდის შიკრიკი)* ოჰ, ამას რაღა უნდა? გაეთრიე, მაიმუნო, თორემ ჩაგიჯიბე თავკვეთით და ფეხმოგრეხით!

**დედა იუბიუ**
წავიდა! თუმცა წერილი დატოვა.

**მამა იუბიუ**
წამიკითხე! მგონი, ვჩლუნგდები ან უბრალოდ კითხვა არ ვიცი! სწრაფად, დედალ-კაცო, არშიას წერილი უნდა იყოს.

**დედა იუბიუ**
დიახ! ამბობს, რომ ცარმა კარგად მიიღო და რომ აპირებს შენი ტერიტორიების დაპყრობას, ტახტზე ხულიგავის დაბრუნებას და შენს მოკვლას!

**მამა იუბიუ**
ვაი! ვაი! მეშინია! მეშინია! ვაი, მოვკვდები! ო, ჩემო საბრალო თავო! ღმერთო მაღალო, რა მეშველება! მომკლავს ის ბოროტი! წმინდა ანტონო და ყველა წმინდანო, დამიფარეთ! და ფულს მოგცემთ და სანთლებს დაგინთებთ! რა მეშველება, მამაზეციერო!

*ტირის და ქვითინებს.*

**დედა იუბიუ**
გამოსავალი მხოლოდ ერთია, მამა იუბიუ.

**მამა იუბიუ**
რა, ჩემო სიყვარულო?

**დედა იუბიუ**
ომი!!

**ყველა**
დიდება უფალს! აი, გვესმის ღირსეული საქციელი!

**მამა იუბიუ**
ჰო... და ისევ მომხვდება!

**პირველი მრჩეველი**
სწრაფად, სწრაფად, ჯარი შევკრიბოთ!

**მეორე მრჩეველი**
და საკვები მოვიმარაგოთ!

**მესამე მრჩეველი**
და ქვემეხები და სიმაგრეები გავამზადოთ!

**მეოთხე მრჩეველი**
და მეომრებისთვის ფული გამოვყოთ!

**მამა იუბიუ**
აპ-აპ! კიდევ რა გნებავს?! მოგკლავ! არავითარი ფული! ადრე, ომში ფულს მიხდიდნენ, ახლა კი გინდათ, ჩემი ხარჯით ვიომო?! არა, ჩემმა მწვანე ვარყალმა! ვიომოთ, რადგან ასე ხართ გაafთრებული, ოღონდ - გროშის დაუხარჯავად!

**ყველა**
ვაშა ომს!

## *სცენა VIII*

***სამხედრო ბანაკი ვარშავის მისადგომებთან.***

**ჯარისკაცები და თახსარები**
დიდება პოლონეთს! დიდება მამა იუბიუს!

**მამა იუბიუ**
ჰე, დედა იუბიუ, მომაწოდე ჩემი აბჯარი და ხის ნაფოტი! უჰ, რა მძიმეა! მტერი რომ დამედევნოს, გაქცევას ვერ შევძლებ.

**დედა იუბიუ**
ფუჰ, ლაჩარი!

**მამა იუბიუ**
ვაი! ძნეხვანჯალი ბრძოლის ველიდან გარბის!! მაყუთქვლეფია ველზე ეცემა!!! უჰ, ველარ მოვრჩი ამ ალჭურვილობის ჩაცმას, რუსები კი გვიახლოვდებიან! მომკლავენ!

**ერთ-ერთი ჯარისკაცი**
ყურლესულიც დაეცა, თქვენო უიუბიუესობავ!

**მამა იუბიუ**
ყველას დავხოცავ ამ ჩემი ძნეხვაჯახითა და სიფათილიყამყამით!!

**დედა იუბიუ**
პირდაპირ დახატა ამ მუზარადმა და აბჯარმა! ნამდვილი ბრონირებული გოგრა!

**მამა იუბიუ**
ჰე! ახლა ცხენზე შევჯდები! მაყუთულაყი მომიყვანეთ, ბატონებო!

**დედა იუბიუ**
მაყუთულაყი ველარ გაგიძლებს, მამა იუბიუ. ხუთი დღეა, არაფერი უჭამია და სიკვდილის პირზეა.

**მამა იუბიუ**
კარგი ხუმრობაა! დღეში 12 სუს ვიხდი ამ მძორსინანტისთვის და ჩემი ტარებაც კი არ შეუძლია! დამცინით, იუბიუფალმა, თუ ფულს მპარავთ? *(დედა იუბიუს შერცხვება და თავს დახრის)* მაშინ სხვა ცხოველი მომიყვანეთ! ფეხით ხომ არ წავალ, ჩემმა სტომარქამ!

*მოჰყავთ ვეებერთელა ცხენი.*

**მამა იუბიუ**
აბა, შევჯდე! აჰ, გაჩერდი, თორემ ჩამოვვარდები! *(ცხენი მიდის)* აჰ, გააჩერეთ ეს ცხოველი! მამაზეციერო, ჩამოვვარდები და მოვკვდები!!!

**დედა იუბიუ**
მართლა რა რეგვენია! ოჰ, მგონი გააჭენა... აჰ, ჩამოვარდა!

**მამა იუბიუ**
ფიზიკლანჭმა! ნახევრად მკვდარი ვარ! მაგრამ სულ ერთია, ომში მაინც მივდივარ და ყველას ამოვხოცავ! მიფრთხილდეს, ვინც ნაბორძიკდება! ყველას ჩავიჯიბავ ცხვირმოგრეხით, ყბამომტვრევითა და ენამოგლეჯით!

**დედა იუბიუ**
აბა, შენ იცი, მამა იუბიუ!

**მამა იუბიუ**
კინაღამ დამავიწყდა - დროებით გაბარებ სახელმწიფოს მმართველობას! თუმცა სახაზინო წიგნი თან მიმაქვს. ერთი გაბედე და რამე მომპარე! დამხმარედ ჯოხილ თახსარს გიტოვებ. მშვიდობით, დედა იუბიუ!

**დედა იუბიუ**
მშვიდობით, მამა იუბიუ. ცარს სული გააფრთხობინე!

**მამა იუბიუ**
უეჭველად! ცხვირმოგრეხით, ყბამომტვრევით, ენამოგლეჯითა და ხის ნაფოტის ყ-ვ-ურებში ჩაჩურთვით!

*ჯარი მიდის სახუმარო ორკესტრის ხმაზე.*

**დედა იუბიუ** (მარტო)
რახან ეს გათქვირებული ტაკიმასხარა წავიდა, საქმეს მივხედოთ. მოვკლათ ხულიგავი და განძეული ხელში ჩავიგდოთ!

**მესამე მოქმედების დასასრული**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მოქმედება IV

### სცენა I

***პოლონეთის მეფეთა საძვალე ვარშავის საკათედრო ტაძარში.***

**დედა იუბიუ**
კი მაგრამ, სად არის განძეული? ფუყე ხმას არცერთი ქვის ფილა არ გამოსცემს. არადა კარგად გადავთვალე ცამეტი ფილა კედლის გასწვრივ ვლადისლავ დიდის საფლავიდან, მაგრამ ვერაფერს ვპოულობ. ნუთუ მომატყუეს? აჰ! ეს ფილა ფუყე ხმას გამოსცემს! აბა, საქმეს მიხედე, დედა იუბიუ. ავხადოთ! არც კი იძვრის! მოდი, მაყუთქელეფიას ამ ნაგლეჯით ვცადოთ, მგონი კიდევ გამოდგება ამ საქმისთვის. აჰა! აი, ოქრიოულობაც, მეფეთა ძვლებს შორის! აბა, ჩქარა, ყველაფერი ტომარაში! აჰ, რა ხმაურია? ნუთუ კიდევ ვინმე დარჩა ცოცხალი ამ ძველ საცავებში? არა, არაფერია, ვიჩქაროთ. ყველაფერი ავიღოთ. ეს სიმდიდრე დღის სინათლეზე უფრო გამოდგება, ვიდრე ძველ მეფეთა საფლავებში. ფილა ისევ დავახუროთ. რა ხდება? ისევ ის ხმაურია! შიშის ზარს მცემს აქაურობა! დანარჩენ ოქროს სხვა დროს ავიღებ, ხვალ დავბრუნდები.

**ხმა** *(იან განსვენებულსკის საფლავიდან)*
არასოდეს, დედა იუბიუ!

*დედა იუბიუ თავზარდაცემული გარბის საიდუმლო გასასვლელიდან და თან მოპარული ოქრო მიაქვს.*

### სცენა II

***ვარშავის მთავარი მოედანი.***
***ხულიგავი და მისი ამალა, ხალხი და ჯარისკაცები, მცველები, დედა იუბიუ, ჯოხილ თახსარი.***

**ხულიგავი**
წინ, მეგობრებო! დიდება ვენცელს და პოლონეთს! ბებერი თაღლითი იუბიუ აქ არ არის. მხოლოდ ის კუდიანი დედა იუბიუ და მისი თახსარი დარჩნენ. მე წინ გაგიძღვებით რომ ჩემი წინაპრების დინასტია აღვადგინოთ!
**ყველა**
დიდება ხულიგავს!
**ხულიგავი**
გავაუქმებ საზარელ იუბიუს მიერ დაწესებულ ყველა გადასახადს.
**ყველა**
ვაშა! წინ! ჩქარა სასახლისკენ! მათი სინსილა გავწყვიტოთ!
**ხულიგავი**
აჰა, დედა იუბიუც! ვერანდაზე გამოვიდა, მცველებთან ერთად!
**დედა იუბიუ**
რა გნებავთ, ბატონებო? ოჰ! ხულიგავი!

*ბრბო ქვებს ისვრის.*

**პირველი მცველი**
გისოსები დაამტვრიეს!
**მეორე მცველი**
წმინდაო გიორგი! გამაგორეს!
**მესამე მცველი**
დასწყევლოს! ვკვდები!
**ხულიგავი**
ქვები დაუშინეთ, მეგობრებო!

**ჯოხილ თახსარი**
აჰ! მაშ ასე, არა!

*ხმალს იშიშვლებს, ბრბოში შევარდება და ირგვლივ ყველას საზარლად აკუწავს.*

**ხულიგავი**
აბა ერთი-ერთზე მოდი! მხდალო ბაღლინჯო!

*იბრძვიან.*

**ჯოხილი**
მოვკვდი!
**ხულიგავი**
გაიმარჯვეთ, მეგობრებო! ჰკა დედა იუბიუს!

*ისმის საყვირების ხმა.*

**ხულიგავი**
აჰა! დიდგვაროვნებიც მოდიან! ჩქარა, დაიჭირეთ ეს ავსული ბებერი!
**ყველა**
და მერე იმ ავაზაკსაც მივახრჩობთ!

*დედა იუბიუ გარბის, პოლონელები მისდევენ.*
*სროლის ხმები, ქვების სეტყვა.*

### სცენა III

***პოლონეთის არმია მარშით უკრაინაში.***

**მამა იუბიუ**
ლაჟვარქამ, მეუფეხმა, ძროხის თავმა! ვილუპებით, წყურვილით ვკვდებით, არაქათი გამოგვეცალა! კეთილო ჯარისკაცო, გამოიჩინეთ მადლიერება და ატარეთ ჩვენი მაყუთჩაფხუტი! თქვენ კი, პატიოსანო შუბოსანო, ძნეხვამჭრელი და ფიზიკომბალი ნამოიღეთ, რათა ჩემს პერსონას ტვირთი შეუმსუბუქოთ, რადგან, ვიმეორებ, ჩემი პერსონა დაიღალა!

*ჯარისკაცები ემორჩილებიან.*

**სვეტისი**
ჰე! ბატ-ბატონებო! საკვირველია, რუსები რატომ არ ჩანან!
**მამა იუბიუ**
დასანანია, რომ ჩვენი ფინანსური მდგომარეობა არ გვაძლევს საშუალებას, ჩვენი მასშტაბების შესაფერისი ეტლი გვყავდეს. კარკასის გატეხვის შიშით, მთელი გზა ფეხით ვიარეთ და ცხენი ალვირით ვათრიეთ. მაგრამ როცა პოლონეთში დავბრუნდებით, ჩვენი ფიზიკირკიტების დახმარებითა და მრჩეველთა განათლების წყალობით, გამოვიგონებთ ქარის ვაგონს მთელი ჯარის გადასაყვანად!
**ძელარი**
ნიკოლა რენელი მოიჩქარის ჩვენკენ!
**მამა იუბიუ**
ნეტა, რა უნდა ამ ყმაწვილს?
**რენელი**
ყველაფერი დავკარგეთ, თქვენო უიუბიუესობავ! პოლონელები აჯანყდნენ, ჯოხილი მოკლულია, დედა იუბიუ კი მთებში გადაიხვეწა!
**მამა იუბიუ**
ო, მწუხრის ჩიტო, მწუხარების შავბნელო მხეცო, გამაშებიანო ჭოტო! საიდან მოგაქვს ეს აბდაუბდა! ვინ ჩაიდინა ეს ყველაფერი? ხულიგავმა, არა? საიდან მოსულხარ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

**რენელი**
ვარშავიდან, თქვენო იუბიუკეთილშობილესობავ!
**მამა იუბიუ**
ძნძღვაჟკაცო, შენ რომ დაგიჯერო, მთელი ჯარი უკან უნდა მოვაბრუნო. მაგრამ მხრებზე უფრო მეტი ბუმბული გაბია, ვიდრე თავში ტვინი გიყრია, ლანირეგვენო! დაგესიზმრა ეს ბოდვა? ფრონტის წინა ხაზზე წადი, ბიჭიაყელავ! რუსები შორს აღარ არიან, და იარაღების გამოცდა მოგვეიწევს, როგორც ძნძღვანჯღლების, ასევე ხაზინამგლეჯებისა და ფიზიკომბლების!
**გენერალი ლასი**
შეხედეთ, მამა იუბიუ, დაბლობზე რუსები გამოჩნდნენ!
**მამა იუბიუ**
კი, რუსები არიან! ვირთხასავით მოგვიმწყვდიეს! გაქცევა მაინც შეიძლებოდეს! მაგრამ როგორ! ამ მაღლობზე სულ სამიზნეში ვეყოლებით!
**ჯარი**
რუსები! მტრები!
**მამა იუბიუ**
აბა, ბატონებო, საბრძოლო პოზიციებზე! ამ სერზე დავრჩეთ და არაფრის ფასად ძირს არ დავეშვათ. მე თქვენ შუაში ჩავდგები, როგორც ცოცხალი ციხესიმაგრე, თქვენ კი ჩემ ირგვლივ იტრიალებთ. იარაღები ბოლომდე დატენეთ, იმდენი ტყვიით, რამდენიც ჩაეტევა. რვა ტყვია - ეს რვა მოკლული რუსია, რომლებიც აღარ შემაწუხებენ! სერის ძირში ქვეითები უნდა განლაგდნენ, რათა რუსებს დაუხვდნენ და ცოტა შეათხელონ. ქვეითებს ცხენოსნები მიჰყვებიან, რომ ამ ქაოსში გადაეშვან. ამ ქარის წისქვილის[3] ირგვლივ კი არტილერია დავაყენოთ, რომ ამ ღომხალს აქედან დასცხოს! ამ დროს, მე ქარის წისქვილში ჩავიკეტები და ფანჯრიდან თოფინანსს დავუშენ. კარს ფიზიკომბლით გადავრაზავ და ვინც ცხვირის შემოყოფას ეცდება, ეს ძნძღვაჯახი მოხვდება!!!
**ოფიცრები**
არის, თქვენო უიუბიუესობავ! თქვენი ბრძანება შესრულდება!
**მამა იუბიუ**
ძალიან კარგი! ჩვენ გავიმარჯვებთ! რომელი საათია?
**გენერალი ლასი**
დილის თერთმეტი.
**მამა იუბიუ**
მაშ, ვისადილოთ, რადგან რუსები შუადღემდე არ შემოგვიტევენ. ჯარისკაცებს უთხარით, გენერალო, მოიაქმონ და ფინანსიმღერა დააგუგუნონ!

*ლასი გადის.*

**ჯარისკაცები და თახსარები**
ვაშა მამა იუბიუს, ჩვენს დიდ ფინანსირს! პამ-პამ-პამ, პამ-პამ-პამ, პამ-პამ-პიმ-პიმ-პამ!
**მამა იუბიუ**
ო, ჩემი მამაცებო! მე მათ ვაღმერთებ![4] *(ამ დროს, რუსული ჭურვი ეცემა წისქვილის ფრთას და ამსხვრევს)*ვაი! მეშინია, ბატონო ღმერთო, მოვკვდი! არადა... ხაკანრიც არ მაქვს!

## სცენა IV[5]

*იგივენი, ერთ-ერთი კაპიტანი და შემდეგ რუსეთის ჯარი.*

**ერთ-ერთი კაპიტანი** (შემოდის)
რუსები გვიტევენ, თქვენო უიუბიუესობავ!
**მამა იუბიუ**
და მერე, მე რა ვქნა?! მე კი არ მითქვამს მათთვის, რომ შემოეტიათ. თუმცა, ბატონო ფინანსირებო, ბრძოლისთვის მოემზადეთ!
**გენერალი ლასი**
კიდევ ერთი ჭურვი!
**მამა იუბიუ**
აჰ! მეტს ველარ გავუძლებ! ტყვიის და რკინის წვიმა მოდის! ვშიშობ, ჩემი ძვირფასი პერსონა დაზიანდება! ქვევით ჩავიდეთ!

*ყველა ქვევით ჩარბის. ბრძოლა ჩაღდება. კვამლის ტალღებში უჩინარდებიან.*

**ერთ-ერთი რუსი** *(თავს ესხმის მოწინააღმდეგეს)*
ღმერთისთვის და ცარისთვის!
**რენელი**
აჰ! მოვკვდი!
**მამა იუბიუ**
წინ! ჰეი, შენ, ბატონო, აბა აქ მოდი, ღვინის ტიკჭორავ! ძალიან მატკინე მაგ შენი შამხანით, ტყვიები რომ გასჭედვია!
**რუსი**
აბა, ეს ნახეთ!

*რევოლვერიდან ერთ ტყვიას დაახლის.*

**მამა იუბიუ**
ვაი! უი! დამჭრეს, გამხვრიტეს, გამბურღეს, მაზიარეს, დამასაფლავეს![6] და მაინც... ოჰო, ჩემ ხელშია! *(შუაზე გაგლეჯს)* ესეც - შენ! აბა, ახლაც გაბედე!
**გენერალი ლასი**
წინ! მტერი შევავიწროოთ! თხრილი გადავლახოთ! გამარჯვება ჩვენია!
**მამა იუბიუ**
მართლა? მე კი, ჯერჯერობით, შუბლზე კოპი უფრო მეტი მაქვს, ვიდრე დაფნა.
**რუსი მხედრები**
„ურა"! გზა მიეცით ცარს!

*მოდის ცარი, მოჰყვება გადაცმული არშია.*

**ერთ-ერთი პოლონელი**
ო, ბატონო, თავს უშველეთ! ცარი გამოჩნდა!
**მეორე პოლონელი**
ო, მამაზეციერო! თხრილი გადმოლახა!
**მესამე პოლონელი**
ბაჰ! ბუჰ! ნახეთ ეს ახმახი ლეიტენანტი, ერთბაშად ოთხი გააგორა!
**არშია**
აჰ! თქვენ საკმარისად არ მიგიღიათ? ესეც შენ, იან სობიესკი, შენი წილი! *(კლავს)* ახლა სხვებს მივხედავ!

*დახოცილი პოლონელების გროვას აყენებს.*

**მამა იუბიუ**
შეტევაზე, მეგობრებო! დაიჭირეთ ეს არამზადა! მიახილფაფეთ ეს მოსკოველები! ჩვენ გავიმარჯვებთ! ვაშა

---

3. გროტესკულად მიანიშნებს სახელოვან წისქვილზე ვალმის ბრძოლიდან (1792), რომელიც პრუსიაზე საფრანგეთის გამარჯვების სიმბოლოდ იქცა.
4. გოგოლის „ტარას ბულბას" ეპიზოდის, პოლონელების და რუსების ბრძოლის პაროდია.
5. ვილჰელმ I-ის მიერ სედანის ალყის დროს (1870) წარმოთქმული ისტორიული სიტყვის პაროდია.
6. არპაგონის რეპლიკის პაროდია მოლიერის „ძუნწიდან".

ეროვნული ბიბლიოთეკა

თეთრ არწივს!

**ყველა**

წინ! ვაშა! მეუფეხმა! დაიჭირეთ ეს ახმახი!

**არშია**

წმინდაო გიორგი, დაეეცი!

**მამა იუბიუ** *(იცნობს)*

ოჰ, ეს შენ ხარ, არშია, შეგობარო! როგორ გაგვახარე! ნელ ცეცხლზე შეგწვავთ! ჰე, ფინანსირებო, დაანთეთ ცეცხლი. ვაი! უი! მოვკვდი! ქვემეხიდან მესროლეს! ო, ღმერთო ჩემო, მომიტევე ყველა ცოდვა! კი, ნამდვილად ჭურვი მომხვდა!

**არშია**

ეს მხოლოდ დამბაჩა იყო, ფხვნილით დატენილი.

**მამა იუბიუ**

აჰ, ისევ დამცინი? ჩაგიჯიბავ!

*ეძგერება და შუაზე გაგლეჯს.*

**გენერალი ლასი**

მამა იუბიუ, ყველა ფლანგზე წინ მივიწევთ!

**მამა იუბიუ**

თავადაც ვხედავ! მეტი აღარ შემიძლია. სულ წიხლები მომხვდა. ცოტა ჩამოვჯდე! აჰ, ბოთლი დავკარგე!

**გენერალი ლასი**

ცარის ბოთლი აიღეთ, მამა იუბიუ.

**მამა იუბიუ**

ჰოდა, ავიღებ! აბა, ძნეხვანჯალო, საქმეს მიხედე! და შენც, მაყუთქვლეფია, უკან ნუ რჩები! ფიზიკომბალო, გულუხვად დასცხე და გაანადგურე, გამოშიგნე და გააცამტვერე მოსკოვის იმპერია! შენც შეტევაზე, ბატონო მაყუთულაყო!

*ცარს ეძგერება.*

**რუსი ოფიცერი**

ფრთხილად, თქვენო ბრწყინვალებავ!

**მამა იუბიუ**

ესეც - შენ! ოჰ! ვაი! უჰ! ამას დამიხედეთ! უჰ! ბოდიში, ბატონო, თავი დამანებეთ! აჰ! ძალით არ მიქნია!

*გარბის. ცარი მისდევს.*

**მამა იუბიუ**

ქალწულო მარიამ, მომდევს ეს ცოფიანი! რა დავაშავე, ღმერთო დიდებულო! უჰ! რა გადალახავს ამ თხრილს ისევ! უჰ! უკან - ცარი, წინ - თხრილი! ყოჩაღად, თვალები დავხუჭოთ!

*იუბიუ თხრილს ახტება. ცარი თხრილში ვარდება.*

**ცარი**

ჩავვარდი, შიგ ვარ!

**პოლონელი**

ვაშა! ცარი ძირს გდია!

**მამა იუბიუ**

აჰ! უკან მოხედვას ვერ ვბედავ! შიგაა! უჰ! ასეც მოგიხდება! აბა, მიდით! დასცხეთ, პოლონელებო, დასცხეთ მთელი ძალით! ზურგი მაგარი აქვს მაგ უბადრუკს! მე არ მინდა ამის დანახვა! ჩვენი წინასწარმეტყველება მთლიანად ახდა. ფიზიკომბალმა სასწაულები მოახდინა. მეც უეჭველად მოვუღებდი ბოლოს, თავს აუხსნელი რისხვა რომ არ დაგვტყდომოდა და ჩვენი შემართება არ აეორთქლებინა. იძულებული გავხდით, მტრისთვის ზურგი გვეჩვენებინა. ჩვენს გადარჩენას ჩვენსავე მხედრულ მოხერხებულობას უნდა ვუმადლოდეთ და ასევე - ჩვენი მაყუთულაყის ღონიერ კანჭებს, რომელთა სიმარდეს ბადალი არ ჰყავს და სიმკვირცხლით ყველას აოცებს. ჩვე… თხრილის სიღრმეც შემოგვეშველა, რომელიც აქ მყოფ… თქვენი ფინანმძღოლის მტრის ქვეშ აღმოჩნდა! ყოველ… ვე ეს ფრიად მშვენიერია, მაგრამ არავინ მისმენს, ეჰ! აბა, ისევ დაიწყო!

*რუსული დრაგუნები შეტევაზე გადადიან და ცარ… ათავისუფლებენ.*

**გენერალი ლასი**

ამჯერად, საქმე წასულია!

**მამა იუბიუ**

აჰ! დროა, ფეხი დავკრათ და აქაურობას გავეცალოთ! ჰოდა, ბატონო პოლონელებო, წინ! უფრო სწორად - უკან!

**პოლონელი**

თავს უშველეთ!

**მამა იუბიუ**

აბა, წავედით! ოჰ, რა ზედახორაა! რა თავქუდგლეჯაა! რა ქაოსია! როგორ გამოვძვრე ამ დომხალიდან? *(მას დაეჯახებიან)* აჰ! ჰეი, შენ! ფრთხილად, თორემ საკუთარ ტყავზე გამოცდი ფინანმძღოლის მდუღარე ძლიერებას! უჰ! გაიქცა! თავს ვუშველოთ და რაც შეიძლება, სწრაფად! სანამ ლასი არ გვიყურებს.

*გადის.*

*ცარი და მისი ჯარი პოლონელებს მისდევენ.*

## *სცენა V*

***გამოქვაბული ლიეტუვაში. თოვს.***

***მამა იუბიუ, სვეტისი, ძელარი.***

**მამა იუბიუ**

აჰ! რა ამინდია, ძაღლი არ გაიგდება! ყინვა ძვალრბილში ატანს! ფინანმძღოლის პერსონა ფრიად დაზიანდა!

**სვეტისი**

უი! ბატ-ბატონო იუბიუ, გამოკეთდით ამ საშინელებისა და გაქცევის შემდეგ?

**მამა იუბიუ**

დიახ! შიშმა გამიარა, მაგრამ გაქცევამ - არა.

**ძელარი** (თავისთვის)

ნამდვილი ღორი!

**მამა იუბიუ**

ჰეი! ბატონო ძელარ, ყ-ვ-ური რას გიშერებათ?

**ძელარი**

იმდენად კარგადაა, ბატ-ბატონო, რამდენადაც შეუძლია, კარგად იყოს, როცა ცუდადაა. შე-შ-აბამისად, ლითონი ყ-ვ-ურს ქვევით ექაჩება, ტყვია კი ვერაფრით ამოვიღე.

**მამა იუბიუ**

აჰა, ასეც მოგიხდება! შენ სულ სხვების გაჩანაგება გინდოდა. მე კი უდიდესი ვაჟკაცობა გამოვავლინე და თავის საფრთხეში ჩაუგდებლად, საკუთარი ხელით ოთხი მოწინააღმდეგე გავანადგურე. აღარ ვითვლი მათ, რომლებიც უკვე მკვდრები იყვნენ და მერე ჩვენ ბოლო მოვუღეთ.

**ძელარი**

სვეტის, ხომ არ იცით, როგორ არის ყმაწვილი რენელი?

**სვეტისი**

ტყვია მოხვდა თავში.

**მამა იუბიუ**

როგორც ულმობელი მცელავის ულმობელი ცელით ყვავილობის ჟამს მოცელილი ყაყაჩო და ბაბუაწვერა, ისე დაეცა ყმაწვილი რენელი! მედგრად იბრძოლა, მაგრამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუსები ძალიან ბევრი იყვნენ!

**სვეტისი და ძელარი**

აჰ! ბატ-ბატონო!

**ექო**

ბრრააჰ!

**სვეტისი**

ეს რა არის? ვიშიშველოთ ჯაყვ-რ-ები!

**მამა იუბიუ**

ო, არა! თავს დავდებ, ისევ რუსები არიან! უკვე ყელში ამოვიდნენ! თანაც ძალიან მარტივია: ხელს დამაკარებენ და ყველას ჩავიჯიბავ!

## *სცენა VI*

***იგივენი. შემოდის დათვი.***

**ძელარი**

აჰ! ბატ-ბატონო ფინანმძლოლო!

**მამა იუბიუ**

ო! ნახეთ ეს პატარა ცუგა! რა საყვარელია!

**სვეტისი**

ფრთხილად! დათვია, უზარმაზარი! ვაი, ჩემი ვაზნები!

**მამა იუბიუ**

დათვი? აჰ! საზარელი მხეცი! ვაი! რა შემზარლება მე საცოდავს! შემჭამს! ღმერთო, დამიფარე! ეაი, ჩემკენ მოდის! არა, ძელარს მისდევს. უჰ! ამოვისუნთქე!

*დათვი ეცემა ძელარს. სვეტისი დათვს დანით მისდევს.*

*იუბიუ კლდეზე აცოცდება.*

**ძელარი**

აქეთ, სვეტის, აქეთ! მიშველეთ, ბატ-ბატონო იუბიუ!

**მამა იუბიუ**

შეტი საქმე არ მაქვს! როგორც გინდა, ისე გამოძვერი, მეგობარო! მე დაკავებული ვარ, „მამაო ჩვენოს" ვამბობ. თანაც ყველას თავისი ჯერი აქვს დათვისგან შეჭმის!

**სვეტისი**

დავიჭირე!

**ძელარი**

მაგრად გეჭიროს, მეგობარო, მგონი კლანჭებს მიშვებს!

**მამა იუბიუ**

„წმიდა იყავნ სახელი შენი".

**ძელარი**

მხდალი ეიგინდარა!

**სვეტისი**

ვაი! ჩამკბიჩა! ო, გვიშველე, უფალო! მოვკვდი!

**მამა იუბიუ**

„იყავნ ნება შენი".

**ძელარი**

უჰ! მგონი დავჭერი!

**სვეტისი**

ვაშა! სისხლისგან იცლება!

*თახსარები ყვირიან, დათვი ღმუის და იუბიუ ლოცვას ბუტბუტებს, ერთდროულად.*

**ძელარი**

არ გაუშვა! ჩემს ფეთქებად სათითეს მივწვდე!

**მამა იუბიუ**

„პური ჩვენი არსობისა მომეც ჩვენ დღეს".

**სვეტისი**

მისწვდი? მეტი აღარ შემიძლია!

**მამა იუბიუ**

„ვითარცა ჩვენ მივუტევებთ თანამდებთა მათ ჩვენთა".

**ძელარი**

უჰ! მივწვდი!

*ისმის აფეთქების ხმა. დათვი უსულოდ ეცემა.*

**სვეტისი და ძელარი**

გავიმარჯვეთ!

**მამა იუბიუ**

„არამედ მიხსენ ჩვენ ბოროტისაგან. ამინ". ნამდვილად მოკვდა? შეიძლება, კლდიდან ჩამოვიდე?

**სვეტისი** *(ზიზღით)*

როგორც გნებავთ.

**მამა იუბიუ** *(ჩამოდის)*

მოსალოცავ გაქვთ საქმე! თუ ისევ ცოცხლები ხართ და ლიეტუვის თოვლზე დააბიჯებთ, ეს ფინანმძლოლის სათნოებისა და დიდსულოვნების წყალობითაა! მან ლონე არ დაიშურა, ჯაფა გასწია და ხმა ჩაიხლიჩა, რომ თქვენს გადასარჩენად „მამაო ჩვენო" წაეკითხა! მან ისეთივე სიმამაცით იქნია ლოცვის სულიერი მახვილი, როგორი მოხერხებითაც თქვენ იმოქმედეთ აქ მყოფი ძელარ თახსარის ფეთქებადი სათითით. მეტიც, მისი თავდადება კიდევ უფრო შორს წავიდა, როცა იგი არც კი შეყოყმანდა და ფრიად მაღალ კლდეზე აცოცდა, რათა ლოცვისთვის ცამდე მისასვლელი გზა შეემოკლებინა!

**სვეტისი**

ამაზრზენი ყეყეჩი!

**მამა იუბიუ**

ოჰო, მხეციც ამას ჰქვია! ჩემი წყალობით, ვახშამსაც გამოჰკარით ხელი! ნახეთ, რამხელა მუცელი აქვს, ბატონებო! ბერძნები აქ გაცილებით უკეთ მოთავსდებოდნენ, ვიდრე ხის ცხენში! ცოტა დაგვაკლდა, ჩემო მეგობრებო, რომ საკუთარი თვალით შეგვემოწმებინა მისი შიდა ტევადობა.

**სვეტისი**

შიმშილით ვკვდები. რა ვჭამო?

**ძელარი**

დათვი!

**მამა იუბიუ**

უბადრუკებო, უმად ხომ არ შეჭამთ! არაფერი გვაქვს, რომ ცეცხლი დავანთოთ.

**სვეტისი**

კვესი ხომ გვაქვს?

**მამა იუბიუ**

აჰ, ჰო, მართალია! აქ ახლოს პატარა ტყე უნდა იყოს, სადაც ფიჩხი იქნება. წადი, ძელარ, მოიტანე.

*ძელარი თოვლიან მინდორს გადაჭრის.*

**სვეტისი**

თქვენ კი ამასობაში დათვი გაატყავეთ, თქვენო უიუბიუესობავ.

**მამა იუბიუ**

აჰ, არა! ვაი და ცოცხალი იყოს! შენ გაატყავე! მაინც ნახევრად შეჭმული და ჩაკბეჩილი ხარ. მე კი ცეცხლს დავანთებ, სანამ ძელარი ფიჩხს მოიტანს.

*სვეტისი დათვის გატყავებას შეუდგება.*

**მამა იუბიუ**

აჰ! ფრთხილად, გაინძრა!

**სვეტისი**

რას ამბობთ, თქვენო უიუბიუესობავ, უკვე გაცივდა.

**მამა იუბიუ**

დასანანია! ჯობდა, ცხლად გვეჭამა. ამან, შეიძლება, ფინანსმძლოლს კუჭი აუშალოს.

**სვეტისი** *(თავისთვის)*

გულის ამრევი! *(ხმამაღლა)* ცოტა მომეხმარეთ, ბატონო იუბიუ, მარტო თაეს ვერ გავართმევ.

**მამა იუბიუ**

არა, მე არაფრის კეთება არ მინდა! დაეილალე, რასაკვირველია!

**ძელარი** *(ბრუნდება)*

რამხელა თოელია, მეგობრებო, კასტილიაში გეგონება თავი, ან - ჩრდილოეთ პოლუსზე. უკვე ბინდდება. ერთ საათში დაღამდება. ვიჩქაროთ, სანამ კიდევ რამეს ვხედავთ.

**მამა იუბიუ**

აი, გესმის, სვეტის? იჩქარე. ორივემ იჩქარეთ! შამფურზე - მხეცი! ცეცხლზე - მხეცი! მომშივდა!

**სვეტისი**

აჰ, უკვე მეტისმეტია! ან ცოტა წაიმუშავე, ან არაფერი შეგხვდება! გესმის, გაუმაძღარო!

**მამ იუბიუ**

უჰ, მე რა მენაღვლება, უმადაც მიყვარს. თქვენ იკითხეთ, ავად რომ გახდებით. თანაც მე მეძინება!

**ძელარი**

ნუ ღელავთ, სვეტის. ჩვენ მოვამზადოთ და ჩვენვე მივირთვათ. მას კი არაფერი მივცეთ. ან - მხოლოდ ძვლები!

**სვეტისი**

ძალიან კარგი. აჰა, ცეცხლიც გაჩაღდა!

**მამა იუბიუ**

უჰ! რა კარგია! უკვე დათბა! მაგრამ... ყველგან რუსებს ვხედავ! თავქუდმოგლეჯით გავრბივარ, ღმერთო დიდებულო! ვაი!

*მძინარე ეცემა.*

**ძელარი**

მინდა, ვიცოდე, სიმართლეა თუ არა, რასაც რენელი ამბობდა დედა იუბიუზე, რომ ტახტიდან ჩამოაგდეს? არ გამიკვირდება, რომ სიმართლე იყოს.

**სვეტისი**

მოდი, ჯერ ვივახშმოთ.

**ძელარი**

არა, ბევრად უფრო მნიშვნელოვანი საქმეები გვაქვს. კარგი იქნებოდა, გაგვერკვია, სიმართლეა თუ არა ეს ყოველივე.

**სვეტისი**

მართალია! მამა იუბიუ აქ დავტოვოთ თუ მასთან დავრჩეთ?

**ძელარი**

აღდგომა და ხვალეო! დავიძინოთ და უკეთ მივხვდებით, რა გავაკეთოთ.

**სვეტისი**

არა, ჯობს, წავიდეთ, სანამ ღამეა!

**ძელარი**

მაშ, წავიდეთ!

*მიდიან.*

## სცენა VII

**მამა იუბიუ** *(ძილში ლაპარაკობს)*

აჰ! კეთილო რუსულო დრაგუნებო, ფრთხილად, აქეთ არ ისროლოთ, ხალხია აქ!ოჰ! აი, არშიაც! რა უხეიროა! ნამდვილი დათვი! და ხულიგავიც ჩემკენ მოიწევს! დათვი, დათვი! ოჰ, დაეცა! რა მძიმეა, ღმერთო დიდებულო! არა, მე არაფრის კეთება არ მინდა! გამეცალე, ხულიგავ! გესმის, ტაკიმასხარავ? აი, რენელიც გამოჩნდა, ცართან ერთად! აჰ! ნამდვილად მცემენ! ეს ვინღაა? დედა იუბიუ! საიდან გაქვს ეს ოქროები? მე მომპარე, უბადრუკო? ჩემი საფლავიდან ამოქექე, ვარშავის კათედრალში, მთვარესთან ახლოს? მე, რახანია, მკვდარი ვარ, ხულიგავმა მომკლა. ვარშავაში ვარ დასაფლავებული, ვლადისლავ დიდის გვერდით, და ასევე - კრაკოვში, იან განსვენებულსკის გვერდით, და ასევე - ტორუნის ბუნკერში, არშიასთან ერთად! აი, ისევ მოვიდა! გამეცალე, წყეულო დათვო! არშიას ჰგავხარ! გესმის, ეშმაკის ნაშიერო? არა, არ ესმის. თახსარებმა ყ-ვ-ურები დააჭრეს! ტვინი უბურღეთ, ამოხო-რ-ცეთ, ყ-ვ-ურები დააჭერით, მაყუთქვლიფეთ და სვით გასკდომამდე! ასეთია თახსარების ცხოვრება! ესაა ფინანსმძლოლის ბედნიერება!

*ჩუმდება და იძინებს.*

**მეოთხე მოქმედების დასასრული**

# მოქმედება V

## სცენა I

***ღამეა. მამა იუბიუს სძინავს.***

***შემოდის დედა იუბიუ. მამა იუბიუს ვერ ამჩნევს სრულ სიბნელეში.***

**დედა იუბიუ**

როგორც იქნა, უსაფრთხოდ ვარ! აქ სულ მარტო ვარ, მაგრამ არა უშავს. მაინც რა შეშლილივით გადავკვეთე მთელი პოლონეთი ოთხ დღეში! ყველა უბედურება ერთბაშად დამატყდა თავს! როგორც კი ის გათქვირებული ყეყეჩი თვალს მიეფარა, მეფეთა საძვალეს მივაშურე გასამდიდრებლად. შემდეგ ხულიგაემა და მისმა ცოფიანებმა კინაღამ ჩამქოლეს. მერე დავკარგე ჩემი ერთგული ჩოყლაყი ჯოხილ თახსარი, რომელიც ჩემი სიწარმტაცით ისე იყო მონუსხული, რომ ჩემს დანახვაზე ნეტარებით გული მისდიოდა, და როგორც მითხრეს - ჩემს დაუნახაობაზეც! ეს კი უდიდესი გზნების ნიშანია. საბრალო ყმაწვილი, ოთხად გაიჭრებოდა ჩემი გულისთვის. ასეც მოხდა, იმ ხულიგავმა ოთხში ამოიღო! ბაჰ ბუჰ! ოჰ! ვიფიქრე, რომ მოვკვდებოდი. გაქცევით თავს ვუშველე, მაგრამ გააფთრებული ბრბო დამედევნა. სასახლეს გავეცალე და მდინარე ვისლას მივადექი. ყველა ხიდზე გუშაგები იდგნენ. მეც ავდექი და გადავცურე. მეგონა, ასე დავუძვრებოდი მდევრებს. ყველა მხრიდან დამედევნენ დიდგვაროვნები. სიკვდილს უამრავჯერ გადავურჩი, გამძვინვარებული პოლონელების ალყაში! ბოლოს მაინც დავუძვერი მათ მრისხანებას და ჩემი ყოფილი სამეფოს თოვლიან სერებზე ოთხდღიანი სირბილის შემდეგ, აქამდე მოვაღწიე. ამ ოთხი დღის განმავლობაში, არაფერი მიჭამია, არც დამილევია. ხულიგავი სულ კუდში მომდევდა... ბოლოს და ბოლოს, გადავრჩი. აჰ! სიცივით და შიმშილით ვკვდები. მაგრამ ძალიან მინდა, გავიგო, რა ბედი ეწია იმ ჩემს გათქვირებულ ტაკიმასხარას, უფრო სწორად - ჩემს პატივცემულ ქმარს! მე მას საგანძური მოვპარე, რიკსდალერები ავწაპნე, გროშიც კი არ დავუტოვე. და მის საცოდავ მაყუთულაყს, შიმშილით რომ სული ძვრებოდა, შვრია არ ვაღირსე. ეჰ! თავგადასავალიც ამას ჰქვია! აფსუს, საგანძურიც დავკარგე! ვარშავაში დარჩა. იმისი იყოს, ვინც იპოვის!

**მამა იუბიუ** *(იღვიძებს)*

დაიჭირეთ დედა იუბიუ! ყ-ვ-ურები დააჭერით!

**დედა იუბიუ**

ოჰ! მამზეციერო! სად ვარ? მგონი, ჭკუიდან გადავდივარ! აჰ, არა!!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღვთის ნებით,

მამა იუბიუს ვხედავ, მძინარს ჩემ გვერდით!

მივიდე, მივუალერსო! როგორ გძინავს, ჩემო ფუმფულა?

**მამა იუბიუ**

ფრიად ცუდად! ძალიან სასტიკი დათვი იყო! გაუმაძღართა და შეუპოვართა ბრძოლაში, გაუმაძღრებმა იმარჯვეს და მთლიანად შთანთქეს და გადასანსლეს შეუპოვრები. თავად ნახავთ, როცა გათენდება. გესმით, კეთილო თახსარებო?

**დედა იუბიუ**

რას ბოდავს? ომში კიდევ უფრო გამოტვინებულა! ვის გულისხმობს?

**მამა იუბიუ**

ძულარ, სვეტის, ხმა ამოიღეთ, ძნეხვიტომარამ! სად ხართ? ვაი, მეშინია! კი მაგრამ, აქ ვიღაც ლაპარაკობდა. ვინ ლაპარაკობდა? დათვი არა, ვვარაუდობ. ძნეხვი! რა უკუნია, სად არის ჩემი წუმწუმა? აჰ! უთუოდ ბრძოლაში დავკარგე.

**დედა იუბიუ** *(თავისთვის)*

უნდა ვისარგებლო ამ მდგომარეობით! სანამ ღამეა, ზებუნებრივ ხილვად მოვევლინები და პირობას დავადებინებ, რომ ყველა ცოდვას მაპატიებს!

**მამა იუბიუ**

კი მაგრამ... წმინდა ანტონის სახელმა! ვიღაც ლაპარაკობს! მეუფეხმა! ღმერთო, გმათავე!

**დედა იუბიუ** *(ხმას იბოხებს)*

დიახ, ბატონო იუბიუ, ლაპარაკობს! თანაც ნამდვილად! სხვაგვარად ვერც ამეტყველდებოდა საყვირი მთავარანგელოზისა, რომელიც მკვდარ სულებს ფერფლიდან და მტვრიდან აღადგენს! მაშ, უსმინეთ ამ ხმას უმკაცრესს! ეს ხმაა წმინდა გაბრიელისა, რომელიც მხოლოდ კარგ რჩევებს მოგცემთ.

**მამა იუბიუ**

ოჰ! ეს კი ცხადია!

**დედა იუბიუ**

ნუ მაწყვეტინებთ, თორემ გავჩუმდები და ყველაფერს საკუთარ ღიპლიპოზე იწვნევთ!

**მამა იუბიუ**

აჰ! ჩემმა სტომარქამ! ხმას ვიკმენდ, კრინტს არ ვძრავ! გააგრძელეთ, ქალბატონო ხილვავ!

**დედა იუბიუ**

იმას ვამბობდი, ბატონო იუბიუ, რომ თქვენ ერთი გათქვირებული კაცუნა ხართ!

**მამა იუბიუ**

მართლაც, მეტისმეტად გათქვირებული, კი!

**დედა იუბიუ**

მოკეტეთ, ეშმაკმა დალახვროს!

**მამა იუბიუ**

აჰ! ანგელოზები არ ილანძღებიან!

**დედა იუბიუ** *(თავისთვის)*

ძნეხვი! *(აგრძელებს)* თქვენ დაქორწინებული ხართ, ბატონო იუბიუ.

**მამა იუბიუ**

სავსებით! კუდიანთაგან ყველაზე უარესზე!

**დედა იუბიუ**

გინდათ, თქვათ - მომხიბლავ ქალბატონზე?

**მამა იუბიუ**

აჰ! საზარელი ვინმეა! ყველგან კლანჭები აქვს. ვერ გაიგებ, როგორ მიუდგე!

**დედა იუბიუ**

ნაზად უნდა მიუდგეთ, თქვენო უიუბიუესობავ! და, სულ მცირე, აფროდიტედ გადაიქცევა!

**მამა იუბიუ**

რაო? რა დაიქცევაო?

**დედა იუბიუ**

არ მისმენთ, ბატონო იუბიუ! ყურები გამოიქექეთ! *(თავისთვის)* უნდა ვიჩქარო, სადაცაა, გათენდება! *(ისევ იუბიუს)* ბატონო იუბიუ, თქვენ უსაყვარლესი და უტკბილესი ცოლი გყავთ. ერთი ნაკლსაც ვერ უპოვით.

**მამა იუბიუ**

ცდებით! არ არსებობს ნაკლი, რომელიც მას არ გააჩნდეს!

**დედა იუბიუ**

კრინტი! თქვენი ცოლი არ გღალატობთ!

**მამა იუბიუ**

და ვის უნდა მოუნდეს ეს კუდიანი დედაბერი!

**დედა იუბიუ**

არ სვამს!

**მამა იუბიუ**

მხოლოდ მას შემდეგ, რაც სარდაფის გასაღები წავართვი! მანამდე კი დილის შვიდი საათიდან უკვე გალეშილი იყო და სპირტს სუნამოსავით იპკურებდა! ახლა ყვავილოვან ისნარს ისხამს და ნაკლებად ყარს, მაგრამ ჩემთვის სულერთია! ამიერიდან მხოლოდ მე გავილეშები!

**დედა იუბიუ**

ჭკუათხელი! - თქვენს ცოლს თქვენი ოქროებისთვის ხელი არ უხლია.

**მამა იუბიუ**

ჰიჰ, კარგი ხუმრობაა!

**დედა იუბიუ**

მას თქვენთვის გროშიც არ მოუპარავს!

**მამა იუბიუ**

ამის მოწმე ჩვენი კეთილშობილი და უიღბლო ბატონი მაყუთულაყია, რომელსაც სამი თვე არაფერი აჭამა და მთელი ლაშქრობის განმავლობაში აღვირით დაეათრევდი უკრაინის გასწვრივ! საბრალო ცხოველი! კიდეც სული ამოხდა მუშაობაში!

**დედა იუბიუ**

სიცრუეა ეს ყველაფერი! თქვენი ცოლი სამაგალითოა! თქვენ კი პირწავარდნილი ურჩხული ხართ!

**მამა იუბიუ**

ყველაფერი სიმართლეა! ჩემი ცოლი არამზადაა! თქვენ კი პირწავარდნილი კუ-ბ-ატი ხართ!

**დედა იუბიუ**

ფრთხილად, ბატონო იუბიუ!

**მამა იუბიუ**

აჰ! მართალია! დამავიწყდა, ვის ველაპარაკებოდი! არა, არაფერი მითქვამს!

**დედა იუბიუ**

თქვენ მოკალით ვენცელი.

**მამა იუბიუ**

არა, ეს ჩემი ბრალი არ ყოფილა, რასაკვირველია! ეს დედა იუბიუმ ისურვა!

**დედა იუბიუ**

თქვენ მოაკვლევინეთ ბოლესლავი და ვლადისლავი.

**მამა იუბიუ**

არია მათზე! ჩემი განადგურება უნდოდათ!

**დედა იუბიუ**

თქვენ არშიას პირობა არ შეუსრულეთ და მერე მოკალით.

**მამ იუბიუ**

ლიეტუვის მბრძანებლად საკუთარი თავი მერჩივნა. ისე მოხდა, რომ ეს ვერც მე შევძელი, ვერც - მან. ამგვარად, არც ეს არის ჩემი ბრალი.

**დედა იუბიუ**

თქვენ მხოლოდ ერთი გზა დაგრჩათ, რომ ყველა თქვენი ბოროტმოქმედება გამოისყიდოთ!

**მამა იუბიუ**

რა გზა? მზად ვარ, წმინდანად ვიქცე! ეპისკოპოსი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაეხდები, რომ ჩემი სახელი კალენდარში შეიტანონ!

**დედა იუბიუ**

უნდა აპატიოთ დედა იუბიუს, თუ ცოტაოდენი ფული მოგპარათ!

**მამა იუბიუ**

იცით, რას გეტყვით? მხოლოდ მაშინ ვაპატიებ, როცა ყველაფერს დამიბრუნებს, კარგადაც გავამათრახებ და მაყუთულაყსაც გამიცოცხლებს!

**დედა იუბიუ**

ამ ცხენის გიჟია!! აჰ, თენდება! თავგზა ამებნა, რა გავაკეთო!

**მამა იუბიუ**

რა ვთქვა, კმაყოფილი ვარ, რომ ბოლოს და ბოლოს გავიგე, როგორ მძარცვავდა ჩემი ძვირფასი მეუღლე! ახლა ეს უკვე სარწმუნო წყაროდან ვიცი! Omnis a Deo scientia, რაც ნიშნავს: Omnis - „ყოველი", a Deo - „ცოდნა", scientia - „ღმერთისგან მოდის". ასეც მოხდა! მაგრამ... ქალბატონი ხილვა აღარაფერს ამბობს! რით გავამხნევო, რა შევთავაზო, არაფერი მაქვს! ეჰ, სახალისო ამბებს ჰყვებოდა! იჰო, გათენებულა! ვაი, ღმერთო მიშველე!! ჩემმა მაყუთულაყმა, ეს ხომ დედა იუბიუა!!

**დედა იუბიუ** ***(უტიფრად)***

გეჩვენებათ! ახლავე შეგაჩვენებთ!!

**მამა იუბიუ**

აჰ! შე ძუკნა!

**დედა იუბიუ**

ღვთისმგმობელო!

**მამა იუბიუ**

ძალიანაც ნუ გაირჯები! კარგად ეხედავ, რომ შენ ხარ, ჭკუათხელო კუდიანო! აქ რა ჯანდაბამ მოგიყვანა?

**დედა იუბიუ**

პოლონელებმა ჯოხილი მოკლეს, მე კი გამომაგდეს!

**მამა იუბიუ**

მე კი რუსებმა გამომაგდეს! ამაზეა ნათქვამი: დიადმა სულებმა ერთმანეთი იპოვესო!

**დედა იუბიუ**

აჯობებდა, გეთქვა: დიადმა სულმა ვირისთავი იპოვაო!

**მამა იუბიუ**

აჰა! ჰოდა ახლა, დათვისთავს იპოვის!

*ესვრის დათვის ტყავს.*

***დედა იუბიუ (ეცემა)***

ვაი! ღმერთო მაღალო! რა საშინელებაა! ვაი! ვკვდები! ვიგუდები! მიკბინა! გადამსანსლა! მომინელა!

**მამა იუბიუ**

მკვდარია, სასაცილო არსებავ! აჰ!.. არა! მგონი, არც არის მკვდარი! ვაი! მამაზეციერო! ცოცხალია! თავს ვუშველოთ! *(კლდეზე აცოცდება)* „მამაო ჩვენო, რომელი ხარ..."

**დედა იუბიუ** *(მოიცილებს დათვის ტყავს)*

ეჰ! სად გაქრა?

**მამა იუბიუ**

ოჰ! მამაზეციერო! ისევ ჩემი ცოლი! ვერაფრით მოვიშორე ეს ბრიყვი არსება! - დათვი მკვდარია?

**დედა იუბიუ**

რასაკვირველია, ყეყეჩო ვირისთავო, უკვე სულ ცივია! აქ როგორ მოხვდა?

**მამა იუბიუ** *(დაბნეული)*

არ ვიცი. აჰ! კი, ვიცი! სვეტისს და ძელარს შეჭმა დაუპირა. მეც ავდექი და „მამაო ჩვენოს" ერთი გასროლით მოვკალი.

**დედა იუბიუ**

სვეტისი, ძელარი, „მამაო ჩვენო"... რას ბოდავ? - გაგიჟდა, ჩემმა ფულებმა!

**მამა იუბიუ**

ყველაფერი ზუსტად ისე იყო, როგორც მოვყევი! შენ კი ცალტვინა ხარ, ჩემმა ფაშაშვმა!

**დედა იუბიუ**

მომიყევი შენი ლაშქრობის შესახებ, მამა იუბიუ.

**მამა იუბიუ**

ო, არა! ძალიან გრძელი ამბავია. მხოლოდ ის შემიძლია გითხრა, რომ ჩემი შეუდარებელი სიმამაცის მიუხედავად, ყველამ დამამარცხა.

**დედა იუბიუ**

როგორ? პოლონელებმაც?

**მამა იუბიუ**

ასე ყვიროდნენ: „ვაშა ვენცელს და ხულიგავს!". მეგონა, ოთხად გამგლეჯდნენ! ოჰ, ეს ცოფიანები! და მერე რენელი მოკლეს!

**დედა იუბიუ**

აი, დარდი! იცი, რომ ხულიგავმა ჯოხილ თახსარი მოკლა?

**მამა იუბიუ**

აი, დარდი! და მერე საწყალი ლასიც მოკლეს!

**დედა იუბიუ**

აი, დარდი!

**მამა იუბიუ**

უჰ! ამას დამიხედეთ!! აბა, აქ მოდი, ძუკნავ! დაუჩოქე შენს ბატონს! (ხელს ჩაავლებს და მუხლებზე დააგდებს) მოემზადე უკანასკნელი სასჯელის მისაღებად!

**დედა იუბიუ**

ააა, ააა! ბატონო იუბიუ!

**მამა იუბიუ**

მორჩი? მაშასადამე, ვიწყებ: ცხვირის მოგრეხა, თმების დაგლეჯა, ხის ნაფოტის ჩაჩურთვა ყ-ყ-ურებში, ქუსლების გავლით ტვინის ამოტუმბვა (თუ რამეა დარჩენილი), უკანალის გახლეჩა, ზურგის ტვინის ნაწილობრივი ან სრული ამოღება, საშარდე ბუშტის გახვრეტა და ბოლოს, თავის მოკვეთა იოანე ნათლისმცემლის განახლებული ვერსიით. ყოველივე ეს ამოღებულია წმინდა წერილიდან, როგორც ძველი, ასევე ახალი აღთქმიდან და რედაქტირებული და გაუმჯობესებულია აქ მყოფი ფინანსმძღოლის მიერ! მოგწონს, კუ-ბ-ატო?

*შუაზე გაგლეჯს.*

**დედა იუბიუ**

შემიწყალეთ, ბატონო იუბიუ!

*გამოქვაბულის შესასვლელთან დიდი ხმაური ისმის.*

## სცენა II

***იგივენი.***

***გამოქვაბულში შევარდება ხულიგავი თავის ჯარისკაცებთან ერთად.***

**ხულიგავი**

წინ, ჩემო მეგობრებო! პოლონეთისთვის!

**მამა იუბიუ**

ე! ე! ცოტაც დამაცადე, ბატონო პოლონეხვო! ჯერ ქალბატონ ჩემს-ნახევართან მოვრჩე!

**ხულიგავი** *(თავს ესხმის)*

მიიღე, ლაჩარო, ბინძურო, თაღლითო, გაიძვერავ, ურჯულო!

**მამა იუბიუ** *(თავს იცავს)*

შენც მიიღე, პოლონეხვო, ლოთო, ნაბიჭვარო, ტარტაროზო, ტარაკანავ, ბაღლინჯოვ!

**დედა იუბიუ** *(ბრძოლაში ებმება და ხულიგავს უტევს)*

მიიღე, მხდალო, ღორო, მუხანათო, მამხო, არამზა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავ, ნაგავო, მუთაქავ!

*ჯარისკაცები მისცვივდებიან იუბიუებს, რომლებიც ძნელებით იცავენ თავს.*

**მამა იუბიუ**
ღმერთო! დამხმარე ძალაც ამას ჰქვია!
**დედა იუბიუ**
ვერ წავვაქცევთ, ბატონო პოლონელებო!
**მამა იუბიუ**
ჩემმა მწვანე ვარყალმა, რამდენი არიან! ნუთუ მორჩება ეს ყოველივე, ბოლოს და ბოლოს? აჰა, კიდევ ერთი! ეჰ, ნეტა, აქ მყავდეს ჩემი მაყუთულაყი!
**ხულიგავი**
დასცხეთ მაგათ, დასცხეთ!
**ხმა გარედან**
დიდება მამა იუბიუს, ჩვენს დიდ ფინანმძღოლს!
**მამა იუბიუ**
ოჰო! აი, ისინიც! ვაშა! იუბიუელები აქ არიან! შემოგვეშველეთ! შეტევაზე, ფინანსირებო!

*შემოდიან თახსარები და ბრძოლაში ებმებიან.*

**ძელარი**
დაიკარგეთ აქედან, პოლონელებო!
**სვეტისი**
ოჰ! აი, კვლავ შევხვდით ერთმანეთს, ბატ-ბატონო ფინანმძღოლო! წინ! მტერი შევავიწროოთ! გასასვლელამდე მივაღწიოთ და მერე გაქცევასაც შევძლებთ.
**მამა იუბიუ**
ო, გაქცევა ჩემი საქმეა! უჰ, როგორ ჩასცხო!
**ხულიგავი**
ღმერთო! დამჭრეს!
**სტანისლავ ლეშჩინსკი**
ეს არაფერია, თქვენო აღმატებულებავ!
**ხულიგავი**
არა, უბრალოდ დამარეტიანეს.
**იან სობიესკი**
დასცხეთ, დასცხეთ ისევ! გასასვლელს უახლოვდებიან ეს პირუტყვები!
**ძელარი**
გასასვლელს ვუახლოვდებით! მომყევით! უკვე ცას ვხედავ!
**სვეტისი**
გამაგრდით, თქვენო უიუბიუესობავ!
**მამა იუბიუ**
აჰ! შიშისგან, შარვალში გამეპარა! წინ, სტომარქამ! ამოხო-რ-ცეთ, სისხლი ადინეთ, ტყავი გააძრეთ, გაატამტვერეთ, იუბიუსირმა! ოჰ! შეთხელდნენ!
**ძელარი**
ორი კაცილა იცავს გასასვლელს!
**მამა იუბიუ** *(ორივეს დათვის დრტყმით არეტიანებს)*
ეს - ერთი! ესეც - ორი! უჰ! ძლივს არ გამოვაღწიე! გავეცალოთ აქაურობას! ჰეი, თქვენ, მომყევით, სწრაფად!

## სცენა III

***თოვლით დაფარული პროვინცია ლივონიაში. იუბიუები და მათი ამალა გარბიან.***

**მამა იუბიუ**
ე! მგონი, აღარ მოგვდევენ!
**დედა იუბიუ**
დიახ, ხულიგავი გეირგეინის დასადგმელად წავიდა.
**მამა იუბიუ**
დაიდგას! სულ არ მადარდებს!
**დედა იუბიუ**
სწორადაც იქცევი, მამა იუბიუ!

*ჰორიზონტზე უჩინარდებიან.*

## სცენა IV

***გემი ბალტიის ზღვაში. იუბიუ და მისი დამქაშები გემბანზე.***

**გემის კაპიტანი**
ოჰ! რა კარგად დაუბერა!
**მამა იუბიუ**
მართლაც რა საკვირველი სისწრაფით მივცურავთ! უთუოდ, სულ მცირე - მილიონი კვანძით საათში! და ეს კვანძები იმით არის კარგი, რომ ერთხელ რომ შეჰკრავ, აღარ იხსნება! ზურგის ქარიც გვეხმარება, მართალია!
**სვეტისი**
საცოდავი იდიოტი!

*ამოვარდება ქარიშხალი. გემი გადაიხრება და ზღვას აქაფებს.*

**მამა იუბიუ**
ვაი! ღმერთო! გადავყირავდით! თავდაყირა მიცურავს, ჩაიძირება ეს შენი გემი!
**გემის კაპიტანი**
ყველანი კაბინაში! ეკიპაჟო, აფრა მოკეცეთ!
**მამა იუბიუ**
აჰ! ყველა ერთ მხარეს ნუ დადგებით! სახიფათოა! ქარმა თუ სხვა მხრიდან დაუბერა, ყველანი წყლის ფსკერზე აღმოვჩნდებით და თევზები შეგვჭამენ!
**გემის კაპიტანი**
ხვლას უკელით! დინებას მიჰყევით!
**მამა იუბიუ**
არა! არა! არ უკლოთ! მეჩქარება მე! არ უკლოთ, გესმით? სულ შენი ბრალია, კაპიტანო, თუ ვეღარ მივედით! ხვლისთვის რომ არ გვეკლო, მისული ვიქნებოდით! აჰ! რადგან ასეა, მე ვიკაპიტნებ! მოსახვევად მოემზადეთ! საჭე მარჯვნივ! საჭე მარცხნივ! აუშვით აფრა! დაუშვით აფრა! ასწიეთ ანძა! ჩამოსწიეთ ანძა! ხედავთ, რა კარგია! ტალღების გარდიგარდმო იცურეთ და მთლად შესანიშნავი იქნება!

*ყველა ხარხარებს. ქარი ძლიერდება.*

**გემის კაპიტანი**
ფოკი ჩამოუშვით! იალქნები მოჭიმეთ!
**მამა იუბიუ**
ო, ეს კარგია! ეკიპაჟო, გესმის? თოკით ჩამოუშვით ქლიავები და მოწყვიტეთო!

*ხითხითით კვდებიან. გემს ტალღა ეხეთქება.*

**მამა იუბიუ**
ოჰ! რა წარღვნაა! ეს ხომ ჩვენი მანევრების შედეგია!
**დედა იუბიუ და სვეტისი**
გემრიელი რამეა ზღვაოსნობა!

*ისევ ტალღა.*

**სვეტისი** *(გაწუწული)*
ესეც, ეშმაკის ჭავლი!

ბიბლიოთეკა

**მამა იუბიუ**
ჰეი, გარსონ, რამე დაგვალევინე!

*ყველანი დასალევად სხდებიან.*

**დედა იუბიუ**
ო, რა ბედნიერებაა მშვენიერი საფრანგეთის, ჩვენი ძველი მეგობრების და ჩვენი მონდრაგონის ციხე-დარბაზის ხელახლა ხილვა!
**მამა იუბიუ**
აჰა! მალე იქ ვიქნებით! ახლა კი ელსინორას ციხე-დარბაზის[7] გასწვრივ მივცურავთ.
**სვეტისი**
მიხარია, რომ ჩემს მშობლიურ ესპანეთში დავბრუნდები!
**ძელარი**
მეც! თანამემამულეებს განვაცვიფრებთ ჩვენი არაჩვეულებრივი თავგადასავლით!
**მამა იუბიუ**
ო, ეს ცხადია! მე კი პარიზის ფინანსმძღოლად დავინიშნები!
**დედა იუბიუ**
კი, როგორ არა! აჰ, როგორ შეგვარყია!
**ძელარი**
არაფერია! ელსინორას კონცხი გავიარეთ.
**სვეტისი**
ახლა კი, ჩვენი დიდებული გემი მთელი სისწრაფით მიაპობს ჩრდილოეთის ზღვის მრუმე ტალღებს.
**მამა იუბიუ**
სასტიკი და უკარება ზღვაა, რომლის ნაპირზე მდებარეობს ქვეყანა, სახელად გერმანია. ასე უწოდეს, რადგან ყველა მის მცხოვრებს გერმანე ჰქვია.
**დედა იუბიუ**
აი, განსწავლულობაც ამას ჰქვია! ამბობენ, ფრიად საუცხოო ქვეყანააო.
**მამა იუბიუ**
აჰ! ბატონებო! რაც უნდა საუცხოო იყოს, პოლონეთს ვერ შეედრება! პოლონეთი რომ არ არსებობდეს, არ იქნებოდნენ პოლონელები!

*ახლა კი, ვინაიდან ყურადღებით გვისმენდით და სიმშვიდეც შეინარჩუნეთ, სიმღერას გიმღერებთ:*

**ტვინის ბურღვის სიმღერა**

დურგალ-ხუროდ ვიმუშავე დიდხანს
„მარსის ველზე", „წმინდანების" სახლთან.[8]
ცოლი ქუდებს უკერავდა დიდ ხალხს
და არასდროს არაფერი გვაკლდა!

კვირაობით, თუ არ იდგა თქეში
და ზეციდან მზის სხივები ჩქეფდა,
ვირთვებოდით და ქალაქის ცენტრში
ვესწრებოდით ტვინის ბურღვის სპექტაკლს.

ნახეთ, თავებს როგორ მღუღრავს!
ნახეთ, ტვინებს როგორ ბურღავს!
რქა დუნდულზე მიუბია -
დაილოცოს იუბიუ!

ჩვენი ორი პირმოთხვრილი ღლაპი
არ უფრთხოდა ზღვა ხალხსა და გნიასს.
ჩაგვკიდებდნენ ხელს და ნერწყვის ყლაპვით
უყურებდნენ ტვინსაბურღის ტრიალს.

ჭყლეტას არად დაგიდევდათ ხალხი,
დამდგარიყვნენ ოღონდ წინა რიგში!
ჩვენ ვარჩევდით შემაღლებულ ადგილს,
ჩექმები რომ არ დაგვსვროდა სისხლით.

ნახეთ, თავებს როგორ მღუღრავს!
ნახეთ, ტვინებს როგორ ბურღავს!
რქა დუნდულზე მიუბია -
დაილოცოს იუბიუ!

და ტვინების მოდიოდა თავსხმა
და ღლაპებიც იჭერდნენ და ჭამდნენ.
ხელში დანა უელავდა თახსარს,
ბრბოს ხორხოცი ადიოდა ცამდე.

ერთხელ, იქვე, ერთის სახე მეცნო.
მანაც მიცნო და ადგილზე გაშრა.
დავუყვირე: „შენ ის არ ხარ, ძნეხვო,
უსინდისოდ რომ გამქურდე შარშან?"

ნახეთ, თავებს როგორ მღუღრავს!
ნახეთ, ტვინებს როგორ ბურღავს!
რქა დუნდულზე მიუბია -
დაილოცოს იუბიუ!

ამ დროს, ცოლმა მუჯლუგუნი მკრა და
ჩამჩურჩულა: „ლაპარაკად არ ღირს!
კაცი არ ხარ?! შემოჰკარი მაგრად,
სანამ თახსარს მისევია ხალხი!

ადექი და შიგ სიფათში რეხვე,
აზრი არ აქვს ლაქლაქსა და ახსნას!"
მეც ავდექი, გავუქანე ძნეხვი,
მაგრამ ასცდა და დაასკდა თახსარს!

ნახეთ, თავებს როგორ მღუღრავს!
ნახეთ, ტვინებს როგორ ბურღავს!
რქა დუნდულზე მიუბია -
დაილოცოს იუბიუ!

ბრბო გაცოფდა, ბრბო მომვარდა ავი,
გამგლიჯა და მომისროლა მკვდარი!
და შავ ხვრელში გადავეშვი თავით,
საიდანაც არ ბრუნდება არვინ.

ასეთია, კვირაობით, ცენტრში
ტვინსაბურღის სანახავად წასვლა.
მიხვალ სალი, დაბრუნდები ლეში,
თავში ძნეხვით, ჭკუა-ტვინის ნაცვლად.

ნახეთ, თავებს როგორ მღუღრავს!
ნახეთ, ტვინებს როგორ ბურღავს!
რქა დუნდულზე მიუბია -
დაილოცოს იუბიუ!

**დასასრული**

7. კიდევ ერთი მინიშნება „ჰამლეტზე".
8. ადგილები ქალაქ რენში, სადაც სწავლობდა და მოღვაწეობდა ალფრედ ჟარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## გრეგორი ნაჟი

# ბიბლიოთეკის იდეა, როგორც ევროპული კულტურის კლასიკური მოდელი[1]

*ინგლისურიდან თარგმნა მალხაზ ხარბედიამ*



ეს წერილი შეეხება არა ანტიკურ ბიბლიოთეკას როგორც ადგილს ან ინსტიტუციას, არამედ უფრო როგორც იდეას და კონცეფციას - კლასიკურ მოდელს, სადამდეც, პირველ რიგში, სისავსის, დასრულებულობისა და უნივერსალურობის მეტაფორებით მივდივართ. ყურადღების ცენტრში ალექსანდრიის ბიბლიოთეკა იქნება, ეგვიპტეში, შემდეგ კი პერგამონის ბიბლიოთეკა, მცირე აზიაში. შევეცდები დავამტკიცო, რომ ამ ბიბლიოთეკების მიერ წარმოდგენილი მოდელი თავისთავად ისტორიული რეალობაა, რომელსაც პირდაპირი კავშირი აქვს ევროპის კულტურული ისტორიის უმთავრეს საკითხებთან. სანამ ამ ბიბლიოთეკებთან დაკავშირებულ მეტაფორებს განვიხილავთ, მინდა ისტორიული ფონის მცირე მიმოხილვა შემოგთავაზოთ.

სიტყვებში „კლასიკური მოდელი" კლასიკურობის ავტორიტეტს, პრესტიჟს ვგულისხმობ, „კლასიკურობას" კი ვაკავშირებ არა რომელიმე ზოგად განსაზღვრებასთან, არამედ - იდეებთან, რომლებიც ბერძნულენოვანი სამყაროს საგანმანათლებლო ცენტრების კონკრეტულ ისტორიულ კონტექსტებში ჩამოყალიბდა, დაახლ. ძვ. წ. IV-II საუკუნეებში.

უმთავრესი ამოსავალი წერტილებია:

ა) ლიცეუმი (Lyceum) ან პერიპატოსი (Peripatos) ათენში, როგორიც ის შექმნა არისტოტელემ და მისმა მოწაფემ, თეოფრასტოსმა.

ბ) ბიბლიოთეკა Mouseion-ში, გნებავთ მუზეუმში (Museum), ალექსანდრიის „მუზათა წმინდა სავანეში"[2], რომლის მეურვეები და დამფინანსებლებიც ლაგიდების (პტოლემეოსების) დინასტია იყო III-II საუკუნეებში.

გ) პერგამონის ბიბლიოთეკა, რომელიც ატალიდების დინასტიამ დააფინანსა, ძირითადად ეუმენეს II-ის მეფობის დროს ძვ. წ. 197-158.

ძვ. წ. IV-II საუკუნეებში „კლასიკურის" ცნების ისტორიის კვლევისას ძირითადად ვეყრდნობოდი რუდოლფ პფაიფერის „კლასიკური განათლების ისტორიას". პფაიფერი ხაზს უსვამს ამ ცნების საკვანძო სიტყვას, krisis (ჩვენი თანამედროვე „კრიზისიც" აქედან მოდის), „გამყოფის", „განმასხვავებელის", „შემფასებლის" მნიშვნელობით (ზმნა *krinō*) და იგი მიემართება იმ ნაწარმოებებსა და ავტორებს, რომლებმაც განსაკუთრებული აღიარება მო-

1. პირველად გამოქვეყნდა კრებულში: Europa e Cultura: Seminário Internacional, Maio de 1998, Lisbon: Fundação Calouste Gulbenkian, 1998. 275-81.
2. μουσῶν τέμενος, როგორც მას ლიბანიოსი უწოდებს თავის Progymnasmata-ში (მთარგმნ. შენ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

იპოვეს ან ვერ მოიპოვეს. ისინი, ვინც „გამოარჩიეს" ამ პროცესში, იყვნენ *enkrithentes*. ეს ტერმინი შეესატყვისება კლასიკოსების (classici) გვიანდელ რომაულ კონცეპტს, „პირველი კლასის" (primae classis) ავტორებს. შერჩევითობის ეს კლასიკური პრინციპი, სადაც რაღაცეები უნდა გამოირიცხოს, რათა შემდეგ სხვებით შეივსოს, წარმოადგენს სიტყვა *კანონის (canon)* თანამედროვე მნიშვნელობის საფუძველს. იმ ადამიანთა აღსანიშნავად, ვინც ასეთ კრიტიკულ შერჩევაში მონაწილეობდა, არსებობდა ბერძნული სიტყვა *kritikoi* (კრიტიკოსები).

თუმცა, საბოლოოდ, ალექსანდრიელმა სწავლულებმა უარი თქვეს *kritikos*-ზე და უპირატესობა *grammatikos*-ს მიანიჭეს. მათ შეინარჩუნეს და, ფაქტობრივად სრულყვეს პრინციპები, რომლებმაც პირველ რიგში ჩამოაყალიბეს *kritikos*-ის კონცეფცია. სწორედ მათი შრომის შედეგია, რომ ჩვენ ცხადად ვხედავთ შერჩევით და გლობალურ, ერთიან პერსპექტივებს:

> *ალექსანდრიელი სწავლულების მიერ ჩაფიქრებული კანონი არ უნდა აგვერიოს იმ ნაწარმოებების ნაკრებში, რომელიც ალექსანდრიის მუზეუმის ბიბლიოთეკაში იყო თავმოყრილი. კალიმაქოსის Pinakes (დაფები), 120 წიგნად, უნდა ყოფილიყო არა რჩეული, არამედ მუზეუმის საკუთრებაში არსებული ექსპონატების სრული და ფორმალური კრიტერიუმების (მათ შორის მეტრის, საზომის) მიხედვით ორგანიზებული კატალოგი.*[3]

ალექსანდრიული კლასიკური მოდელი, როგორც ეს კალიმაქოსის *Pinakes*-ებშია ფორმალიზებული, ცხადად მიგვანიშნებს, რომ ერთიანობის პერსპექტივა აუცილებელი წინაპირობაა შერჩევის პრინციპის გამოსაყენებლად.

ზემოთ ვახსენე კლასიკის პრესტიჟი, რომელსაც ახლა ჩემს ცენტრალურ თეზისამდე მივყავარ: სწორედ ეს პრესტიჟი ახდენს ალექსანდრიის ბიბლიოთეკის და მისი კონკურენტის, პერგამონის ბიბლიოთეკის საერთო, ზოგადი კვლევების მოტივირებას. კლასიკის პრესტიჟის გამოა, რომ უწყვეტი კავშირი არსებობს ლიცეუმსა და მუზეუმს შორის.

როცა პრესტიჟზე ვსაუბრობთ, გვერდს ვერ ავუვლით *ძალაუფლებასა* და *სიმდიდრეს*. სოციოლოგიური თვალსაზრისით, შეგვიძლია სოციალურ სტატუსზე ვისაუბროთ ამ ტრიადის - ძალაუფლების, სიმდიდრისა და პრესტიჟის - გათვალისწინებით, რომლის შემადგენელი სამივე ფაქტორი *მომიჯნავე და ურთიერთდაკავშირებულია*[4]. ანტიკური საბერძნეთის მთელი ისტორიის მანძილზე ამ ფაქტორებმა ჩამოაყალიბეს არისტოკრატიის ცნება, რომელიც ფართო გაგებით სოციო-პოლიტიკური რეალიებიდან ერთიან კულტურულ იდეალად იქცა. და შუამავალი, რომლის მეშვეობითაც ამ ერთი შეხედვით მონოლითური კონცეპტის ან იდეალის გამოხატვა მოხდა, კლასიკა იყო. ამგვარად, თუკი ხელახლა გავიაზრებთ და კიდევ უფრო დავხვენთ ცენტრალურ თეზისს, გამოვა, რომ: ბიბლიოთეკის კლასიკური მოდელი დაკავშირებული იყო მათი დამფუძნებლების ძალაუფლებასთან, სიმდიდრესთან და პრესტიჟთან.

პტოლემეოსების დინასტიის (ლაგიდების) მიერ დაარსებულ ალექსანდრიის ბიბლიოთეკაში ჩვენ ვხედავთ ურთიერთკავშირს ბიბლიოთეკის იდეასა და მისი დაარსების პოლიტიკურ რეალიებს შორის. მოდით, უფრო ყურადღებით დავაკვირდეთ ბიბლიოთეკის ფიზიკურ გარემო პირობებსა და მოწყობას, რომელიც წარმოადგენდა მუზათა სავანეს - მუზეუმს, ანუ მუსეიონს (*Mouseion*).

> ἅπαντα μέντοι συναφῆ καὶ ἀλλήλοις καὶ τῷ λιμένι καὶ ὅσα ἔξω αὐτοῦ. τῶν δὲ βασιλείων μέρος ἐστὶ καὶ τὸ Μουσεῖον, ἔχον περίπατον καὶ ἐξέδραν καὶ οἶκον μέγαν ἐν ᾧ τὸ συσσίτιον τῶν μετεχόντων τοῦ Μουσείου φιλολόγων ἀνδρῶν. ἔστι δὲ τῇ συνόδῳ ταύτῃ καὶ χρήματα κοινὰ καὶ ἱερεὺς ὁ ἐπὶ τῷ Μουσείῳ τεταγμένος τότε μὲν ὑπὸ τῶν βασιλέων νῦν δ' ὑπὸ Καίσαρος. μέρος δὲ τῶν βασιλείων ἐστὶ καὶ τὸ καλούμενον Σῶμα, ὃ περίβολος ἦν ἐν ᾧ αἱ τῶν βασιλέων ταφαὶ καὶ ἡ Ἀλεξάνδρου.

> ყველა [ნაგებობა] ერთმანეთთანაა **დაკავშირებული**, ასევე - ნავსაყუდელთან და იმასთან, რაც ნავსაყუდელს გარეთაა. მუზეუმი **სამეფო დარბაზების ნაწილს წარმოადგენს.** მას აქვს სასეირნო ადგილი (**περίπατος**), დარბაზი (**ἐξέδρα**) და დიდი ნაგებობა საერთო სადილებისთვის, სადაც **მუსეიონის წევრი სწავლულები (φιλολό□ων)** ერთად ნაყრდებიან. ამ საკრებულოს საკუთრებაც საერთო აქვს. მუსეიონს სათავეში უდგას ქურუმი, წინამძღვარი, რომელსაც მეფეები ირჩევდნენ, ახლა კი კეისარი ირჩევს. სამეფო დარბაზების ნაწილს წარმოადგენს ასევე ე.წ. სომა (**Σῶμα**) - შემოღობილი მიდამო, სადაც მეფეთა და ალექსანდრეს საფლავებია.
>
> ***სტრაბონი, 17.1.8. C 793-4.***

მუზეუმის, *მუსეიონის* (წმინდა სივრცის, რომელიც ბიბლიოთეკასაც მოიცავს) მთელი ეს აღწერა ტრადიციული მეტონიმიებითაა გაჯერებული. იგი ძალაუფლების, სიმდიდრისა და პრესტიჟის კავშირებს ააშკარავებს. ეს მეტონიმიები გვეხმარებიან სისავსის, დასრულებულობისა და უნივერსალურობის მეტაფორები ავხსნათ ბიბლიოთეკასთან, როგორც კლასიკური მოდელის იდეასთან კავშირში[5].

(1) *მეტონიმია - ნაწილით მთელის შენაცვლე-*

---

3. Nagy, Pindar's Homer. p. 61
4. ამ ცნებების გამოყენებისას გრეგორი ნაჯი ეყრდნობა მაქს ვებერის, პიერ ბურდიეს, რიჩარდ ლეპერტის, ბრიუს ლინკოლნისა და მორის ბლოხის თეორიებს.
5. „მეტონიმიად" მივიჩნევ (ეს სამუშაო დეფინიციაა) მნიშვნელობის გამოხატვას მომიჯნავეობის მეშვეობით, რაც უპირისპირდება „მეტაფორას", რომელიც, ჩემი აზრით, მნიშვნელობას ჩანაცვლების საშუალებით გამოხატავს.

ეროვნული ბიბლიოთეკა





ბა. პირველი და ყველაზე ცხადი მეტონიმია სტრაბონის აღწერაში არის იმპლიციტური იდეა, რომ ბიბლიოთეკა მუზეუმის ან მუსეიონის, მუზათა წმინდა სავანის „ნაწილია". ჩვენ აქ ვხედავთ სინეკდოქეს - სპეციალიზებულ მეტონიმიას, სადაც ბიბლიოთეკა განიხილება, როგორც მთელის ნაწილი, იმ სისავსის, მთლიანობის ერთი ასპექტი, რასაც მუზეუმი წარმოადგენს. სტრაბონის განცხადება ამ მომიჯნავეობის შესახებ თავსდება მისი ზოგადი განცხადების უფრო ფართო კონტექსტში, რომლის თანახმადაც ალექსანდრიაში ყველა ნაგებობა ერთმანეთის მომიჯნავეა.

(2) *მუზეუმისა და სამეფო სავანის მომიჯნავეობის მეტონიმია, რაც წმინდისა და პოლიტიკურის მომიჯნავეობას გულისხმობს*. ამ მომიჯნავე სივრცეში არის ადამიანთა ჯგუფი, რომელიც საკრებულოს წარმოადგენს (*σύνοδος*). ისინი ერთად სადილობენ და ერთმანეთის სიმდიდრეს იზიარებენ, როგორც საერთოს. ამ ჯგუფის სინეკდოქე ბიბლიოთეკის კონტექსტში გვახსენებს ამბავს, მოთხრობილს *არისტეასის წერილში*[ნ], სადაც ასეთი ჯგუფი, საკრებულოა წარმოდგენილი. იგი ერთი მთელივით მოქმედებს და ამ ჯგუფის წევრები ერთობლივად თარგმნიან ებრაელთა წმინდა წიგნებს.

(3) *მუზეუმისა და პტოლემეოსთა სამეფო სასახლის, განსაკუთრებით კი ალექსანდრეს აკლდამასთან მომიჯნავეობის მეტონიმია*. გაფართოების შედეგად (სადაც თავად „გაფართოება" იქცევა მე-

ნ. ელინისტური ხანის ტექსტი (ძვ.წ. II ს.), ე.წ. ფსევდოეპიგრაფი, რომელიც სეპტუაგინტის (ძველი აღთქმის) ბერძნული თარგმანის გაჩენის ამბავს მოგვითხრობს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტონიმიად) ჩნდება მომიჯნავეობა „საფლავსა“ / Σῆμα და „სხეულს“ / σῶμα-ს შორის. ესაა მომიჯნავეობა, რომელიც ხორციელდება ალექსანდრეს „საფლავის“, Σῆμα-ს Σῶμα-დ, „სხეულად“ სახელდების სინეკდოქეში, და ესაა სხეული par excellence[7]. ბიბლიოთეკა წარმოგვიდგება როგორც მეფის სხეულთან მომიჯნავე, თითქოს ისინი ერთ საერთო კორპუსს შეადგენდეს. ბიბლიოთეკისა და მეფის Σῶμα-ს პირობითი ან თუნდაც ფიზიკური მომიჯნავეობა, ჩემი აზრით, თავად ბიბლიოთეკის იდეისთვის დამახასიათებელი ტრადიციული კონცეპტია. წიგნების კორპუსი დრო-სივრცეში თანაარსებობს მეფის კორპუსთან. მეტიც, მეფის სხეულის შენახვა წიგნების შენახვას უკავშირდება. სტრაბონის მიერ ჩაწერილი ეტიოლოგიური ამბავიც, ალექსანდრეს სხეულის მუზეუმში „შინ დაბრუნების“ შესახებ, მეტონიმიითაა განპირობებული: ზმნა *καμίζω* ამ ისტორიაში (17.1.8 C 794) განსაკუთრებული მნიშვნელობით შეიძლება ითარგმნოს როგორც „შინ დაბრუნება“, და ამ შემთხვევაში იგი გმირის სხეულის შენახვას ან ლიტერატურის სხეულის შენახვას აღნიშნავს.

(4) *მუზეუმის, როგორც მუზათა წმინდა სავანის“ კონცეფციისთვის დამახასიათებელი მეტონიმია.* ეს კონცეპტი კანონის დაკონსერვებულ ფაზას (რომელიც ბიბლიოთეკის იდეაშია განხორციელებული) აკავშირებს შემოქმედებით და პროდუქტიულ ფაზასთან, რომელსაც ჩვენ ვიცნობთ როგორც კლასიკურ ერას ბერძნული ლიტერატურისას, განსაკუთრებით ძვ.წ. V საუკუნის გარშემო. კლასიკის თვალთახედვით, მუზები პირველ რიგში *belles lettres* შექმნაზე ზრუნავენ, ხოლო შენახვა და დაცვა მათი მეორე რიგის საზრუნავია. რა თქმა უნდა, შექმნასა და შენახვას შორის ძევს გაგრძელების კონცეპტი: ალექსანდრიელი სწავლული-პოეტებისთვის განგრძობითობა, მემკვიდრეობითობა ძველი კანონიკური ლიტერატურის შენახვას და ახალი არაკანონიკური ლიტერატურის (და რაც უკეთესია, მეტაკანონიკურის) შექმნას ნიშნავს. უნდა დავძინო, რომ განგრძობითობის ეს კონცეფცია ყველაზე ამბიციური მეტონიმიაა ყველა სხვასთან შედარებით.

ალექსანდრიის ბიბლიოთეკის სტრაბონისეული აღწერა ადასტურებს ჩემს ცენტრალურ თეზისს: ბიბლიოთეკის კლასიკური მოდელი მისი მფარველების ძალაუფლებას, სიმდიდრესა და პრესტიჟს უკავშირდება. მეტიც, იმისთვის, რომ მოდელი კლასიკური იყოს, მან მემკვიდრეობითი კავშირი უნდა დაამყაროს უფრო პრესტიჟულ ადრეულ, წინამორბედ მოდელებთან. ალექსანდრიის ბიბლიოთეკისთვის ეს წინარე მოდელი იყო ლიცეუმი. აქ მნიშვნელოვანი იქნება ხაზი გავუსვათ, რომ სტრაბონის მიერ ალექსანდრიის მუზეუმის აღწერაში ვხვდებით ტერმინ *Peripatos*-საც, რაც ალექსანდრიის ბიბლიოთეკის ერთ-ერთ არსებით ფიზიკურ მახასიათებელს წარმოადგენს. მეტონიმიურად, ეს ფიზიკური მახასიათებელი ასევე გახლავთ პირობითი მახასიათებელი, რომელიც მუზეუმს ლიცეუმთან აკავშირებს.

როგორც სტრაბონის აღწერიდან ვხედავთ, ბიბლიოთეკა მუზათა (საშემსრულებლო ხელოვნების ქალღმერთების) წმინდა სავანის მეზობლად არსებობდა. ასეთ შემთხვევაში თავად ბიბლიოთეკის იდეა შეიძლება დაკავშირებული იყოს პოლიტიკურ იმპულსთან, გააკონტროლდეს ნათქვამი სიტყვა ტექსტის კონტროლითა და დაცულ ადგილას მისი შენახვით.

სწორედ ალექსანდრიის ბიბლიოთეკა გვაძლევს იმის შესაძლებლობას, რომ მოხდეს ტექსტების ყველა წინამორბედი კოლექციის ვიზუალიზება, როგორც „ვირტუალური ბიბლიოთეკისა“, ყველა ტექსტის კოლექციისა, სადაც ზეპირი სიტყვაა ჩაწერილი, მათ შორის პოლიკრატესა და პისისტრატეს არქაული მოდელებისა. ალექსანდრიის ბიბლიოთეკის ფიზიკური რეალობა ესაა კლასიკის ყოვლისმომცველი და ერთიანი კოლექცია - ბიბლიოთეკის წიგნსაცავების თაროებზე დაწყობილი გრაგნილები, რომლებიც კალიმაქოსის 120 *Pinakes*-ზე, ანუ დაფაზეა კატალოგიზებული. და ეს ყველაფერი იქცა ბიბლიოთეკის ვირტუალურ რეალობად, როგორც კონცეპტად, რომელსაც უკვე შეუძლია თავის თავში მოიცვას კანონიზაციის ან კლასიციზმის ყველა ადრეული მოდელი.

პერგამონის ბიბლიოთეკის სისავსე და მთლიანობა, ზოგადადაც და კონკრეტული ნიშნებითაც ალექსანდრიის ბიბლიოთეკის პრინციპების მსგავს პრინციპებზეა დამყარებული. ოპერატიული მეტაფორა ალექსანდრიის შემთხვევაში corpus-ია, პერგამონის შემთხვევაში კი - cosmos-ი. ნებისმიერ შემთხვევაში ცენტრალური იდეა ტოტალურობა და მთლიანობა გახლავთ.

corpus-ის ალექსანდრიული იდეა ნაწილობრივ მაინც გამომდინარეობს ფარაონების სხეულის, გვამის აშკარად ეგვიპტური რელიგიური წარმოდგენებიდან, როგორც პროტოტიპული განახლება, თითქოს იგი ღმერთი ოსირისი იყოს, ვისი ღვთაებრივი სხეულიც დანაწევრებულია, დაშლილია, რათა შემდეგ კვლავ შეერთდეს და ხელახლა აეწყოს, როგორც მოდელი მარადიული შენახვისთვის. თუმცა, იგი ასევე ემყარება აშკარად ელინურ რელიგიურ წარმოდგენებს - კულტად ქცეული გმირის სხეული, როგორც ნაყოფიერების, კეთილდღეობისა და მარადიულად განახლებადი ცხოვრების წმინდა თილისმა საზოგადოებისთვის, რომელიც თაყვანს სცემს ამ კულტს. ბაღებში გმირი-კულტის მოთავსების ტრადიცია ხილული ნიშანია იმისა, რომ თავად ბაღების გაშენება გმირების კულტთან იგივდება.

---

7. ნაჟი თავის ვრცელ კომენტარში აღნიშნავს, რომ Σῶμα (სხეული) სტრაბონის ტექსტის ხელნაწერ ტრადიციაში გვხვდება, Σῆμα (საფლავი) კი თანამედროვე რედაქტორების ჩასწორებაა. ალექსანდრეს საფლავის ტრადიციული სახელი მუშაობს როგორც მეტონიმია (უფრო ზუსტად, სინეკდოქე), რის მიხედვითაც, სხეული (Σῶμα) par excellence არის საფლავი (Σῆμα). Σῶμα / Σῆμα-ს ფონეტიკური პარალელიზმი მეტონიმიური მექანიზმის გაძლიერებას ემსახურება. მას ასევე მოჰყავს Σῶμα-სა და Σῆμα-ს ორფიკული იდენტიფიკაცია პლატონის კრატილოსიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეტიც, ალექსანდრიის ბიბლიოთეკის ზოგადი იდეა დამოკიდებულია მუზეუმის ზოგად იდეაზე, მუზათა წმინდა სავანეზე. კიდევ ერთხელ ვიტყვი, რომ ამ მუზეუმის ვიზუალიზაცია, როგორც გრაგნილებით სავსე პორტიკებიანი ბაღისა, რომელიც ინახავს და უკვდავყოფს კლასიკური ლიტერატურის *belles lettres*-ს, არსებითად, ელინურია.

ალექსანდრიის ბიბლიოთეკის ამ წარმოდგენას, ნაწილობრივ ეგვიპტურსა და ნაწილობრივ ელინურს, კავშირი აქვს ევროპული კულტურის ისტორიის ზოგიერთ უმნიშვნელოვანეს საკითხთან და ევროპული კულტურული იდენტობის ყველაზე მთავარ თემასთან. რაც მთავარია, იგი გვაჩვენებს, რომ „ელინურობის" იდეა სულაც არაა შეუთავსებელი ძველი ეგვიპტის კულტურულ რეალიებთან.

აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, რომ „ელინურობის" იდეა შეთავსებადია „აზიის" კულტურულ რეალიებთანაც და ამის მთავარი მოწმე ნცირე აზიის ერთ-ერთი ყველაზე წარჩინებული ქალაქი პერგამონია. პერგამონის ბიბლიოთეკა - ელინიზმის, როგორც თავად „კოსმოსის" კოსმოპოლიტურ იდეას ეფუძნება. ელინიზმის ამ მაკროკოსმურ კულტურულ მოდელს პირდაპირი კავშირი აქვს ევროპის იდეასთან, რადგან იგი (ელინიზმი) თავს აცნობიერებს ევროპისა და აზიის დამაკავშირებლად: ჰელესპონტოსი, რომელიც ფიზიკურად ჰყოფს ერთმანეთისგან ორ კონტინენტს, ასევე წარმოადგენს მითიურ და იდეოლოგიურ „ხიდს" (ეტიმოლოგიურად *Hell spontos* ნიშნავს „ჰელეს[8] გადასასვლელს, გზაგასაყარს"), რომელიც მათ კულტურული თვალსაზრისით აერთიანებს.

თუკი ევროპა თავის თავს ელინიზმის კულტურულ მემკვიდრედ ხედავს, იმის იმედიც უნდა გვქონდეს, რომ იგი კულტურული ინტეგრაციის ასეთ მოდელებსაც უკვდავყოფს. მოდით ამ თვალსაზრისით შევხედოთ გიულბეკიანის[9] ძეგლის სიმბოლურობას, ლისაბონის გიულბეკიანის ფონდის ბაღში რომ დგას: ჩვენ აქ ფონდის დამაარსებელს ვხედავთ, იგი სტამბულში დაიბადა, ევროპისა და აზიის გასაყარზე. ძეგლი ოსირისის ცოცხალი მემკვიდრისა და მისი სიკვდილის გამო შურისმაძიებლის, ეგვიპტური ღმერთის, ჰოროსის ყოვლისმომცველ მყოფობაშია მოთავსებული. ძეგლის ადგილი - და მეტონიმიურად, მთელი ფონდის სივრცე - ბაღია, სიმბოლიზმით სავსე, მუზათა ბაღი, ალექსანდრიის მუზეუმი. ამგვარი ბაღის გაშენება ევროპული კულტურის იდეასაც უკვდავყოფს.

ასეთი კულტურის უკვდავყოფის იმედი ამ კოლოქვიუმის მთავარ თემასთანაც ძალზე ახლოსაა - „ევროპული კულტურა XXI საუკუნეში". ვიმედოვნებ, რომ ამ კულტურის ზეგავლენით XXI საუკუნის ევროპა თავიდან აირიდებს მარტივ იდეოლოგიას, რომელმაც საბედისწერო როლი შეასრულა მეოცე საუკუნეში.

ვიმედოვნებ, რომ XX საუკუნის ტრიუმფალიზმს როგორც კონცეფციას და თვითგანმადიდებელ იდეოლოგიას, ოცდამეერთე საუკუნეში ჩაენაცვლება ახალი სულისკვეთებით გამსჭვალული ისტორიზმი, - სწორედ ის, რომლისთვისაც უცხოა იდეალიზაცია და ფეტიშიზაცია. ამგვარი თვალსაზრისი გამორიცხავს შეხედულებას, თითქოს შესწავლის ერთადერთი ღირსეული ობიექტი აწმყოა - გაყინული, უცვლელი, ხელოვნური აწმყო, რომელიც დაახლოებით ასი წლის განმავლობაში გრძელდება. XX საუკუნის სამწუხარო მემკვიდრეობა დროის წინამორბედი პერიოდების სასტიკი გაქრობა-განადგურება იყო, თითქოს აწმყოს გარდა არაფერს ჰქონდა მნიშვნელობა, აწმყოსა და ახლო წარსულის გარდა; თითქოს სტუდენტებს არაფერში სჭირდებოდათ XX ან, უკეთეს შემთხვევაში, XIX საუკუნემდე მომხდარის შესწავლა.

ვიმედოვნებ, XXI საუკუნე არ იქცევა ყალბ პერიოდიზაციად, რომელიც დაასრულებს XX საუკუნის მიერ დაწყებულ საქმეს - მეხსიერების წაშლის საშინელ პროცესს ან ყველაფრის გაქრობის მცდელობას, რაც მანამდე იყო. ბიბლიოთეკის, როგორც კლასიკური მოდელის იდეა, ალტერნატივის წინაშე გვაყენებს.

ვიმედოვნებ, ევროპა შეძლებს განსაკუთრებული როლი ითამაშოს. ისტორიის სიღრმით, ჰუმანიზმის სიღრმით, რომელიც ამ ისტორიის მანძილზე გვხვდებოდა, ევროპა, იმედი მაქვს, გააცოცხლებს თავის კუთვნილ ჰუმანიზმს და ხელახლა დააფუძნებს დროში თავის ისტორიულ სიღრმეს და ისტორიულ თვალსაწიერს სივრცეში.

ვიმედოვნებ, რომ ევროპის სივრცე კულტურული იქნება და არა ტერიტორიული, და მოიცავს ყველა იმ კულტურას, რომელსაც მას უპირისპირებდნენ ისტორიის მანძილზე - არადა ისინი, ყველანი თავის მხრივ ხელს უწყობდნენ ამ ისტორიის სიღრმისა და თვალსაწიერის ზრდას.

ევროპის კონცეფცია ცარიელი და ფუტუროა, თუკი მას მხოლოდ ე.წ. XXI და XX საუკუნე ახსოვს. იმედი მაქვს, მას მთელი წარსული ახსოვს.

ევროპის კონცეფცია ცარიელი და ფუტუროა, როცა მას მხოლოდ ცვალებად გეოგრაფიულ საზღვრებში მოქცეული ამბები ახსოვს. ვიმედოვნებ, მას ახსოვს ყველა თავისი კულტურული კონტაქტი აწმყოსა და წარსულში.

ევროპა ევროპა არაა ძველი ეგვიპტის, ძველი ახლო აღმოსავლეთის და ყველა სხვა მომიჯნავე კულტურების გარეშე. ბიბლიოთეკის, როგორც კლასიკური მოდელის იდეა გზას გვაჩვენებს. და გიულბეკიანის ფონდის ბაღების შემყურეს მახსენდება ალექსანდრიის მუზეუმის ბაღები. *Revenons à cultiver notre jardin!*[10]

---

8. ძველ ბერძნულ მითოლოგიაში ათამასისა და ნეფელეს ქალიშვილი, ფრიქსეს და. ჰელესპონტოსის შესახებ უფრო დეტალურად იხ. Nagy, Pindar's Homer pp. 268-273, 330. ასევე, Nagy, The Best of the Achaeans pp. 339-344.
9. გალუსტ გიულბეკიანი (1869-1955), სომხური წარმოშობის ბრიტანელი ბიზნესმენი და ფილანთროპი. გარდაიცვალა ლისაბონში. გიულბეკიანის გარდაცვალების შემდეგ ლისაბონში მისი სახელობის ფონდი შეიქმნა.
10. „მოდით, დავუბრუნდეთ ჩვენი ბაღების გაშენებას".

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ვიაჩესლავ ივანოვი - კაცობრიობას ორმოცდაათ წელზე ნაკლები დრო დარჩა

*რუსულიდან თარგმნა თამარ ლომიძემ*

ვიაჩესლავ ვსევოლოდის ძე ივანოვი (1929-2017) - ლინგვისტი და ანთროპოლოგი, ერთ-ერთი იმ მცირერიცხოვან რუს მეცნიერთაგან, რომლებმაც ფართო აღიარება მოიპოვეს რუსეთის საზღვრებს გარეთ. ვიაჩესლავ ივანოვი, შესაძლოა, მეცნიერების ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო და ორიგინალური ფილოსოფოსი გახლდათ. ქვემოთ მოყვანილია ფრაგმენტები ინტერვიუებიდან, რომელიც მას 2013 და 2015 წლებში ჩამოართვეს არნის რიტუპსმა და ულდის ტირონსმა. ინტერვიუების სრულ ტექსტს შეგიძლიათ გაეცნოთ Rigas Laiks-ის საიტზე.



**- როგორ დაახასიათებთ თქვენს დამოკიდებულებას ღმერთის მიმართ?**

- ღმერთი, ჩემი აზრით, პირობითი სახელწოდებაა უზენაესი საწყისისა, რომელმაც ხელი შეუწყო ბიოლოგიური ევოლუციის ორგანიზებას. ესე იგი, ღმერთს უშუალოდ კი არ შეუქმნია ადამიანი, არამედ მან, ვისაც სიტყვა „ღმერთით" აღნიშნავენ, - მოახდინა მთელი ამ სამყაროს ორგანიზება, ევოლუციის ორგანიზება, იმგვარად, რომ ბოლოს და ბოლოს, ჩვენ გავჩნდით, არსებობს თუ არა უკუკავშირი? თუ მსურს მივმართო ღმერთს, სავარაუდოა თუ არა, რომ ის პასუხს გამცემს? ამ კითხვას კონკრეტული პასუხი ვერ გაეცემა, მაგრამ არსებობს გარკვეული ჰიპოთეზები. ჩემი ჰიპოთეზა იმაში მდგომარეობს, რომ გამორიცხული არაა უზენაესი გონის მიმართული ზემოქმედება ცალკეულ ადამიანებზე. ეს სავსებით შესაძლებელია.

დაინტერესებული არის თუ არა ამაში უზენაესი საწყისი? ვფიქრობ, აინშტაინმა რაღაც ინფორმაცია მიიღო სამყაროს მოწყობის შესახებ - სხვაგვარად ვერ ავხსნით ფარდობითობის თეორიის შექმნას. ვერ გეტყვით, განსაზღვრა თუ არა შეტყობინების წყარომ ის, თუ როგორ მოექცა ამ თეორიას აინშტაინი. მაგალითად, არა მგონია, ღმერთს გაეკონტროლირებინა აინშტაინის საქციელი, როდესაც ამ უკანასკნელმა წერილი მისწერა შეერთებული შტატების პრეზიდენტს, შედეგად კი ატომური ბომბი ააფეთქეს, მაგრამ, ვფიქრობ, ფარდობითობის თეორიის შექმნაში მას გადამწყვეტი როლი მიუძღვის. უკუკავშირის არარსებობის გამო ადამიანის თავისუფლების

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხარისხი საკმარისად დიდია. ასე მგონია, რომ ღმერთისადმი მიმართული ლოცვა ამ ჰიპოთეზას არ ეთანხმება. არ გამოვრიცხავ იმას, რომ „უზენაესი საწყისი"იყოს ძალზე განვითარებული ცივილიზაცია, რომელიც სრულიად სხვაგვარადაა მოწყობილი, ვიდრე - ჩვენი.

მეცნიერულ-ფანტასტიური რომანის ტერმინებს თუ გამოვიყენებთ, შეიძლება ითქვას, რომ ესაა ცივილიზაცია,რომელიც, მაგალითად, სხვა სამყაროში არსებობს. თანამედროვე ფიზიკის თანახმად, სამყაროების რაოდენობა დიდია. ამ ცივილიზაციას შეეძლო ჩვენს სამყაროში ბიოლოგიური ევოლუციის ორგანიზება. მაგრამ იმის ვარაუდი, რომ ეს ცივილიზაცია დაინტერესებულია თითოეული ჩვენგანით, ჩემი აზრით, აშკარა გაზვიადებაა. მაგალითად, ბავშვობიდან მაინტერესებს ჭიანჭველები. ისინი ძალიან ჰგვანან ადამიანებს! მატერიალური კულტურის ზოგიერთი მონაპოვარი მათ უფრო მეტი აქვთ, ვიდრე - ჩვენ. სახეობათა რაოდენობის მიხედვით, ჭიანჭველებს, ჩვენთან შედარებით, მეტი შინაური ცხოველები და მცენარეები ჰყავთ. ჭიანჭველების ბუდე უფრო მახვილგონივრულადაა შექმნილი, ვიდრე ჩვენი ქალაქები. მათ ძალზე ხანგრძლივი ევოლუცია განიცადეს. თუ ჩვენ ნაკლებად გვაინტერესებს, საერთოდ, დედამიწაზე მცხოვრები ჭიანჭველები, ფუტკრები ან ტერმიტები, რატომ უნდა ვიფიქროთ, რომ მასშტაბის მიხედვით უფრო დიდ არსებებს შეიძლება ვაინტერესებდეთ? არაფერს ვამბობ უმთავრეს არსებებზე, უზენაეს გონზე.

**- ამ უზენაესმა საწყისმა თქვენ რამე გაუწყათ?**

- რამდენჯერმე, მაგრამ ეს იშვიათად ხდებოდა.

**- ხომ არ გაგვიზიარებთ?**

- ჩემი აზრით, ეს სტატისტიკურად ხდება. ალბათ. სხვადასხვა ქვეყანაში, ყოველ თაობაში, საკმაოდ ბევრმა ადამიანმა მიიღო გარკვეული ინფორმაცია, მაგრამ ადრესატამდე მისი მხოლოდ მცირე ნაწილი აღწევს. მავანნი უგულებელყოფენ ამ ინფორმაციას, მავანნი კი ფიქრობენ, რომ თვითონ მიხვდნენ ყოველივეს. უკანასკნელი 30 წლის განმავლობაში კაცობრიობის დაღუპვის ალბათობა მაწუხებს. ვერ მოვასწარი, პიატიგორსკისთან ერთად განმეხილა ეს საკითხი, მაგრამ ის გაცილებით უფრო ოპტიმისტურად იყო განწყობილი. მე საკმაოდ ხშირად ვხედავ აბსოლუტურად რეალურ საშიშროებას, მაგრამ ვერ ვხედავ თვით დასასრულს, ვერ ვხედავ აპოკალიფსისს. მაგრამ ვიცი, რომ არც ისე დიდი დრო გვაშორებს თავზარდამცემი საშიშროებისგან.

**- საიდან მომდინარეობს ის?**

- ერთდროულად რამდენიმე წყაროდან. ბიოლოგიური და გეოლოგიური მონაცემების თანახმად, დედამიწაზე კოსმოსური ზემოქმედება დაახლოებით ხუთჯერ მოხდა. ბიოლოგიური ევოლუციის განმავლობაში ყოველ ჯერზე ნადგურდებოდა ცოცხალი ორგანიზმების დაახლოებით 90 პროცენტი, ხოლო დარჩენილი ორგანიზმები იწყებდნენ მოძრაობას სხვა მიმართულებით. როდესაც განადგურდნენ დინოზავრები, დიდი ქვეწარმავლები აღარ განვითარდნენ, მაგრამ, როგორც შორეული შედეგი, გაჩნდნენ პრიმატები, შემდგომ კი - ადამიანები. ადამიანის წარმოშობა იდუმალებით აღსავსე ფაქტია. ამ თვალსაზრისით, ცდებიან ისინი, ვინც ამბობს, რომ მეცნიერება და რელიგია ერთმანეთს ეწინააღმდეგება.

არსებითად, მეცნიერებას არავითარი ობიექტური მონაცემები არ აქვს ადამიანის წარმოშობის შესახებ. თანამედროვე გენეტიკა არაფერს გვაუწყებს. საკმაოდ დიდი ხანია ვმუშაობ ამ საკითხზე, მაგრამ ვერაფერი გაირკვა. რაც შეეხება საფრთხეს, შესაძლებელია ელემენტარული ზემოქმედებები კოსმოსიდან, თუნდაც მეტეორიტები. შესაძლებელია სხვადასხვაგვარი უსიამოვნო მოვლენები დედამიწაზე, რომელთაგან ატომური ომი ყველაზე მარტივია. სინამდვილეში, რამდენიმე ჩერნობილი იმავე შედეგს გამოიწვევს. და, კიდევ, შიმშილობასთან დაკავშირებული სხვა მოვლენები, რომელიც აფრიკაში იწყება. შესაძლებელია თითოეული ამგვარი პუნქტის ფორმულირება და მასთან ბრძოლის საშუალებათა ძიება.

მე ვმონაწილეობ ერთი ჯგუფის მუშაობაში, რომლის წევრები 1994 წელს გაეროს ექსპერტები გახლდნენ. არსებობს ბევრი სხვა ჯგუფი, რომლებიც ცდილობენ ერთგვარი ალტერნატიული გზების შემუშავებას, რათა შეამცირონ ბირთვული დასნებოვნების, საყოველთაო შიმშილის, კაცობრიობის რაოდენობის გაზრდის, ენერგეტიკული რესურსების ამოწურვის შანსები. 60-იან წლებში „რომაულმა კლუბმა" დაახლოებით იგივე დასკვნა გამოიტანა. კაპიცას ძალზე აღელვებდა ეს საკითხები. ის მთავრობას წერილებს სწერდა - მაგრამ მხოლოდ სტატიის გამოქვეყნების უფლება მისცეს. ახლა კი იტალიელებს უკვირთ, რომ „რომაულ კლუბს" სერიოზულ ყურადღებას არავინ აქცევდა. აქვე უნდა ვთქვა, რომ ამ კლუბის წევრებს ინფორმაცია გარედან არ მიუღიათ. უბრალოდ, კომპიუტერების მეშვეობით გამოთვალეს ისტორიის დასასრული.

ძალიან მაწუხებს ის, რომ საბოლოოდ ვერ შევძლებთ ჩვენ მიერ დაგროვებული ინფორმაციის გადაცემას. ამ გაგებით, ჩვენი კომპიუტერული ცივილიზაცია უვარგისია. თუ ამოიწურება ელექტროენერგიის წყაროები, კომპიუტერული ინფორმაციის უდიდესი ნაწილი გაქრება. ალბათ, ჩვენი ცივილიზაცია ყველაზე სუსტია მთელი ისტორიის განმავლობაში - მას არა აქვს პირამიდები, გამომწვარი ალიზი, ამოტვიფრული

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქვები. გამოდის, რომ მხოლოდ საფლავების ქვები დარჩება...

**-გამახსენდა ჩემი საუბარი მათემატიკოს მიშა გრომოვთან. მან მითხრა, ნუთუ არ გესმით, რომ კაცობრიობას დაახლოებით 50 წელი დარჩაო?**

- ოპტიმისტური განცხადებაა. ჩემი აზრით, ნაკლები დარჩა.

**- ვკითხე, რა გამოსავალს ხედავთ-მეთქი, მან კი მიპასუხა, რომ დარჩა ერთი პატარა შანსი: კაცობრიობამ სასარგებლოს ნაცვლად საინტერესოზე უნდა აიღოს ორიენტაცია.**

- არსებობს ალბათობა იმისა, რომ კაცობრიობის მცირე ნაწილი გადარჩება. თუ ის მთლიანად დასახიჩრებული და დასხივებული არ იქნება, შემდგომში შესაძლებელია მისი აღდგენა და სიცოცხლის დროის მეტ-ნაკლები გახანგრძლივება. ვფიქრობ, კაცობრიობას ეს უკვე შეემთხვა ერთხელ ან რამდენიმეჯერ. ახლა ძალიან ბევრი მონაცემი მეტყველებს, რომ რამდენიმეჯერ მართლაც იცვლებოდა მიმართულება. უხეშად რომ ვთქვათ, საზოგადოება, რომელიც ენერგიაზეა ორიენტირებული (მისი უკიდურესი ფორმაა თანამედროვე რუსული საზოგადოება, რომელიც მხოლოდ ნავთობითა და ბუნებრივი აირით სულდგმულობს), უნდა გარდაიქმნას საზოგადოებად, რომელიც ინფორმაციაზე იქნება ორიენტირებული. ვინაიდან რეალური ინფორმაცია ეხება საშიშროებებს, ეს ნიშნავს, რომ მივხვდებით, რა საშიშროებები მოგველის და დავიწყებთ მათზე რეაგირებას. ყოველივე ამას დრო სჭირდება. ამასთან, ტექნიკური განვითარების ტემპები ძალზე მაღალია, ხოლო განვითარების ორგანიზაციული ტემპები - დაბალი.

**- თქვენი აზრით, კაცობრიობის გადარჩენას, ზოგადად, აზრი აქვს?**

- აქვს! ვფიქრობ რომ კაცობრიობას აქვს შანსი რამეს მიაღწიოს, თუკი იმ უმნიშვნელო საკითხებიდან, რომლებითაც ახლაა დაკავებული, სერიოზულ საკითხებზე გადაერთვება.

**- კი მაგრამ, აქვს თუ არა რაიმე მიზანი ამ განვითარებას, გამრავლებისა და სიკვდილის უწყვეტი პროცესის გარდა? რა საჭიროა ყოველივე ეს?**

- ფიზიკის თვალსაზრისით (არა რელიგია, არამედ ფიზიკა ამტკიცებს ამას!), სამყარო იმგვარად შეიქმნა, რომ მასში შესაძლებელი გახდა ადამიანის არსებობა. ეს ანთროპული პრინციპია. და თუ ასეა, მაშინ მებადება კითხვა: რისთვის სჭირდება სამყაროს ადამიანი? ვფიქრობ, ადამიანი საჭიროა იმისთვის, რომ დააკვირდეს სამყაროს. ჩვენ ან სხვა გონიერი არსებები რომ არ ყოფილიყვნენ, სამყარო მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილის გარეშე დარჩებოდა. სამყაროსთვის აუცილებელია, რომ ის აღქმულ იქნას. სულაც არაა საინტერესო, რომ აურაცხელი რაოდენობის ელემენტარული ნაწილაკი ურთიერთქმედებს ერთმანეთთან. ეს არაფერს ნიშნავს! მაგრამ ადამიანი ისეა მოწყობილი, რომ შეუძლია დაყნოსოს, შეუძლია აღიქვას ნაწილაკთა ეს კომბინაციები ატომებში, როგორც ერიკ ადამსონსი წერს. ამის უნარი გვაქვს, მაგრამ ნაკლებად ვიყენებთ! თუმცა უნარი ეს უფრო პოეზიის საფუძველია, ვიდრე ფილოსოფიისა.

**- შეგიძლიათ თუ არა, დაასახელოთ რამდენიმე ყველაზე უფრო ღირსეული საქმიანობა?**

- იცით, თავის დროზე განმაცვიფრა იმან, რომ ზოგიერთი ადამიანი ყველაზე დიდ მნიშვნელობას პოეტის პროფესიას ანიჭებდა. მართლაც, მშვენიერების აღქმა შეიძლება კულტურის განვითარების ერთ-ერთ ძირითადი მიზანი იყოს. დოსტოევსკიმ თქვა: „მშვენიერება გადაარჩენს სამყაროს". ეს ადამიანის ერთ-ერთი უნიკალური თვისებაა - მშვენიერების აღქმა, ჰარმონიისა და სტრუქტურის წვდომა. რაც უნდა ეფიქრა ჩემს გარდაცვლილ მეგობარს, საშას, სამყაროში მაინც არსებობს სტრუქტურა, მაგრამ ის არსებობს ფარულ სამყაროში. არა მხოლოდ ცნობიერება, არამედ ადამიანის ფსიქიკის არსებითი ნაწილიც ისეა მოწყობილი, რომ ძალუძს ჩასწვდეს სტრუქტურას, სიმეტრიას, ჰარმონიას. რატომაა, რომ ჩვენი ტვინის ერთი ნახევარი ორიენტირებულია ენაზე, მეორე კი - მუსიკასა და ფერწერაზე? ვფიქრობ, ეს არა მარტო წარსულის ნაკვალევია, არამედ - მომავლის იმედიც. ალბათ, მომავალმა ტვინმა ჯერ კიდევ შეიძლება შექმნას გენიალური მუსიკა. მაგრამ ახლა ჩვენ ამას სერიოზულ მნიშვნელობას არ ვანიჭებთ.

**- ესე იგი, ღირს გენიალური მუსიკის შეთხზვა?**

- გენიალური ლექსებისაც და გენიალური მუსიკისაც. ფერწერის უნარი ჯერ კიდევ ჩვენს წინაპრებს ჰქონდათ, გამოქვაბულებში ცხოვრების პერიოდში. ვფიქრობ, ეს იყო ძალიან ბედნიერი პერიოდი ისტორიაში. ჩვენ არ ვიცით, გვყავს თუ არა მეტოქეები. ეს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხია. მას ამგვარად ჩამოვაყალიბებ: თუ სამყაროში არ არსებობს კაცობრიობის სადარი მეორე ცივილიზაცია, მაშინ უზენაესი საწყისი გადარჩენის საშუალებას მოგვცემს. ხოლო თუ არსებობს სხვებიც, მაშინ სავსებით შესაძლებელია, რომ მიმდინარეობს კონკურსი და ამ კონკურსში დამარცხების შედეგად შეიძლება დავილუპოთ.

**- რა არის ყველაზე მნიშვნელოვანი რამ, რასაც მიხვდით თქვენი ცხოვრების განმავლობაში?**

- მივხვდი სხვა ადამიანების მნიშვნელობას. მივხვდი, რომ სხვა ადამიანები უფრო მეტს ნიშნავს, ვიდრე შენ თვითონ, და ცხოვრება ამ საფუძველზე უნდა ააგოთ. სხვა ადამიანებზე. და არა საკუთარ თავზე.

აქ შეიძლება ყოფილიყო
თქვენი რეკლამა

ტელ: 577 747-719
ელ-ფოსტა: info@arilimag.ge

ხ107/13
2-10

ეროვნული
ბიბლიოთეკა

